



საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
და ბეჭდვის გამომცემი

# ქვეყნის მემკვიდრეები

4  
1988

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის  
საზოგადოება



ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ  
И КУЛЬТУРЫ

ქართული  
მემორიალი

GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF HISTORICAL AND  
CULTURAL MONUMENTS

ბ. ყუბიძე  
18.05.88



ქრისტე — ეოვლისმწერობელის გამოსახულება რელიკვარიუმზე. X ს. ქართული ხელოვნება. ს. კარიველოს ხელოვნების სახ. მუზეუმი.

Изображение Христа — Пантократора на крышке реликвария. Грузинская эмаль X в. Гос. музей искусств Грузии.

# ქეკელი ქეკელი ქეკელი

4 (1988)

კრებული ოთხმოცდამეორე

გამოცემის 1984 წლიდან

სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ანდრია აფაქიძე, გივი ბარათაშვილი, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი გოლჭვაძე (პ/მკ მღვიმე), პარმენ ჯაფარიანი, მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ლორთქიფანიძე, ლევან მატარაძე, გივი პაპალაშვილი, ალექსი როგავაძე, თენგიზ შვარცაძე, ვახტანგ ცინცაძე.

სერიის რედაქტორი — ირაკლი ცინციშვილი

რედაქტორი — ვახტანგ ბერიძე

Редактор серии — ИРАКЛИЯ ЦИЦИШВИЛИ

Редактор — ВАХТАНГ БЕРИДЗЕ

## შ ი ნ ა ა რ ს ი

ზარიამ დიდუბაშვილი — ზენობანის მაცხოვრის ეკლესიის ზუროთმოძღვრება . . . . .	5
დაპიმი გომბარია — ნუკა-ხაუდარი — IX საუკუნის ზუროთმოძღვრული ძეგლი კლარჯეთში	16
თამარ ზუნდაძე — კტიტორული რელიეფი ცაიშიდან . . . . .	24
ნანა ბლანდინი — არაბული წარწერები XVIII საუკუნის ქართული კედლის მხატვრობის ძეგლებში	30
პაატა ხიმშიაშვილი — ძველი ქართული ტიხრული მინანქრის ოქროს მდგენლების მ რჩილვის ტექნოლოგიის აღდგენისათვის . . . . .	42
ბელა ბამბარაძე — წყალქვეშ მოქცეული არქეოლოგიური ძეგლები . . . . .	44
ნოდარ ივანიძე — ანეკიდა და მისი შემოგარენი . . . . .	51
თამაზ დვალის — კლავ ვანაძიას „ქველანდობის“ გუმბათოვანი ტაძრის თავდაპირ-ველი ფორმის შესახებ — ქასუბი რეცენზენტს	57
ციცლა პაბუაშვილი — 80 . . . . .	71
ვულფგანგ იუბილარს . . . . .	72
ანოტაციები რუსულ და ინგლისურ ენებზე . . . . .	75—79

## СОДЕРЖАНИЕ

Мариям Дидебулидзе — Архитектура церкви Спаса в с. Зенобани . . . . .	5
Давид Хошгария — Нука-Сахдари — архитектурный памятник IX века в Кларджети . . . . .	16
Тамар Хундадзе — Ктиторский рельеф из Цаиши . . . . .	24
Нана Алексидзе — Арабские надписи в грузинских памятниках монументальной живописи XVII в. . . . .	30
Важа Химшиашвили — Технология пайки золотых составляющих перегородчатых эмалей . . . . .	37
Гела Гамк्रेлидзе — Затопленные археологические памятники . . . . .	44
Нодар Иванидзе — Аиквита и его окрестности « . . . . .	51
Тамаз Двали — Еще раз о начальных формах купольного храма «Вачнадзინი» — ответ рецензенту . . . . .	57
Ц. Габашвили — 80 . . . . .	71
Поздравляем юбиляра . . . . .	72
Аннотации на русском и английском языках . . . . .	75—79



ზენობანის მაცხოვრის ეკლესია, ხედი  
სამხრეთ-აღმოსავლეთით.

Церковь Сваса в Зенобани.  
Вид с юго-востока.

მარიამ დიდებულში

### ზენობანის მაცხოვრის ეკლესიის ხუროთმოძღვრება

X—XI საუკუნეები ქართული ხუროთმოძღვრების აყვავების ხანაა, შემოქმედებითი ენერგიით იმდენად დამუხტული, რომ ამ პერიოდში შექმნილი თითქმის ყველა ძველი ხუროთმოძღვრული შედევრი თუ არა, ყოველ შემთავებაში, მაღალი რანგის ნაწარმოებია. ყველაზე მოკრძალებული ნაგებობაც კი, რომელიც ხშირად მკვლევარების ყურადღების მიღმა რჩება, ამ ბრწყინვალე ეპოქის უცილობელ კვალს ატარებს! მათ რიცხვს მიეკუთვნება ზენობანის მაცხოვრის ეკლესიაც, რომელიც თავისი იერით, პროპორციებით, კედლის წყობით, შიდა სივრცის გაფორმებით და, რაც მთავარია, დეკორის ხასიათით პირველი ნახვითანავე ამ პერიოდის ხუროთმოძღვრებასთან იწვევს ასოციაციას.

ზენობანი გელათისგან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ სოფელ კურსების ნაწილია, მისი „ზედუბანი“, მაღლა, მთის ფერდობზე გაშლილი. სოფლის თავში, გალანით გარშემორტყმული სასაფლაოს შუაში, აღმართულია მაცხოვრის ეკლესია, რომლის ღია ფერის, თითქმის თეთრი კედლები მკაფიოდ გამოიყოფა გარემო სიმწვანეში.

ეკლესიის ეზოში ვხვდებით კარიბჭის გავლით, რომლის თავდაპირველი ნაწილი — კარგად თლილი ღია მოყვითალო ქვით ნაგები კამარით გადახურუ-



ლი გასასვლელი — მოგვიანებით გაღრმავებულა და გადიდებულა ექვთიმე ჭავჭავაძის ტენი ქვით ამოყვანილი კედლებით. ეზოს მხრიდან კარიბჭის *საქართველოს* მორკალული ქვის კიბე აღის და, თუმცა ფანჩატურის კვალიც კი არ არის დარჩენილი, წრიულად დაწყობილი ქვების რიგი მიუთითებს აქ ადრე სამრეკლოს არსებობას. ეზოს ტერიტორიაზე დარჩენილი მცირე ნაგებობების ნაშთები გვაფიქრებინებს, რომ აქ მხოლოდ და მხოლოდ რიგითი სოფლის ეკლესია კი არ იყო, არამედ უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციის მქონე რელიგიური სამყოფელი.

დღესდღეობით ეს არის მცირე ზომის დარბაზული ეკლესია დაბალი მინაშენით დასავლეთის მხრიდან. სწორედ ამ ორი, სხვადასხვა სიმაღლის მოცულობის საფეხუროვანი მონაცვლეობა აღმავალი ხაზით სამხრეთ დასავლეთის კუთხით იშლება ჩვენ წინაშე კარიბჭიდან შემოსვლისას.

ეკლესია ნაგები არის ღია ფერის კირქვით, რომლის ჩინებულად გათლილი კვადრები ისე მკიდროდ არის მიჯრილი ერთი მეორეზე, რომ, მიუხედავად ქვების წყობის არარეგულარულობისა, კედელი ლამაზ, გლუვ, ერთიან ზედაპირად აღიქმება. კედელს ზოგ ადვილას ეტყობა გადაწყობის კვალი (განსაკუთრებით სამხრეთ ფასადზე). როგორც ჩანს, პერანგი ადგილ-ადგილ მორღვეული იყო და მოგვიანებით ქვები კვლავ ჩამაგარეს შედარებით უხეში ხსნარით. სამხრეთ კედელში გაჭრილი უხარმანარი სარკმელი ტლანქი პროფილირებული საპირით უქვევლად გვიანია, არა უადრეს XIX საუკუნის ბოლოსი, ისევე, როგორც აღმოსავლეთი სარკმელიც. საფიქრებელია, რომ ორივე ამ ღიადს თავდაპირველად იმგვარივე ორნამენტული სამკაული ექნებოდა, როგორც დასავლეთის სარკმელს, რომლის ლამაზი თავსართი უდავოდ ეკლესიის აგების თანადროულია. ასევე თავდაპირველი უნდა იყოს თარო-კარნიზი, რომელიც მთელ ტაძარს გასდევს, და კარნიზის ქვეშ, გრძივ ფასადებზე 2—2 დიდი ზომის ქვა ცხოველთა სკულპტურული გამოსახულებებით და მათგან თანაბარი ინტერვალებით ჩადგმული კრონშტინების მსგავსი ქვის ძელები.

ტაძარში შეეყვართ ორ კარს — დასავლეთიდან და სამხრეთიდან. საკურთხევლის გვერდით ჩრდილო კედელში გაჭრილია კიდევ ერთი კარი, მაგრამ იგი ამოქოლილია. კარებს ნახევარწრიული თალები აქვთ ინტერიერში, ფასადებზე კი მართკუთხა მოხაზულობა. საკურთხეველში და დასავლეთის და სამხრეთის კედლებში გაჭრილია თითო სარკმელი (სამხრეთისა, როგორც აღვნიშნეთ, გადიდებულია). დარბაზის კამარის საბჯენი თალი, რომელიც კარგად თლილი ქვის დიდი კვადრებით არის ამოყვანილი და ოდნავ შეტეხილი ფორმა აქვს, ეყრდნობა წყვილ პილასტრს, ხოლო კამარისა და დასავლეთის კედლის გადაკვეთაზე ამოყვანილი თალი საფეხუროვან იმპოსტებს. პილასტრების კაპიტელები შემკულია ჩუქურთმით, ფართო, გაშლილი აბსიდის კაპიტელები კი მარტივად არის პროფილირებული. ეკლესიის შემადგენელი პროპორციები, გვერდის კედლების დაუნაწევრულობა თითქმის უფრო დიდად მოგვაჩვენებს სივრცეს, ვიდრე ის სინამდვილეში არის.

შიდა სივრცის მხატვრულ გაფორმებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება პილასტრებს, რომლებიც ზენობაში საკმაოდ უცნაური ფორმისაა. ისინი გაცილებით ვიწროა საბჯენ თალზე და მხოლოდ კაპიტელიდან დაახლოებით 1 მ-ის დაშორებით ფართოვდება ზედა ნაწილში, თანაც გადასვლა განსხვავე-



ბულია ორივე მხარეს. ასევე უცნაური მოყვანილობისაა საკურთხევლის პილასტრები, რომლებიც კუთხეს ქმნიან არა მხოლოდ დარბაზის, არამედ მისი კედელთანაც. კონქთან მიახლოებისას პილასტრის სიბრტყე აბსიდის კედლის ზედაპირში გადაიზრდება, ერწყმის მას, ისე რომ, კუთხე მათ შორის ქრება და ამავე დროს თაღის სიბრტყე განივრდება დარბაზის სივრცის მიმართულად. კაპიტელი კი, რომელმაც ფაქტობრივად კავშირი დაკარგა პილასტრთან, მაინც არის გამოკვეთილი დარბაზის კაპიტელების დონეზე. ამ, თუმცა ნაირგვარ, ფორმათა გამოვრების რიტმი კრავს შიდა სივრცეს.

ამგვარად, ზენობანის ხუროთმოძღვარი საკმაოდ მოულოდნელ ხერხებს იყენებს შიდა სივრცის გასაფორმებლად, მოულოდნელს და იმდენად უჩვეულოს, რომ თავდაპირველად ეს უუნარობის გამოვლინებად მივიჩნიეთ, მით უმეტეს, რომ პილასტრების „ჩამოკვეთა“ საკმაოდ ტლანქი და დაუდევარია, არ გააჩნია შემომფარგვლელი ხაზის ის სრულყოფა, სიმკაფიოე და სიზუსტე, რაც მაღალი რანგის ძეგლებს ახასიათებს. მაგრამ უფრო საეარაუდოა, რომ ოსტატმა მოეცა დროის საერთო განწყობის ქვეშ, იმ დროისა, რომელიც მოსდევდა გარდამავალ ხანას და ახალი, ცხოველხატული სტილის წინასაფხური იყო, დროისა, რომელიც უკვე მოიცავს თავის თავში დასრულებულ სივრცით და პლასტიკურ კომპოზიციებს ახლებურ შესაძლებლობებს, მაგრამ ჭერაც ტკბება გარდამავალი ხანის თავისუფლებით, თითქმის უპასუხისმგებლო თავისუფლებით. გვიხსენოთ თუნდაც ზემო-კრიხის შიდა კედლების გაფორმება<sup>2</sup>, ან ხცისის ფასადების გადაწყვეტა<sup>3</sup> ასევე მოულოდნელი და თითქოს გაუმართლებელი კომპოზიციური ხერხებით, ზენობანის ხუროთმოძღვარი ალბათ უფრო მოკრძალებული ოსტატია თავისი ნიჭით და შესაძლებლობებით; ცოტა გაუბედავად, მაგრამ მან მაინც თავისებურად გაიაზრა და სცადა განეხორციელებინა დროისთვის დამახასიათებელი ტენდენცია ასიმეტრიული, დინამიური, კონტრასტებსა და ცხოველხატულ ეფექტებზე დამყარებული კომპოზიციებისკენ — შეეცადა დარბაზული ეკლესიის მარტივი სივრცე და გლუვი სიბრტყეები აემოძრავებინა და პლასტიკურად გამოეკვეთა — ერთი მხრივ მართო ჩუქურთმით, მეორე მხრივ კი პილასტრების ფორმის სახეცვლილებით მართლაც შეიტანა გარკვეული მრავალფეროვნება, მით უმეტეს, რომ გრძივი კედლების მონაკვეთების განსხვავებული ზომაც (დასავლეთისა უფრო განიერია) აძლიერებს სივრცის დინამიურ აღქმას. შესაძლოა პილასტრების ზედა ნაწილის ასიმეტრიული, ჩამოკრილ-ჩამოკვეთილი ფორმა გარკვეული გამომახილია კედლის ყრუ თაღებისა, რომელთა მეშვეობით გრძივი კედლების დანაწევრება ძალზე მიღებული გახდა გარდამავალი ხანის შემდეგ<sup>4</sup>.

ამჟამად ტაძრის შიდა კედლები მთლიანად დაფარულია მოხატულობით, რომელიც XIII ს-ის I ნახევარში არის შესრულებული<sup>5</sup>, მაგრამ რამდენიმე ადგილას, სადაც ბათქაში ჩამოკვენილია, ჩანს საკმაოდ კარგად გათლილი ქვების წყობა. ეს კვლავ იმას მიგვანიშნებს, რომ ტაძრის აგების დროს ჭერ კიდევ არ იყო მიღებული ინტერიერის მთლიანად შემკობა მხატვრობით და ამიტომ შიდა სივრცის მხატვრული სახის შექმნაში სწორედ არქიტექტურული დეტალების გაფორმებას ენიჭებოდა ყურადღება. სწორედ X ს-ის და XI ს-ის დასაწყისის ძეგლებში ვხვდებით ყველაზე ხშირად ჩუქურთმით შემკულ კაპი-






ქართული  
ენციკლოპედია


ზენობანის მაცხოვრის ეკლესია. გეგმა.

Церковь Сваса в Зенобани. План.




განვივი კრძლი.


Поперечный разрез.



გრძივი კრძლი.

Продольный разрез.





პილასტრების ფორმა ინტერიერში. (სქე-  
მა).

Форма пиллестр в интерьере.  
(Схема).

ტელებს<sup>6</sup> (ბაგრატის ტაძარი, ფარაენა, აზავრეთი, ბურნაშეთი, ხახული, დო-  
დოთი და სხვ.). ზენობანში პილასტრების კაპიტელები შემკული არის საკმაოდ  
მაღალი რელიეფით შესრულებული თითოეულ მხარეს განსხვავებული სახის  
მცენარეული ორნამენტებით. სამხრეთისაზე კომპოზიცია უფრო რიტმული და  
დინამიკურია, ჩრდილოეთისაზე კი უფრო ცენტრირებული და სტატიკური.  
ორივე შემთხვევაში ფოთლებიანი ყლორტის გამოსახულება თითქოს ზემოდან  
არის დადებული კაპიტელის სიბრტყეზე, რაც აგრეთვე X—XI ს-თა მიჯნის  
ხელოვნებას ახასიათებს<sup>7</sup>. ფონის მიმართ პერპენდიკულარულად ჩაჭრილი  
ორღარიანი ლენტით და ღრმად, პლასტიკურად ამოკვეთილი ფოთლებით შედ-  
გენილი ეს ლამაზი ჩუქურთმა ძალიან ოსტატურად არის შესრულებული, მაგ-  
რამ ის ცხოველხატულობა, რომელიც უკვე XI ს-ის შუახანის ნიმუშებს ახა-  
სიათებს, აქ ჭერ კიდევ სრულად არ არის გამოვლენილი<sup>8</sup>. როგორც ვნახავთ,  
ფასადის ჩუქურთმაც მსგავსი პრინციპით არის შესრულებული, თუმცა მას  
თავის მდებარეობის გამო მეტი სიმკაცრე ახასიათებს.

საკმაოდ უჩვეულო დეტალი არის კონქის ქიმში ჩადგმული ნახევარ-  
წრიული ფორმის, რელიეფური ქვა, დანაწევრებული მარაოსავით გაშლილი  
რვა სეგმენტად, რომელთა მომრგვალებულ ბოლოებში წრეები არის ჩაწე-  
რილი. იგი გარკვეულად მოგვაგონებს ეკლესიების ფასადებზე გაჭრილი სამ-  
კუთხა ნიშების თაღოვან დაგვირგვინების შემამკობელ ფორმას. ქვა იმგვარად  
არის ჩადგმული, რომ მისი სწორი კიდე კონქის თაღისკენ არის მიმართული,  
ნახევარწრიული კი სიღრმისკენ და ამგვარად თითქოს მიკროფორმაში იმეო-  
რებს კონქის ფორმას.

თუ ინტერიერის გადაწყვეტაში იგრძნობოდა გარკვეული გაუბედაობა,  
ახლებური გადაწყვეტის ბოლომდე განხორციელების შიში, ფორმების ერთგ-  
ვარი ამორფულობა, ეკლესიის ექსტერიერს დასრულებული და მზატვრუ-  
ლად ჩამოყალიბებული სახე აქვს. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ნაგებობას  
უცვლელი სახით არ მოუღწევია ჩვენამდე და თავისი თავშეკავებული, მაგ-  
რამ ლამაზი დეკორის ნაწილიც დაუკარგავს.

რამდენიმე დეტალი მიგვანიშნებს, რომ ეკლესიის თავდაპირველი კომ-



პოზიცია სხვაგვარი იყო. ძირითად ერთნაიან ნაწილს ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან უფრო დაბალი გარშემოსავლელი ჰქონდა. მარჯვლეთიდან გორც აღენიშნეთ, საკუროთხველის გვერდით ჩრდილოეთის კედელში სათლად ჩანს ამოჭოლილი კარი დიდი ბალავრის ქვით ფსადზე (მსგავსი სამხრეთის კარისა). უმეტეს შემთხვევაში, საკუროთხველიდან ასე ახლოს გაჭრილი კარი გარედან შემოსასვლელს კი არ წარმოადგენს, არამედ რაიმე დამატებით სათავსთან აკავშირებს ცენტრალურ სივრცეს. მართლაც, ჩრდილო ფსადზე გაიჩვენა მინაშენის არსებობის კვალი: კედლის დასავლეთ ნაწილში, დაახლოებით 2,5 მ-ის სიმაღლეზე არის კამარის წყობის საწყისი რიგი-წრეთარგის ფორმის ქვები, რომლებიც ხსნართაა მიმაგრებული კედლის ზედაპირზე, ე. ი. მინაშენი „მიდგმული“ იყო ძირითად კორპუსზე და არ იყო გადაბმული მასთან. ხსნარის კვალი ფსადის მთელ სიგრძეს მიუყვება, მაგრამ რაიმე სხვა მინიშნებას ეკედერის სივრცის სტრუქტურის ან პროპორციების შესახებ, ვერ ვპოულობთ. ჩრდილოეთის კედლიდან 1,65 მ-ის დაშორებით, მიწაში ჩანს რამოდენიმე შედუღაბებული ქვა, რომლებიც შესაძლოა გარშემოსავლელის კედლის ნარჩენი იყოს. ტერიტორიის სათანადო გაწმენდამდე და გათხრამდე რაიმეს დაბეჯითებით თქმა ძნელია.

ასეთივე რიგი კამარის ქუსლის ქვებისა არის დასავლეთის ფსადზე, აგრეთვე „მიდგმული“ და არა გადაბმული ძირითად წყობასთან. კამარის ღერძის მიმართულება ცენტრალური დარბაზის კამარის ღერძის პერპენდიკულარული იყო, ე. ი. მინაშენის სივრცე ფსადის გასწვრივ ვითარდებოდა, შესაძლოა ერწყმოდა ჩრდილოეთის მინაშენს და არ წარმოადგენდა ცალკე გამოყოფილ ერთეულს, როგორც ამჟამად. დასავლეთის მინაშენის ამჟამინდელი სახე ორფერდა სახურავით (კამარა არ გააჩნია, სახურავი პირდაპირ ზის ნივნივებზე არის დადებული) და ფრონტონიანი კედლით, ეტყობა, იმ რემონტის დროინდელია, როდესაც გადაკეთდა აღმოსავლეთის და სამხრეთის სარკმლები და შეკეთდა ალაგ-ალაგ შემოქარცილი პერანგი. თუ მხედველობაში მივიღებთ ძველი კამარის მიმართულებას ფსადის გასწვრივ, უნდა ვივარაუდოთ, რომ სახურავი ცალფერდა იყო, კუთხით დახრილი ფსადის მიმართ, ისევე, როგორც ჩრდილოეთის ნაწილისა. ამ შემთხვევაში დასავლეთის მინაშენის კარის თავზე ამჟამად დადგმული ორნამენტირებული თავსართის თავდაპირველი ადგილი საეჭვო ხდება, თუმცა ჩვენ ლოგიკურად მიგვაჩნია იმის დაშვება, რომ იგი წინათაც ამ მინაშენის კარს ამკობდა. თანაც ორნამენტი თავისი ხასიათით იმ დროის ფარგლებს არ სცილდება, რომელიც ჩვენ თავიდანვე მივიჩნიეთ ეკლესიის აგების სავარაუდო პერიოდად.

ეკლესიის შემამკობელი ჩუქურთმა მართლაც ერთი ყველაზე სარწმუნო ნიშანთაგანია მისი დათარიღებისათვის. დეკორით გამოყოფილია ეკლესიის დასავლეთის სარკმელი, დასავლეთის მინაშენის კარი; სამხრეთის კარის ბალავრის ქვაზე ამოკვეთილი სამსტრიქონიანი წარწერის ჩარჩოს არშიის მარტივი წნული კუმურდოს აღმოსავლეთის სარკმლის მსგავსი, მხოლოდ ცალ მხარეს არის ამოკვეთილი და დაუმთავრებელია. საფიქრებელია, რომ თავსართებით იქნებოდა შემკული აღმოსავლეთისა და სამხრეთის სარკმლებიც, ასე რომ ადრე ეკლესიას უფრო მდიდრული იერი ექნებოდა, ვიდრე ახლა. მხოლოდ ღიადების გამოყოფა დეკორით, მისი შესრულების მანერასთან ერთად, კვლავ X ს. დასასრულის ძეგლებთან აახლოვებს ზენობანის ეკლესიას.



მიტუმეტეს, რომ ღიადებს საპირეები არ ჰქონდათ „მხოლოდ თავსართები“.

დასავლეთის სარკმლის თავზე ამოკვეთილია ორნამენტური თავსართების ნაგებობა. რკალის ქვეშ მოქცეული განედლებული ჯვარი. კედლის სიბრტყიდან დაშორებულად ამოწეული თაროსა და ლილვისგან შემდგარ თავსართს, პორიზონტალურად გადაკეცილი ბოლოებით, ქვემოდან მიუყვება გაცილებით უფრო დაბალი რელიეფით ნაკვეთი გეომეტრიული კუწუბოვანი ორნამენტი (მკიდროდ მიჭრილი კონცენტრული წრეები, რომელთა ქვედა სეგმენტი ამოკრულია და წვეროთი ქვევით მიმართული ფოთლების რიგს მოგვაგონებს), რომლის მოტივი ძალიან დამახასიათებელია X ს-ის დასასრულის — XI ს-ის I ნახ. ძეგლებისთვის და ფაქტობრივად ამ დროის შემდეგ არ გვხვდება<sup>11</sup> (ტბეთი, იშხანი, ჩანგლი, ხცისი, ვალე, ეხვევი, დოდოთი, სავანე, ქორეთი, და სხვ.). ამ ჩინებულად ნაკვეთი ორნამენტის გეომეტრიულ სიმკაფიოვს და გრაფიკულობას უპირისპირდება ჯვრის განედლებული ყლორტების უფრო პლასტიკური კვეთა, უფრო ძარღვიანი ნახატი, შუქჩრდილის ცხოველხატული თამაში. ჯვრის ყლორტების შესრულების მანერა იგივეა, რაც ინტერიერის კაპიტელების ჩუქურთმისა. ისინი, მიუხედავად შედარებით პლასტიკურობისა, ქართული ხელოვნების ცხოველხატული სტილის საწყის, უფრო სიბრტყობრივ-გრაფიკულ ეტაპს, მიეკუთვნება. დასავლეთის სარკმლის თავსართის მძლავრი რკალი მკვეთრად გადმოზიდული თაროთი მშვენივრად არის მორგებული ფასადის პროპორციებს და კი არ იკარგება კედლის გლუვ ზედაპირზე, არამედ თითქოს სტრუქტურულად კრავს მას.

დასავლეთის მინაშენის კარის თავზეც ორნამენტირებული თავსართით დაგვირგვინებული განედლებული ჯვარი არის გამოსახული, მაგრამ სხვაგვარი სახის და სხვაგვარად. აქ ჩუქურთმა კედლის სიბრტყეში არის ჩაკვეთილი და არა მასზე დადებული. თავსართის ერთმანეთში ჩახლართული წრეების წნულის მოტივი საკმაოდ გავრცელებულია სხვადასხვა დროის ქართულ ძეგლებში, განსაკუთრებით კი XI ს-ში: ბაგრატის ტაძარი, სპეთი, სამთავრო, სავანე და სხვა. ჯვარს გრებილით შედგენილი ოთხივე მკლავი აქვს განედლებული (და არა მხოლოდ ქვედა, როგორც სარკმელზე). კაპიტელების და სარკმლის ჩუქურთმისგან განსხვავებით, იგი არ არის ამოწეული კედლის სიბრტყიდან, არამედ თვით ამ სიბრტყის დონეზეა, ხოლო ფონი წნულსა და ფოთლებს შორის ჩაკვეთილია, თანაც საკმაოდ ღრმად, ისე, რომ იქმნება მუქი ჩრდილები. გარდა ამისა, ჯვრის მკლავებზეც და ფოთლებზეც ბურღით ჩაჭრილია ღრმა ხვრელები, რომლებიც შავი მარგალიტებივით გაბნეულია ჩუქურთმაზე. ეს, თითქოს წრეში ჩახაზული გამოსახულება ჯვრისა უფრო ცხოველხატულია თავისი ბუნებით. აქ უდაოდ სხვა ოსტატის ხელს ვხვდავთ და, თუმცა ორნამენტის სახეც და კვეთაც XI ს-ის შუა ხანას არ უნდა სცდებოდეს, დროთაღ უფრო გვიანი ჩანს, ვიდრე კაპიტელების და დასავლეთის სარკმლის შემკულობა. თუ, როგორც ჩვენ ვგვონია, ეს თავსართი თავდაპირველად დასავლეთის მინაშენის კარს ამკობდა, ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საკუთრივ ეკლესია აშენდა X—XI სს-თა მიჯნაზე, ხოლო ეკვდერი ან გარშემოსავლელი რამდენიმე ხნის მერე — უკვე XI ს-ის I ნახევარში (ან შუა ხანში) „მიღგმულ“ იქნა ძირითად კორპუსზე, თუმცა მისი აგება თავიდანვე უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, რაზეც ჩრდილოეთის კედელში გაჭრილი კარი მიუთითებს.



კაპიტული.

Капитель.

დასავლეთის სარკმლის თავსართი.



დასავლეთის მინაშენის კარის თავსართი.

Навершие двери западной пристройки.





ხარის თავი სამხრეთის ფასადზე.

Голова быка на южном фасаде.

ეკლესიის შემკვლობის ერთი ყველაზე საინტერესო და ორიგინალური ელემენტია თაო-კარნიზის ქვეშ მოთავსებული ცხოველთა ქანდაკებები და ქვის კრონშტეინები, რომელთა განლაგება გრძივ ფასადებზე ძალიან მსგავსი და რეგულარულია: ყოველი კედლის კუთხიდან 60—70 სმ-ის დაშორებით სიბრტყიდან მკვეთრად გამოწეულია პორიზონტალური ქვის ძელი და მისგან 30—40 სმ-ით დაშორებით უფრო დიდი ზომის ქვა სკულპტურული გამოსახულებით. როგორც აღვნიშნეთ, ეკლესიის საფასადო დეკორი რამდენიმე ადგილას იყო კონცენტრირებული კედლების გლუვ, ერთფეროვან ზედაპირზე. ცხოველთა პროტომების და კრონშტეინების ამგვარი რიტმული განლაგება არის ერთგვარი მხატვრული ხერხი ფასადების ერთიან კომპოზიციაში გაერთიანებისა. როგორც ცნობილია, სწორედ ამ ეპოქაში, X ს-იდან მოყოლებული, ქართულ ხუროთმოძღვრებაში ჩნდება მისწრაფება ფასადების მხატვრული გაერთიანებისკენ დეკორაციული თაღედის საშუალებით<sup>2</sup>. ზენონანის ოსტატი ეპოქის ამ ტენდენციასაც იზიარებს, თუმცა უფრო მარტივად წყვეტს ამოცანას, თანაც ინტერიერისგან განსხვავებით მხატვრულად უფრო სრულყოფილ და ეფექტურ სახეს ჰქმნის. გამოპყოფს რა კონსტრუქციულად მნიშვნელოვან ადგილს — შიდი და საზიდი ნაწილების გადაკვეთის ადგილს ასევე კონსტრუქციული იერის მქონე ელემენტებით — იგი დაძაბულობას და შერულობას ანიჭებს ეკლესიის შთელ გარე სახეს. ეს რიტმულად, თუმცა არა მონოტონურად განლაგებული, კედლიდან საკმაოდ გამოზიდული ქვის ბოლოები აცოცხლებენ კედლის გლუვ ზედაპირს. მხატვრულად აერთიანებენ ფასადებს, თითქოს გვირგვინს უქმნიან ეკლესიას, ამკობენ და ძალიან თავისებურ იერს ანიჭებენ მას.

ცხოველთა პროტომების მოთავსება ნაგებობის ფასადებზე და ხოვცერ/ ინტერიერშიც საკმაოდ გავრცელებულია ქართულ ხუროთმოძღვრებაში. გავიხსენოთ თუნდაც ისეთი ადრეული მაგალითები, როგორც ანტიკური სიონის სანათლავის და სვეტიცხოვლის ტაძრის ხარის თავები<sup>12</sup>, მაგრამ თუ მასალას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ეს თემა ყველაზე აქტუალური სწორედ X—XI სს-ში იყო — ხახული, ოშკი, ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველი, ზემო-კრიხი, ხიმში, ნაკიფარი, იფხი, სალამოს ტბის ეკლესია, ზემო ბოშური, უწერა, ეხვევი და სხვა. ამგვარ გამოსახულებებს უფრო მოგვიანებითაც ვხვდებით; რკონი, ზარზმა — და მაინც ჩვენთვის საინტერესო დრო იძლევა ამის ყველაზე მეტ ნიმუშს.

კარნიზის ქვეშ პროტომების ზენობანის მსგავსი განლაგება თითქმის უნიკალურია, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ცნობილ ძეგლებში. პროფესორ ნათელა აღადაშვილის ცნობით, მას ემსგავსება რაპსში სოფ. ხიმშის ეკლესიის შემეულობა, მხოლოდ იქ ქანდაკებები ერთ ფასადზე არის განლაგებული, კონშტრუქციები კი საპირისპიროზე. საინტერესო არის ზენობანის პროტომების არა მხოლოდ კომპოზიცია, არამედ მათი სემანტიკაც: სამხრეთის ფასადზე ხარის და ვერძის თავები, ჩრდილოეთისაზე კი ლომი და არწივი (მთლიანად არის გამოსახული). თუ არა ვერძი, ვიფიქრებდით, რომ ეს არის ოთხი მახარობლის სიმბოლო ტაძრის ოთხსავე კუთხეში. მაგრამ ანგელოზის მაგივრად ვერძის გამოსახვა ერთგვარად არღვევს ამ ჰიპოთეზას. მიუხედავად ამისა, ჩვენ გვგონია რომ ამ სკულპტურული ანსამბლის საფუძველს მაინც მახარობელთა სიმბოლოები წარმოადგენდა. გავიხსენოთ კუმურდოს ტაძრის აღმოსავლეთის სარკმლის საპირის რელიეფი.

ცხოველთა ქანდაკებები საინტერესოა პლასტიკის თვალსაზრისითაც. ეს თითქმის მრგვალი ქანდაკებებია, თანაც გამოსახულია არა მხოლოდ თავები, არამედ წინა კიდურებიც (განსაკუთრებით საინტერესოა ლომის ფიგურა ლოყებზე მიდებული თათებით). ნაწილობრივი დაზიანებულობის მიუხედავად, კარგად განირჩევა მთლიანი, განზოგადებულად მოცემული მოცულობითი ფორმის სისავსე, რომელზეც გრაფიულად, ქდეების ან ჩაბურღული ხერხების სახით აღნიშნულია დეტალები: თვალები, ნესტოები, კბილები, ბუმბულები. ფორმის ერთი სიბრტყიდან მეორეზე გადასვლა რბილია და თანდათანობითია (განსხვავებით ბაგრატის ტაძრის სვეტის კაპიტელზე ვერძის უფრო დაწახნაგებული ფორმებისგან). ოთხივე გამოსახულება თავისი იკონოგრაფიული ტიპით ძალიან გავს სხვა ქართულ ძეგლებზე არსებულ ნიმუშებს, თუმცა შესრულების ხარისხი განსხვავებულია. გამოსახულებანი გამდიდრებულია დამაჩერებლად გადმოცემული დეტალებით: კისრის განსხვავებული ფორმა ვერძის და ხარის გამოსახულებაზე, ხარის გადმოყოფილი ენა და სხვა.

როგორც პლასტიკური ხელოვნების ნიმუშები ეს ქანდაკებები ცალკე შესწავლას მოითხოვენ. ჩვენთვის კი ერთი მომენტი არის საინტერესო. სახელობრ, მათი ნაზღასმული პლასტიკურობა, რაც ძეგლის აგების თარიღს კვლავ XI ს-ის I ნახევრის ფარგლებში მოაქცევს.

ეკლესიის ასევე ძალიან საინტერესო და ერთგვარად საიდუმლოებით მოცული ელემენტია ქვის ძელები ან კონშტრუქციები, რომლებიც ოთხივე



ქანდაკების გვერდით არის ჩადგმული. ერთი მათგანი, ვერძის გვერდით, კარგად არის შემორჩენილი: კედლიდან პორიზონტალურად გამოშვებული ძველი დაიწროვებული და ერთგვარად აზნექილი ბოლოთი, თითქოს რაიმე სვეტიცხოველურ დენად გამზადებული. ამგვარი კრონშტეინები უფრო მეტად მთიანი რაიონების ხუროთმოძღვრებაში გვხვდება: ზემო-კრიზი, ხიმში, კვირიკე-წმინდა, გონი და სხვ. პროფესორი ვახტანგ ცინცაძე ზემო-კრიზის ეკლესიისადმი მიძღვნილ ნაშრომში განსაზღვრავს მათ ფუნქციას, როგორც საურდენს გრძივი ხის კოკებისა, რომლებსაც ებჯინებიან სახურავის ნივნივები<sup>1</sup>. შესაძლოა ეს თავდაპირველი ფუნქცია მერე დაიკარგა და მათ უფრო დეკორაციული მნიშვნელობა მიიღეს, მაგ. კვირიკე-წმინდაში ისინი ნაყლებად გამოშვებულია კედლიდან, ვიდრე ზემო-კრიზისა და ზენობანში და თანაც ორნამენტითაა შემკული. ამგვამად, როცა ზენობანში ძველი სახურავი აღარ არის, უფრო მნიშვნელოვანი ნდება ტაძრის ფასადების გაფორმებაში პროტომებთან მათი რიტმული მონაცვლეობის მხატვრული ეფექტი.

და ბოლოს ორიოდ სიტყვით შევჩერდებით წარწერაზე, რომელიც სამხრეთის კარის ბალაგრის ქვაზე არის ამოკვეთილი არათანაბარი, ცოტა დაუდევრად შესრულებული ასოებით. სამწუხაროდ, ეს სამსტრიქონიანი წარწერა იმდენად დაზიანებულია, რომ რაიმე კონკრეტული ისტორიული ცნობის მიღება შეუძლებელია, რაც მით უფრო დასაინანია, რომ ვერც ისტორიულ წყაროებში მოვაგენით რაიმე ინფორმაციას ამ ძეგლის შესახებ.

ამგვარად, თითქმის ყველა ნიშნით, ზენობანის მაცხოვრის ეკლესია X—XI ს-თა მიჯნაზე უნდა იყოს აგებული, და ეკვდრებიც XI საუკუნეშივე ექნებოდა მიშენებული. მისი აღმშენებელი ხუროთმოძღვარი წარმოგვიდგება ძალიან საინტერესო, მაგრამ მარქაიზებელ ოსტატად, რომელიც თუმცა არ დგას ეპოქის ახალი მხატვრული პრობლემების გადაწყვეტის ივანგარდში, მაგრამ თავის ნაწარმოებში თავისებურად და საინტერესოდ ასახავს ამ ახლებურ ტენდენციებს.

1. ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 52.
2. ვ. ცინცაძე, ზემო-კრიზის ხუროთმოძღვრული ძეგლი. ქართული ხელოვნება, VI A თბ., 1963, გვ. 60—61, სურ. 4.
3. P. Шмерлинг, Древний Цинмоестский храм близ села Хциси, ქართული ხელოვნება, 4, თბ., 1955, გვ. 144—143, 166—168.
4. P. Шмерлинг, დასახ. ნაშრ. გვ. 158.
5. M. Дидебулиძე, Два памятника монументальной живописи в верхней Имерети, TV международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1983.
6. რ. მეფთისაშვილი, ვალეს ტაძარი, ქართული ხელოვნება, თბ., 1950, გვ. 38.
7. P. Шмерлинг, Самтавро, памятник XI века.
8. რ. შერლინგი, ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, თბ., 1954.
9. ეკლესიის მკვლელს გ. ვოგოლაშვილს ცნობით, ამჟამინდელი დასავლეთის მინაშენი 30-იან წლებში მათ თანაყოფელს ნ. ნიშნაიძეს აუგია ძველ საბრკველზე ძველვე ქვების გამოყენებით „ზუსტად ისე, როგორც ადრე იყო, ვიდრე მეწუერი დაანგრავდა“.
10. შვადრ. В. Беридзе, Архитектура Тао-Кларджети, стр. 91.
11. ვ. ბერიძე, სავანე, ქართული ხელოვნება, თბ., 1942, გვ. 111. რ. მეფთისაშვილი, ვალეს ტაძარი, გვ. 45—46.
12. В. Беридзе, Архитектура Тао-Кларджети, стр. 82—87.
13. Н. Алаძашвили, Монументальная скульптура Грузии, М., 1977.
14. ვ. ცინცაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 62—63.



**ნუკა-საქარბარი — IX საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი კლარჯეთში**

სამხრეთ საქართველოში, ისტორიული შავშეთისა და კლარჯეთის პროვინციებში, მრავალი შესანიშნავი ხუროთმოძღვრული ძეგლია, რომელთა გაუთვალისწინებლად შეუძლებელია ქართული არქიტექტურის განვითარების გზის სრულად და ყოველმხრივად წარმოდგენა. რამდენადაც დღეს ეს ძეგლები ქართული ხელოვნების მკვლევართათვის პრაქტიკულად მიუწვდომელია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის აღწერები. ფოტოები და გრაფიკული მასალა, რომლებიც XIX საუკუნისა და XX საუკუნის პირველი ათწლეულების ბეცნიერთა თუ მოგზაურთა ნაშრომებში მოიპოვება და წარმოადგენს უძვირფასეს წყაროს სამხრეთ საქართველოს ხუროთმოძღვრების შესასწავლად.

აღნიშნული რიგის ნაშრომთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ნიკო მარის „შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურს“, რომელიც ერთ-ვის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მისულ პირველ გამოცემას<sup>1</sup>. ნ. მარის მოგზაურობის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის საასპარეზო ადგილების მოხილვა და გიორგი მერჩულეს თხზულებაში დასახელებული მონასტრების ლოკალიზაცია. მაგრამ ამ ამოცანით იგი არ შემოფარგლულა. გარდა გრიგოლის აღმშენებლობასთან დაკავშირებული მონასტრებისა — კლარჯეთის „ათორმეტი საეანისა“, მან მოიარა და აღწერა შუასაუკუნეების სამხრეთ საქართველოს პოლიტიკურ და სულიერ ცენტრებში — ანჩში, ტბეთში, არტანუჯში შემონახული ხუროთმოძღვრული ძეგლები, აგრეთვე მრავალი სხვა ნაგებობაც, მათგან ზოგიერთი არქიტექტურულად საკმაოდ საინტერესოა. მთლიანად, ნ. მარის „დღიური“ შეიცავს შავშეთ-კლარჯეთის რამდენიმე ათეული ძეგლის აღწერილობას. მათი უდიდესი ნაწილი — გარდა ტბეთისა, ოპიზისა, დოლისყანისა ენი-რაბათისა და ქვემო ფორთისა (ხანძთისა) — დღემდე ისევ მხოლოდ ნ. მარის აღწერებითა და „დღიურზე“ დართული ფოტოებით არის ცნობილი. ძნელია ამ მასალის მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ძეგლების უმეტესობა ჩვენი საუკუნის დასაწყისში უკვე ძლიერ დანგრეული იყო და დღესდღეობით ბევრი მათგანი შესაძლოა საერთოდ აღარ არსებობდეს (მაგალითად, ბერთა — ნო-იანი წლებისათვის მისგან ფუნდამენტიც აღარ იყო შემორჩენილი).

ნ. მარის „დღიურს“, სამწუხაროდ, არ ახლავს არავითარი გრაფიკული მასალა (თვით სწავლული სინანულით აღნიშნავდა, რომ ვერ მოახერხა ექსპედიციაში არქიტექტორის წაყვანა), მაგრამ ამ ნაკლს ნაწილობრივ ავსებს თვით აღწერები — ისინი მეტწილად ძალიან საფუძვლიანი და შეიცავს ყველა ძირითად რიცხობრივ მონაცემს გეგმისათვის, ხშირად კი რამდენიმე ვერტიკალურ ანაზომსაც. ეს საშუალებას გვაძლევს მიახლოვებით აღვადგინოთ და გამოვხაზოთ აღწერილ ეკლესიათა გეგმები და — ზოგჯერ — ჰრილებიც.

წინამდებარე წერილში ნ. მარის აღწერასა და ფოტოებზე დაყრდნობით განხილულია (გეგმისა და განივი ჰრილის გრაფიკული რეკონსტრუქციითურთ)



კლარჯეთის ერთ-ერთი საყურადღებო ზეოთმომცდრული ძეგლი — ნუკა-საყდარი, რომლის შესახებაც, სამხრეთ საქართველოს ათეულობით სხვა ძეგლის მსგავსად, „დღიურის“ გარდა არავითარი სხვა მასალა არ მოიპოვება.

ნუკა-საყდარი მდებარეობს სოფელ ფორთის ჩრდილოეთით, მდინარე ქარჩხალას ვიწრო ხეობაში. ნ. მარმა ის ნანძთად მიიჩნია (ასეც უწოდებს) და ალბათ ამიტომ განსაკუთრებით გულმოდგინედ აქვს აღწერილი („დღიურის“ 127—129 გვ. რამდენადაც ჩვენს მიერ მოტანილი აღწერა მთლიანად ნ. მარმის ცნობებს ემყარება, ჭკემოთ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში „დღიურის“ შესაბამისი ადგილები მითითებული არ არის). ტექსტს ერთვის ორი ფოტოსურათი — ეკლესიის საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან და ერთი ძალიან შორეული ხედი მდინარის მეორე ნაპირიდან (ტაბ. 40, 43).

კარგად შემონახული (იმდროისთვის) ეკლესია დგას თვალუწვდენელ სიმაღლეზე, კლდოვანი ფერდობის ბუნებრივ შვერილზე, რომელიც მნიშვნელოვნად არის გაფართოებული საგანგებოდ ნაშენი სუბსტრუქციით — ფორთოზის კარგად ჩანს. შენობა უშუალოდ ეკვრის ფერდობს და ნაწილობრივ კლდეშია ნაკვეთი .ის მომცრო ზომისაა, უგუმბათოა. ძირითად ნაწილს წარმოადგენს დიდი ნაღვი საკურთხევლის აფსიდით. სამხრეთიდან მას მთელ სიგრძეზე ერთკმის ბევრად უფრო ვიწრო გვერდითი ნაღვი, ხოლო ჩრდილოეთიდან — მოკლე სათავსი, რომელიც კლდეში იჭრება — მისი ჩრდილოეთის კედელი და გადახურვის ჩრდილოეთი ნახევარი კლდეშია გამოკვეთილი. სამხრეთის ნახევარი ქვითაა ამოყვანილი (ორივე ნაწილი არასწორი მოყვანილობისაა, ამიტომ მთლიანად გადახურვას დაბრეცილი, „ორქანობა“ ფორმა აქვს). ჩრდილოეთ კედელს ძირში ქვევით ამოშენებული ორი დაბალი საფეხური გაუყვება. ეს სათავსი შუა ნავს ორი კარით უკავშირდება. პირველი გადის უშუალოდ საკურთხევლის აფსიდში, მეორე — მის წინ.

დიდი ნაღვი ნუკა-საყდარში ფართოა, მცირედწაგრძელებული. სამხრეთის ნავს ის გამოეყოფა დამკდარი პროპორციის ორი თაღით (ამათგან აღმოსავლეთისა უფრო განიერია). თაღები შუაში ეყრდნობა მრგვალ სვეტს, რომელიც შვიდი ერთმანეთზე დადებული დოლაბისებრი ქვით არის ამოყვანილი. კამარა შუა ნავში ცილინდრულია და ორ საბჯენ თაღს ეფუძნება. პირველი გადაყვანილია სვეტის გაყოლებაზე, მეორე — ზედ დასავლეთის კედელთან.

სამხრეთის ნაღვი გადახურულია ნახევარკამარით. მის აღმოსავლეთ ბოლოში მოწყობილია იზოლირებული სათავსი, რომელიც — ისევე, როგორც ჩრდილოეთისა — უაფსიდოა.

ეკლესიას აქვს ერთი შესასვლელი დასავლეთიდან (აქედან ადგება მას ერთადერთი ძალზე ძნელადსავალი ბილიკი) და ხუთი სარკმელი: სამი აღმოსავლეთის კედელში (საკურთხევლის აფსიდისა, სამხრეთ ნავისა და ჩრდილოეთ სათავსისა), თითოც სამხრეთისა და დასავლეთისაში.

ნუკა-საყდარი ნაგებია საშუალო ზომის უხეშად დამუშავებული ქვებით. მათი თანაბარზომიერება დაკუთვია მხოლოდ ერთი პორიზონტალური რიგის ფარგლებში, ისიც არა ყოველთვის. სუფთად თლილი, მჭიდროდ მორგებული ქვებით ამოყვანილია საკურთხევლის აფსიდის კონქი, სამხრეთის ნავის კამარა და შუა (დიდი) ნავის კამარის აღმოსავლეთი მონაკვეთი. ამ კამარის დანარჩენი ნაწილისა და ჩრდილოეთის სათავსის გადახურვისათვის ნახმარია ნა-



ნუკა-საყდარი. საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან (ნ. მარის ფოტო).

Нукка-Сақдари. Общий вид с юго-запада (Фото Н. Марра).

ტეხი ქვა (ჩრდილოეთის სათავსში ქვები უფრო თხელია და სოლისებურად არის დაწყობილი). ეს ნაწილები და აგრეთვე კედლები შიგნიდან შელესილი და შეღებილი იყო (ნ. მარის თქმით, შავად, მაგრამ ეს სრულიად წარმოუდგენელია. ალბათ კამარები და კედლები უბრალოდ გამჟვარტლული იყო. შესაძლოა დეფორმირებულ ლურჯ ან თეთრ საღებავთანაც გვეკონდეს საქმე) გარედან შენობა სადაა, სრულიად შეუმკობელი.



ნ. მარმა, როგორც ითქვა, ნუკა-საყდარი მიიჩნია ხანძის მონასტრის ეკლესიად, რომელიც, გიორგი მერჩულეს მიხედვით, აშოტ კუჩისა და ერისთავთ ერისთავ გურგენის დროს, დაახლოებით 918—941 წლებს შორის აშენდა. ამის საწინააღმდეგოდ პ. ინგოროყვამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ნუკა-საყდარი ბევრად უფრო ძველი, V—VII საუკუნეების კათედრალური ტაძარი უნდა იყოს<sup>2</sup>. ეს ორივე ჰიპოთეზა საფუძვლიან ეჭვებს იწვევს. როგორც ვ. ბერიძე აღნიშნავს, ნუკა-საყდარი არ შეიძლება მივიღოთ არც ადრეული ხანის კათედრალად და არც X საუკუნის დიდი მონასტრის ეკლესიად. ხუროთმოძღვრების მონაცემებით ის უფრო VIII—IX საუკუნეთა რიგითი ნაგებობა ჩანს<sup>3</sup>. ქვემოთ შევეცდებით მოკლედ მაინც მიმოვიხილოთ ის ნიშნები, რომლებიც საფუძველს იძლევა ნუკა-საყდარი ამ ეპოქას მიეკუთვნოს.

ნუკა-საუდარი. გეგმა. რეკონსტრუქცია  
ნ. მარის აღწერის მიხედვით.

Нука-Саудари. План. Реконструкция  
по описанию Н. Марра.

ნუკა-საუდარი. გრძივი კრილი. ზედი  
სამხრეთისაკენ. რეკონსტრუქცია ნ. მარის  
აღწერის მიხედვით.

Нука-Саудари. Продольный раз-  
рез, вид на юг. Реконструкция по  
описанию Н. Марра.



როგორც ნ. მარის აღწერიდან ჩანს, ჩვენი ეკლესია ორნავეანი შენობაა. საქართველოში საკულტო ნაგებობის ეს ტიპი შედარებით იშვიათად გვხვდება, მაგრამ ქრონოლოგიური დიაპაზონი საკმაოდ ვრცელია — ადრექრისტიანული ხანიდან განვითარებულ შუასაუკუნეებამდე. ამ დროის განმავლობაში ორნავეანი ეკლესიის თემა საგრძნობ ევოლუციას განიცდის, რაც მთელ რიგ მომენტებში გამოიხატება.

ერთ-ერთი უმთავრესი ასეთ მომენტთაგანია არის საკურთხეველის მომიჯნავე სათავსების — კერძოდ, ჩრდილოეთით მდებარე სათავსისა, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში ტრადიციულად სამკვეთლოდ მიიჩნევენ ზოლმე — საკურთხეველთან დაკავშირების წესი. VI—VII საუკუნეთა ორნავეან ეკ-



ლესიებში (შალაური, ბაიხო, ბალიანთკარი) ამ სათავსში საკურთხეველიდან მოხვედრა შეიძლება მხოლოდ მცირე ნავის გავლით. უშუალო დაკავშირება როგორც ეს ნუკა-საყდარში გვაქვს დამახასიათებელია მომდევნო პერიოდში — გარდამავალი ხანის ნაგებობებისათვის (ტაბაკინი, ღართა, ბზიანი)<sup>1</sup> მართალია, ნუკა-საყდარში ამგვარი გადაწყვეტა გარკვეულად ალბათ იძულებითია — ჩრდილოეთის ნავი აქ საერთოდ არ არის და ჩრდილოეთის მომცროს სათავსის კავშირი საკურთხეველთან მხოლოდ მათ შორის გავრცელებული კარით შეიძლება განხორციელდეს, — მაგრამ დამახასიათებელია, რომ აქ ორი ასეთი კარია, რომელთაგან ერთი პირდაპირ აფსიდში გადის. ეს არსებითად გამორიცხავს ადრეულ პერიოდს და მოუთხოვს გარდამავალ ხანაზე, უფრო კი მის მოგვიანო ეტაპზე (IX საუკუნე და X საუკუნის I ნახევარი).

საინტერესოა აღნიშნული სათავსის დანიშნულების საკითხი. როგორც ითქვა, ჩვეულებრივ ითვლებოდა, რომ საკურთხეველის ჩრდილოეთით მოწყობილი ოთახი სამკვეთლო უნდა იყოს, მაგრამ ბოლო ხანებში ე. დეკედრმა, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ეს საკითხი, აჩვენა, რომ საკურთხეველის მომიჯნავე სათავსების ფუნქცია აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროში განვითარებული შესასუკუნეების ბოლომდე არ ყოფილა მკაცრად დადგენილი. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ჩვენი სათავსის ჩრდილოეთ კედელზე გაყოლებული საფეხურები — ისინი, როგორც თავად ნ. მარიც შენიშნავს, უკვე აღადგინა ჩამოსაჯდომად იქნებოდა განკუთვნილი. ეს გვაფიქრებინებს, რომ ჩრდილოეთის სათავსი ნუკა-საყდარში სამკვეთლოსთვის (ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ სამკვეთლოსთვის) არ იყო გამიზნული, მას დამოუკიდებელი ღვთისმსახურებრივი დანიშნულება ჰქონდა. სხვათა შორის, ეკლესიის ძირითად ნაწილში მსგავსი საფეხური არ ჩანს. აქ შეიძლება გავიხსენოთ, რომ გრიგოლ ხანძთელის წრის ბერებში საერთოდ არ იყო მიღებული წირვის დროს ჩამოჯდომა. „უკრძალველად ჯდომასა ყოვლადვე არა იკადრებდეს ეკლესიასა შინაო“ — წერს გიორგი მერჩულე<sup>2</sup>. როგორც ჩანს, ნუკა-საყდარის ჩრდილოეთ სათავსი წარმოადგენდა სპეციფიკური დანიშნულების მქონე სამლოცველოს. ყოველდღიური საყოველთაო წირვა აქ, ცხადია, არ ჩატარდებოდა.

აქვე შევნიშნავთ, რომ ნუკა-საყდარი ერთადერთია ჩვენთვის ცნობილ ორნაგვიან ეკლესიებს შორის, რომელსაც აქვს ცალკე გამოყოფილი სათავსები საკურთხეველის ორსავე მხარეს, ე. ი. არა მხოლოდ მცირე ნავის ბოლოში, არამედ მოპირდაპირ, „უნავო“ მხარესაც. სხვა ორნაგვიან შენობებში ასეთი სათავსი ან საერთოდ არ არის (საკვირიკე, დვირი<sup>3</sup>, ქილდა<sup>4</sup>, დანკალი, ობოლეთი), ან არის მხოლოდ ერთი, თანაც აუცილებლად იმავე მხარეს, სადაც მცირე ნავია, ე. ი. როგორც წესი, ჩრდილოეთით (შალაური, ბაიხო, ახმეტა, დავათი, ბზიანი, ტაბაკინი, ქოჩალო, ზედა ვარძია. გამონაკლისია ღართა, სადაც მცირე ნავი, ნუკა-საყდარის მსგავსად, სამხრეთითაა და ცალკე სათავსიც, შესაბამისად, ამ მხარესაც). ამ თვისების გამო ნუკა-საყდარის საერთო კომპოზიციასაც თავისებური სახე აქვს. ის ნაწილობრივ ემგვანება ორნაგვიან ეკლესიათა VIII—X საუკუნეებში გავრცელებულ ერთ სახესხვაობას — ე. წ. სამნაწილიან ორნაგვიან ეკლესიებს, რომლებშიც დიდ შუა ნავს ერთი მხრიდან ეკრის თაღებით გამოყოფილი მცირე ნავი, მეორედან — იზოლირებული სათავსი. ასეთ შენობებს (ტაბაკინი, ახმეტა<sup>5</sup>, ქოჩალო, საკვირიკე, ზედა ვარ-



ძია) გარედან „წმინდა“ ბაზილიკური იერი აქვთ. იგივე ტენდენცია შეიმჩნევა ნუკა-საყდარშიც, ოღონდ აქ ის თავისებურად არის გამომჟღავნებული ალბათ, რელიეფის სპეციფიკური პირობებით აიხსნება. მცირე ნავი, რაგორც ყველა ზემოჩამოთვლილ ეკლესიაში ჩრდილოეთითაა, აქ, როგორც ვნახეთ, სამხრეთითაა, ხოლო ჩრდილოეთის სათაესი მოკლეა და მთელ სიგრძეზე არ გასდევს დიდ ნავს. ამის გამო დასავლეთ ფასადს, აღმოსავლეთისაგან განსხვავებით, სამნაწილიანი ბაზილიკური სილუეტი არა აქვს. როგორც შორეული ანალოგია ამ გადაწყვეტისა შეიძლება გავისვენოთ ერთი ჯგუფი ასევე VIII—X საუკუნეებში აგებული სამეკლესიანი ბაზილიკებისა, რომლებსთვისაც აგრეთვე დამახასიათებელია დამოკლებული ჩრდილოეთი მხარე (ყვარშა, ხვილიშა, სარო, ლელიანი, არადეთი).

ნუკა-საყდრის გეგმარებაში ყურადღებას იპყრობს დიდი ნავის აშკარად გამოხატული დომინირება — ის დაახლოებით ოთხჯერ განიერია მცირეზე. ამ მხრივ ნუკა-საყდარი მკვეთრად განსხვავდება VI—VII საუკუნეების ორნავეანი ეკლესიებისაგან, სადაც ნავეების სიგანეთა შეფარდება ბევრად მცირე რიცხვს გვაძლევს (შალაურში — 1,5, ბალიანთარსა და ბაიხოში — 2,2) და უახლოვდება გარდამავალი ხანის, უფრო კი X—XI საუკუნეთა მიჯნის ძეგლებს (ბზიანი — 3,0, საკვირიკე — 3,2, ზედა ვარძია — 3,4, ვანი — 3,5). ამჟამად დროს ზედა ვარძიასა და ვანთან შედარებით ნუკა-საყდარში, ისევე, როგორც ლართაში, საკვირიკესა და ქილდაში, მცირე ნავი მეტად განათებული ჩანს — მას აქვს საკუთარი სარკმელი სამხრეთის კედელში. მთლიანად, რამდენადაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, მცირე ნავი მოკლებულია დამოუკიდებელ სივრცობრივ მნიშვნელობას, ის ერთიანად ერწყმის ძირითად ნავს, განაგრძობს მას. ამგვარი გადაწყვეტა ორნავეანი ეკლესიებში IX საუკუნიდან იკიდებს ფეხს.

ძალიან უჩვეულო დეტალია მრგვალი სვეტი, რომელსაც ნავეების გამყოფი თაღები ეყრდნობა. არცერთ სხვა ორნავეანი ეკლესიაში მას პარალელი არ მოეპოვება, ყველგან წახნაგოვანი ბურჯებია გამოყენებული. იშვიათია მრგვალი სვეტები ქართული სამნავეიანი ბაზილიკების ინტერიერებშიც — ჩვენთვისაც ცნობილია სულ რამდენიმე შემთხვევა: მუკუზნის სვეტიცხოველა (სავარაუდოდ VIII ს., მოგვიანებით დარბაზულ ეკლესიად გადაკეთდა), თიანეთის სიონი (VIII—IX სს.)<sup>11</sup>, სამშვილდეს ბაზილიკა (IX—X სს.) კარები XIII—XIV ს-თა მიჯნა)<sup>12</sup>. როგორც ვხედავთ, ყველა ნიმუში, გარდა უკანასკნელისა, გარდამავალ ხანას მიეკუთვნება.

ნუკა-საყდრის არქიტექტურის კიდევ ერთი იშვიათი თავისებურებაა სხვადასხვა ზომის თაღები ნავეებს შორის. ანალოგიური გადაწყვეტა გვაქვს მხოლოდ ლართასა და ქილდაში (ლართაში უფრო ფართოა დასავლეთის თაღი, ქილდაში, ნუკა-საყდრის მსგავსად — აღმოსავლეთისა). სხვა ორნავეანი ეკლესიებში — უფრო ადრეც და შემდგომაც — თაღები თანაბარი სიგანისაა.

ამრიგად, როგორც ნუკა-საყდრის ხუროთმოძღვრული კომპოზიციის განხილვამ გვიჩვენა, ეს ძეგლი ყველაზე მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს გარდამავალი ხანის მოგვიანო ეტაპის — IX საუკუნისა და X საუკუნის I ნახევრის ორნავეანი ეკლესიებთან. ამ ტიპის ნაგებობების ევოლუციურ რიგში მას ადგილი

უნდა მივუჩინოთ ტაბაკინისა და ბზიანის შემდგომ და ზედა ვარძიანზე აღნიშნულ მიხალღებით ღართას, საეკირიკესა და ქილდის გვერდით.

ასეთ დათარიღებას ემხრობა ნუკა-საყდარი მდებარეობისა და მდებარეობის თან დამოკიდებულების მხრივაც. ძლიერ ციკაბო ფერდობის პატარა კონს-ზე ეკლესიის დადგმა, თანაც ისე, რომ ის ცალი მხრით მჭიდროდ ეკვროდეს ფერდობს, დამახასიათებელია გარდამავალი ხანის ხუროთმოძღვრებისათვის. ამავე ხანაზე მიგვიითებებს შენობის ნახევრად კლდეში ნაკვეთი ჩრდილოეთ სათავსიც. ნაწილობრივ გამოქვაბული ეკლესიები ჩვენში ძირითადად სწორედ გარდამავალ ხანაში შენდება (საუკეთესო მაგალითი — ქსნის ბიეთი, IX ს.).<sup>13</sup>

და ბოლოს, ნუკა-საყდრის შერეული სამშენებლო ტექნიკა აგრეთვე ტიპიურია VIII—IX საუკუნეებისა და X საუკუნის I ნახევრისათვის, როცა კონს-ტრუქციულად მნიშვნელოვან ადგილებში ხშირად იყენებენ სუფთად გათლილ, ხოლო კედლებისთვის — ნატეხ ქვას. განსაკუთრებით იქცევის ყურადღებას ნუკა-საყდრის კამარა — როგორც იოქვა, მისი ნახევარი ამოყვანილია თლილი კვადრებით, ნახევარი — დუღაბით და წვრილი ნატეხი ქვით. უახლოესი პარალელი მას ეძებნება ჩითახევში (IX ს. შუახანები ან III მეოთხედი)<sup>14</sup>. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ნუკა-საყდარი დიდ სიახლოვეს ამკლავებს ბორჯომის ხეობის მრავალრიცხოვან სამონასტრო ეკლესიებთან, რომლებიც IX—X საუკუნეებს განეკუთვნება. ეს სიახლოვე მკლავდება არა მხოლოდ სამშენებლო ხერხებში, არამედ საერთო ხასიათშიც, კერძოდ, ფასადების ხაზგასმულ სიმკაცრესა და სისადავეში.

სრულიად აშკარაა, რომ ნუკა-საყდარი სამონასტრო ეკლესიაა. ამაზე საკმარისად დამაჯერებლად მეტყველებს მისი მდებარეობა. გარდა ამისა, ნ. მარი ასხენებს რამდენიმე სამონასტრო ნაგებობასაც ეკლესიის შორიახლოს და მოჰყავს გალავნის ნაშთების ფოტოები („დღიურის“ ტაბ. 41—42). ვფიქრობთ, ასევე უეჭველია, რომ ამ მონასტრის დაარსება გრიგოლ ხანძთელის წრეს უნდა უკავშირდებოდეს. ეპოქაში, რომელსაც ჩვენ ნუკა-საყდარი მივაკუთვნებთ, ყოველგვარი სამონასტრო მშენებლობა კლარჯეთში გრიგოლის ან მისი მრავალრიცხოვანი მიმდევარ-მოწაფეების თაოსნობით მიმდინარეობს. როგორც ჩანს, ნუკა-საყდარი ემსახურებოდა გრიგოლის წრის რომელიმე უცნობი მოღვაწის მიერ დაარსებულ მცირე, ნაკლებადმნიშვნელოვან მონასტერს, ერთ-ერთს იმ მრავალთაგან, რომელთაც გიორგი მერჩულე არ იხსენიებს.

ამავე დროს, ჩვენი ეკლესიის განსაკუთრებული ასკეტურობა, რაც, გარდა საკუთრივ არქიტექტურული სახისა, ადგილის შერჩევაშიც ვლინდება, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მისი მშენებლობა ჩატარებული უნდა იყოს გრიგოლის ან მის უშუალო მოწაფეთა მოღვაწეობის პერიოდში, ე. ი, დაახლოებით IX—X საუკუნეთა მიჯნამდე. შემდგომი ხანის სამონასტრო არქიტექტურას შავშეთ-კლარჯეთში უფრო მდიდრული, საზეიმო ხასიათი აქვს — უკვე X საუკუნის I ნახევრის ძეგლები საკმაოდ უხვადაა შემკობილი ორნამენტული და ზოგჯერ სკულპტურული დეკორითაც. როგორც აღნიშნავს ვ. ბერიძე, ნუკა-საყდარი აშკარად არ ეგუება ეპოქას, რომელშიც აიგო ან განახლდა ოპიზა, ტბეთი, ქვემო ფორთა, დოლისყანა და სხვ.<sup>15</sup>

ასევე შეიძლება დაზუსტდეს ნუკა-საყდრის აგების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარიც. ვინაიდან ქვის ეკლესიების მშენებლობა გრიგოლ ხანძთელის დასმა მხოლოდ IX საუკუნის 10—20-იან წლებში დაიწყო (მანამდე, ჯერ კიდევ

780 წლის ასლო ხანებში აიგო ხანძთის პირველი ხის ეკლესია, ნუკა-საყდარი არ უნდა იყოს ამაზე ადრე აგებული.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნუკა-საყდარი რილდება IX საუკუნით, ოღონდ არაუადრეს 820-იანი წლებისა.

ზემოთ აღინიშნა, რომ ნუკა-საყდარი საშუალო დონის რიგითი ნაგებობაა, რომლის მსგავსიც ასეულობით შენდება VIII—X საუკუნეთა საქართველოში. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მას არაერთი მხატვრული ღირსებები არ გააჩნდეს. ყოველ შემთხვევაში, ძნელად დასაჩერებელია, რომ ის აღფრთოვანება, რომელიც აქა-იქ გამოსკვივის ნ. მარის „ღლიურის“ ნუკა-საყდრისადმი მიძღვნილ სტრიქონებში, მთლად უსაფუძვლო იყოს. ნუკა-საყდარს აშკარად აქვს თავისებური მომხიბვლელი, რომელიც მნიშვნელოვანწილად — ეს ფორტობზეც კარგად ჩანს — ადგილის უაღრესად ეფექტური შერჩევით არის მიღწეული.

ისტორიულად კი ნუკა-საყდარი, ჩვენი აზრით, ორმხრივ არის საყურადღებო. ჯერ ერთი, ის მიეკუთვნება საკულტო ნაგებობის ნაკლებადგავრცელებულ ტიპს და თავისებურად ასახავს მისი განვითარების გარკვეული ეტაპისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, მეორეც, ის — პირდაპირ თუ ირიბად — უკავშირდება ქართული კულტურის ისტორიის ერთ-ერთ უმთავრეს მოვლენას — გრიგოლ ხანძთელის წრის სამონასტრო მოძრაობას და, ამდენად, ძვირფასია, როგორც კიდევ ერთი კვალი ამ მოვლენისა.

1. Г. Мерчул. Жизнь св. Григория Хандзтийского. Введение, издание и перевод Н. Марра с его Дневником поездки в Шавшино и Кларджино. С-Петербург, 1911.

2. პ. ინგოროვა. გიორგი მერჩულე. თბ., 1954. გვ. 314—315. ხანძთა პ. ინგოროვამ გააგვიკეთა ქვემო ფორთის გუმბათიან ეკლესიასთან (რომელიც ნ. მარს შატბერდად მიაჩნდა). ეს მოსაზრება ახლა მიღებულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

3. В. Беридзе. Архитектура Тао-Кларджети. Тбилиси, 1981, стр. 181.

4. И. Элизбарашвили. К вопросу об эволюции двухнефных церквей Грузии, IV международный симпозиум по грузинскому искусству. Тб., 1983.

5. G. Descoudres. Die Pastophorien in syro-byzantinischen Osten. Wiesbaden, 1983.

6. Г. Мерчул... გვ. 5.

7. Д. Хоштария. Архитектурные памятники IX—X вв. в Боржомском ущелье. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата искусствоведения. Тбилиси, 1987, стр. 14—17.

\* შ. ი. ელიზბარაშვილი. ქილდის ორნამენტი ეკლესია. ძველის მეგობარი, თბ., 1986, № 1, გვ. 28—33.

9. ე. ვაბაშვილი. ზედა ვარძია. თბ., 1985.

10. Г. Чубинашвили. Архитектура Кахетии. Тбилиси, 1959, стр. 73—77. ზედაწინაშვილი ამბეტის ღვთაებას VI ს-ით ათარიღებდა, მაგრამ ბოლო თწლებლებში გამოვლენილი ახალი პარალელური მასალა მოწმობს, რომ ეს ძველი უფრო გვიანი უნდა იყოს, გარდამავალი ხანისა. კერძოდ, ამბეტის დასავლეთ კედლის არქიტურა ანალოგიებს პიკებს VIII—X ს-თა ნაგებობებში (კუსიბეთი, ფიფილეთი, იელი, დათუნა).

11. იქვე. გვ. 132—133.

12. Р. Мелисашвили, В. Цинцадзе. Архитектура нагорной части исторической провинции Грузии — Шидა Картли. Тбилиси, 1975, стр. 121—123.

13. Р. Мелисашвили. Полупещерный памятник IX века в селе Биеги. Грузинское искусство, 6. серия А. Тбилиси, 1963, стр. 29—57.

14. დ. ხოშტარია. ზითახევის მონასტრის ეკლესია (IX საუკუნის ქართული ხეროთამომდგრეობის ძეგლი). მაცნე, ისტორიის სერია. თბ., 1983, № 4, გვ. 141—157.

15. В. Беридзе. Архитектура Тао-Кларджети, стр. 181.



### კაბიტორული რელიეფი ცაიშიდან

ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი ისტორიული სამეგრელოს (დღევანდელი ზუგდიდის რაიონი) ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლია. იგი აერთიანებს სხვადასხვა ნაგებობას: ტაძარი, პალატი, სამრეკლო. მათ კედლებზე ორნამენტულ კვეთასთან ერთად გვხვდება ფიგურული რელიეფებიც. ამ, ძირითადად დაზიანებულ, რელიეფთა მხატვრული გადაწყვეტა სხვადასხვა დონისაა, განსხვავებულია მათი შესრულების დროც. ზოგი მათგანი ტაძრის ახლანდელი ნაგებობის ძირითადი სამშენებლო ფენის თანადროულია, ე. ი. XIII-XIV სს-შია შესრულებული, ზოგი უფრო გვიანი, ზოგიც უფრო ადრეულ ხანას მიეკუთვნება, ე. ი. ძველ ძეგლთა რელიეფური სამკაული აქ შემდგომი რესტავრაციისას (XVII-XVIII სს.) არის გამოყენებული.

ჩვენთვის საინტერესო კტიტორული რელიეფი მოთავსებულია ცაიშის სამრეკლოს ჩრდილოეთის ფასადზე, შესასვლელი კარის მარცხენა მხარეს, მიწის დონიდან დაახლოებით 1 მ-ის სიმაღლეზე. ორსართულიანი სამრეკლო ჩართულია გალავნის კედელში. დღევანდელი სამრეკლოც და გალავანიც დამანგრეველი მიწისძვრის შემდგომ, XVII ს-შია აგებული. სამრეკლო მოგვიანებით კიდევ სამჯერ არის აღდგენილი<sup>1</sup>.

კტიტორულ რელიეფს იხსენიებს პ. ზაქარაია თავის წიგნში — „ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი“ — ნაგებობათა დეკორაციული მორთულობის განხილვისას, თუმცა ცალკე კომპოზიცია არც მას გამოუვლევია. იგი აღნიშნავს, რომ რელიეფი ცაიშის ძეგლის არქიტექტურაზე (იგულისხმება მეორე სამშენებლო პერიოდი — XIII-XIV სს.) უფრო ადრეული უნდა იყოს. მასზე გამოსახულ ფიგურებს ავტორი მიიჩნევს კტიტორებად<sup>2</sup>. მეორე ზომის ფილაზე წარმოდგენილია დაბალი რელიეფით შესრულებული სიმბოლურ-პირობითი ხასიათის სცენა — ორი ფიგურა, მათ შორის კი დარბაზული ეკლესია, სწორედ ეკლესიის გამოსახულების არსებობა ადასტურებს, რომ ეს ფიგურები კტიტორები უნდა იყვნენ. დამკვეთთა ფიგურები და ეკლესია ერთმანეთისაგან გამოყოფილია გრებილილივებიანი, შეწყვილებული პილასტრებით, რომლებზეც ორმაგი თაღებია დაბეჭენილი. თითოეული გამოსახულება ავსებს შესაბამის არეს. ნახევარწრიული თაღების ფორმას რიტმულად უპასუხებს ფიგურათა თავების და შარავანდების მოხაზულობა, სწორ პილასტრებს კი მათი სხეულის ჩაეტილი, შეკრული სილუეტი და ეკლესიის გამოსახულების ვერტიკალური კორპუსი.

ფიგურები წარმოდგენილია მკაცრად ფრონტალურად, თავი და ტანი ფასში, ფეხის ტერფები კი პროფილში აქვთ, ცენტრისკენ, ეკლესიისაკენ მიმართული. დარბაზული ეკლესიის გამოსახულება მოცემულია დასავლეთ ფასადის მხრიდან, რასაც გვიჩვენებს მისი ვიწრო კორპუსი, რომელზეც აღნიშნულია კარი და სარკმელი. ეკლესია ფიგურების სიმაღლისაა, ასე რომ თითოეული გამოსახულება (კტიტორები და მათ მიერ აგებული ტაძარი) თანაბარმნიშვნელოვანია კომპოზიციაში. ისინი ცალ-ცალკე დამოუკიდებლად იკით-



ცაიში. კტიტორული რელიეფი მონასტრის სამარჯვლოზე.

Цаиши. Ктиторский рельеф на колокольне монастыря.



ცაიში. კტიტორული რელიეფი. (ხემა).

Цаиши. Ктиторский рельеф. (Схема).

ხებიან და მხოლოდ პირობითად ერთიანდებიან დეკორაციული თაღების რიტმით. თაღებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, იგი კრავს კომპოზიციას და ფრონტალურად, სიმეტრიულად განლაგებულ ფიგურებთან ერთად ქმნის საზეიმო-რეპრეზენტაციულ განწყობას.

ხელები ორივე კტიტორს მკერდთან აქვს მიტანილი. შესაძლოა, აქ იყოს ე. წ. მცირე ორანტის იკონოგრაფიისათვის დამახასიათებელი ეესტიკულაცია, რომლითაც გამოისახებიან მარტვილები, წმინდანები, მონუმენტური ფერწერისა თუ ხატწერის ძეგლებზე. ქართული რელიეფური გამოსახულებებიდან ამის მაგალითია ორჯის ფილის ორი განაპირა კტიტორის ეესტი.

ცაიშის რელიეფზე ორიგინალურად გადაწყვეტილი კომპოზიციური სქემაა. საერთოდ ცნობილია, რომ კტიტორული რელიეფები, ფერწერაში გამოსა-

ხელი კტიტორული სცენებისაგან განსხვავებით, ხასიათდება კომპოზიციური სქემების მრავალფეროვნებით. ცაიშის მსგავსა სცენა — ორი კტიტორული სცენა აში ეკლესიის გამოსახულებით — ცნობილია შუა საუკუნეების ქართული მხატვრობის პეტურაში, მაგალითად, ფეტობანის (X ს.), შეპიაკის (X ს.), რელიეფური ფილები. მრავალადა ასეთი სცენა სომხურ ფასადურ დეკორშიც. მაგრამ ამ ძეგლებში ეკლესიის სიმბოლური გამოსახულება, რომელიც ფიგურებთან შედარებით მცირე ზომისაა, ხელში უჭირავთ კტიტორებს.

ცაიშის ფიგურები ხასიათდება დამჯდარი პროპორციებით. უზარმაზარი, მძიმე თავი მხოლოდ ორჯერ თავსდება მასზე უფრო ვიწრო სხეულში, რომლის ქვემოთაც ძლივს შეინიშნება არაპროპორციულად პატარა ტერფები. ფიგურათა ამგვარი ჯმუხი, მძიმე პროპორციები დამახასიათებელია X ს-ის რელიეფებისათვის, როგორცაა ფეტობანი, ბრედა, ქოროლო და სხვა, თუმცა მათ სტილისტურ გადაწყვეტაში ნაკლებად გამოვლენილია იმ ეპოქის პროგრესული ტენდენცია — ადამიანის ფიგურის პლასტიკურ ფორმებში და მოძრაობაში გადმოცემის, კომპოზიციაში ერთგვარი სიერცის ჩვენების ცდები. ცაიშის რელიეფი შესრულების პრიმიტიულობითა და არქაულობით, აგრეთვე ფიგურის პროპორციებით და ტიპაჲითაც კი უფრო მეტად უახლოვდება ურავლის აგარის კტიტორულ ფილას (X—XI სს. მიჯნა). თუმცა ცაიშის კტიტორთა სახეები დაზიანებულია, მაგრამ მაინც გაირჩევა სავსე, თითქმის მრგვალი, ნიკაბთან ოდნავ ჩამოგრძელებული ოვალი. უფრო წაგრძელებულია მარჯვენა ფიგურის სახე, რომელზეც შეინიშნება წვრილი, ჩაჭრილი ხაზებით გადმოცემული წვერი. მეორე ფიგურა კი უწყვერული უნდა იყოს, რამაც წარმოშვა ის მოსაზრება, რომ იგი ქალის გამოსახულებას წარმოადგენს და რომ ამ რელიეფზე ოჯახური კტიტორული პორტრეტია მოცემული.<sup>5</sup> ქალის გამოსახულებანი ქართულ რელიეფებზე საკმაოდ ხშირად გვხვდება — ღვთისმშობლისა, კტიტორი-ქალებისა, როგორცაა ფეტობანის (X ს.) რელიეფის კტიტორი, კუმურდოს (X ს.) დედოფალი გურანდუხტი, ვალეს (X ს.) კტიტორი კრავაი, უდეს სტელის (XI ს.) კტიტორი და სხვა. ყველა ამ ფიგურას, მამაკაცისაგან განსხვავებული სამოსი — ერთიანი, გრძელი კაბა აცვია და აქვს ქალის სამოსელის აუცილებელი ატრიბუტი — თავსაბურავი. ცაიშის კტიტორს კი არც თავსაბურავი გააჩნია და ტანსაცმელიც დაახლოებით ისეთივე მოსავს, როგორც მარცხენა, წვეროსან ფიგურას — მოკლე ზედა სამოსი და გრძელი ქვედა წელი (მარცხენა კტიტორს კიდევ მოკლე მოსასხამი ემატება) ამიტომ, ჩვენი აზრით, ის უნდა იყოს არა ქალის, არამედ ახალგაზრდა, უწყვერული ჯაბუკის გამოსახულება. ე. ი. აქ საქმე გვაქვს შეპიაკის კტიტორული რელიეფის მსგავს მოვლენასთან, სადაც, როგორც ამას ლ. რჩეულიშვილი აღნიშნავს, გადმოცემულია ასაკობრივი განსხვავება კტიტორებს შორის.<sup>6</sup>

ცაიშის რელიეფზე წარწერის უქონლობის გამო, და რადგან წერილობით წყაროებში XV საუკუნეზე ადრე ცაიშელ მოღვაწეთა სახელები არ შემოგვრჩია, კტიტორთა იდენტიფიკაცია ჭირს. ძნელია გადაჭრით ითქვას, საერო პირები არიან ცაიშის რელიეფზე გამოსახულნი, თუ სასულიერო წოდების წარმომადგენლნი. ამ საკითხშიც სამოსზე დაკვირვება დაგვეხმარება. ზედა სამოსი და ქვედა წელი უმეტესად საერო პირებს მოსავთ, თუმცა ზუსტი პარა-



ლედი ჩვენთვის ცნობილ რელიეფებზე ვერ ვნახეთ. სასულიერო პირებს, თუ მკაფიოდ არ არის გადმოცემული ლიტურგიული შესამოსელი (როგორც, მაგ., ბედიის ფილის შუა ფიგურაზე), ერთიანი დრაპირებული სამოსი აცვიით გამოიყენებოდა. ზოგადად: ჯოისუბნის (X ს.) ლიტურგიული სცენის ზუთი სასულიერო პირი, ბედიის ფილის (X ს.) დიაკვნის ფიგურა და სხვა. სხიერის კანცელის (X ს.) ერთ-ერთ ფიგურას, რომელსაც ხელში საცეცხლური უჭირავს, რა ნიშნითაც ის სასულიერო პირი უნდა იყოს, მოსავს ვრძელი კაბა, წელში ქაპრიტ, და მოხუტული აქვს ისეთივე მოკლე და დრაპირებული მოსასხამი, როგორც ცაიშის წვეროსან კტიტორს; მსგავსი მოსასხამი აქვს ჯოისუბნის (X ს.) გაბრიელ მამასახლისის გამოსახულებას (მამასახლისი სასულიერო წოდებაა). თუ ამდაგვარი მოსასხამი სასულიერო პირთა სამოსის ატრიბუტია, შესაძლოა, ცაიშის წვეროსანი მოსასხამიანი ფიგურა სასულიერო პირია, მეორე კტიტორი კი ან საერო ხელისუფლების წარმომადგენელი უნდა იყოს, ან ისიც სასულიერო პირი, მხოლოდ უფრო ახალგაზრდა და რანგით დაბალი.

ორივე ფიგურას თავის გარშემო დაუყვება შარავანდის აღმნიშვნელი ციწრო ზოლი.

ორივე შარავანდზე აღნიშნულია ერთმანეთზე მიწყობილი პატარა რგოლები, რაც ძვირფასი თვლების იმიტაციას წარმოადგენს. ძვირფასი თვლებით ჰირობითად შემკული შარავანდები არის გველდესის ფილის (VIII-IX სს.) ზოგიერთ ფიგურაზე, მაგრამ ასეთი შარავანდები უმეტესწილად X-XI სს-ის ძეგლებზე გვხვდება, როგორცაა ოშკის (X ს.), ნიკორწმინდის ჩრდილოეთ ტიშპანის რელიეფები (X ს.) ხოვლესა და შიომღვიმის კანკელები (XI ს.); ჰედურბაში ბედიის ბარძიშა (X-XI სს.) და შემოქმედის ხატზე (XI ს.); X-XI სს. მონუმენტურ ფერწერაში — საბერებში (მე 8 ეკლესია), ფიაში, ადიშის ჭვრავში, ებიანის ლამარიაში და სხვა.

რელიეფის ზედაპირის ზოგიერთი ადგილის დაზიანების მიუხედავად, მინც შეიძლება ვიმსჯელოთ მის საერთო სტილისტურ გადაწყვეტაზე და ტექნიკურ დამუშავებაზე. ძალიან დაბალი რელიეფით შესრულებულ, დაახლოებით 1 სმ-ის სიმაღლეზე ამოწეულ ფიგურებს აქვს ერთიანი, ბლოკური, გომეტრიზირებული მოხაზულობა და სადა, დაუნაწევრებელი ზედაპირი. სილუეტი უზოგადესად გეობატავს ფიგურათა სხეულს. თავები უკისროდ ადვას მხრებს, რომელთა მოხაზვის შემდეგ ხაზი სწორად ჩამოდის ქვემოთ ტერფებამდე, მხოლოდ ოდნავ იზნიჭება იდაყვებში მოხრილი ხელების გადმოსაცემად (ეს ჩანს მარჯვენა ფიგურაზე) და მცირედ ფართოვდება ქვემოთკენ. სხედასხვა ნაწილის ერთმანეთისაგან გამოყოფა, მაგ. ზედა სამოსისა და ქვედა წელის გამოიყენა, გადმოიცემა ღრმად ჩაჭრილი ხაზებით; მსუბუქად ჩაჭრილი ხაზებითაა დამუშავებული მარცხენა ფიგურის მოსასხამის ზედაპირი. აქ ხაზები ერთმანეთის პარალელურადაა. ისინი აცოცხლებენ ფიგურის სადა, დაუნაწევრებელ ზედაპირს (მარჯვენა კტიტორის სამოსი კი სრულიად სადაა). მოსასხამის მსგავსადაა დამუშავებული კტიტორის წვერი და თმა-მსუბუქად ჩაჭრილი, წვერილი, პარალელური ხაზებით. ამდაგვარად, მხოლოდ უფრო ღრმად ჩაჭრილი ირიბი ხაზებით, გადმოიცემა კომპოზიციაში ნახევარსვეტების ზედაპირიც. როგორც ვხედავთ, რელიეფი ტექნიკური ხერხების მრავალფეროვნე-



ბით არ ხასიათდება. გრაფიკულად არის გადმოცემული აგრეთვე სახის ნაკეთობები — თვალები და წარბები, რომლებიც ძალიან ცუდად გაირჩევიან მარცხენა ფიგურაზე. გარდა გრაფიკული ხერხებისა, რელიეფში გამოყენებულ სიბრტყეთა ერთმანეთზე დაშრევა — მკერდზე დადებულ ხელების გადმოცემისას; მარცხენა ფიგურის მოსასხამის სამოსის ზემოდან გამოხატვისას და სხვა. ზოგიერთ ადგილას კი, მაგ. წარბების გამოვლენისას, შარავანდიდან თავისკენ გადასვლისას და სხვა ადგილებში გამოყენებულია მსუბუქი ცერად ჩაყეთა.

გამოსახლებანი როგორც აღვნიშნეთ, დაბალი რელიეფითაა შესრულებული, მაგრამ ფორმათა ნაპირები მომრგვალებულია და თანდათანობით გადადის ფონისკენ, როგორც X ს-ის რიგ რელიეფებზე. სხვას ვხედავთ გარდამავალი ხანის ძეგლებზე, რომლებიც ცაიშის რელიეფმა შეიძლება მოგვეგონოს გამოსახულების საერთო პირობითი ხასიათით, ჯმუხი პროპორციებით, გაყინული პოზებით, დაბალი რელიეფით შესრულებული, მარტივად და ზოგადად დამუშავებული ფორმებით. VIII-IX სს-ის ძეგლებში (მაგ. ბორჯომის ტიმპანი (IX ს.) წორბისის ფილები (880 წ.) ასევე დაბალი რელიეფი კუთხოვანადაა ჩაჭრილი ფონისკენ, ყოველგვარი მომრგვალების გარეშე.

ცაიშის ფიგურათა სილუეტი თავის თავში დასრულებული, ერთიანი, შეკრულია, რითაც იგი X ს-ის ძეგლებს (ფეტობანი „ბეღია...“) ემსგავსება და განსხვავდება გარდამავალი ხანის ტეხვადი სილუეტებისაგან, დაწვრილმანებული კუთხოვანი ნახატისაგან, როგორსაც ვხედავთ უსანეთის სტელის (VIII ს.), ბორჯომის ტიმპანის (IX ს.), წორბისის ფილები (880 წ.), თელოვანის VIII-IX სს.) და სხვა რელიეფებზე. ცაიშის ფილა X ს-ის ძეგლებს უკავშირდება კომპოზიციური გადაწყვეტის საერთო ხასიათით, რაც გამოიხატება საზეიმო წარმოდგენითობაში, თითოეული გამოსახულების მკაფიოებასა და მონუმენტურობაში, ორნამენტულ-დეკორაციული მოტივების თავშეკავებულ გამოყენებაში. ამ ნიშნებით ხასიათდება X ს-ის რიგი რელიეფები — ფეტობანი, შეპიაკი, ნადარბაზევი, კვიასა ჭვარი და სხვა.

გარდა ამისა, ცაიშის რელიეფი X ს-ის ძეგლებთან სიახლოვეს ამტკიცებს კომპოზიციური აგების კონკრეტული ხერხითაც, კერძოდ, ცალკეული გამოსახულების გამოყოფა პილასტრების საშუალებით, რომლებზეც თაღებია დაყრდნობილი. თანაირთ გამოიყენა გამოსახულებების გვაქვს ბეღიის კანკელის ფილაზე (X ს.), დრანდის ფილაზე (X ს. ბოლო); ჭედურობაში — ბეღიის ბარძიშზე (X ს.), ბრეთის საწინამძღვრო ჭვრის (994-1001 წწ.) გვერდით მკლავებზე, სადაც მარიაამისა და იოანეს ფიგურები ცაიშის კტიტორების მსგავსად შეწყვილებულ, გრეხილიყვებიან თაღებშია ჩასმული. ცაიშის მსგავსად ჩაჭრილი ხაზებით დამუშავებული სვეტები გვხვდება მესტიის საკუთხელებისწინა ჭვრის სცენებში (XI ს.).

თაღურიან მოტივს ამ კომპოზიციებში უდაოდ თანადროული არქიტექტურული დეკორის გველენით არის შექმნილი. დეკორაციული თაღები ქართულ არქიტექტურაში X ს-დან იკადებს ფეხს და ვრცელდება X-XI სს. მიჯნასა და XI ს-ში. შეწყვილებული, სადა თუ გრეხილიყვებიანი პილასტრები გვხვდება ოშკის (X ს.), ხაბულის (X ს.), პარხალის (X ს.), ოთხთავკელსიის (X ს. II ნახ.) დოლისყანის (X ს.), წყაროსთავის (X ს.), ნიკორწმინდის (1014 წ.),

სავანის (XI ს.), კაცხის (XI ს.), ხცისის (XI ს.) და სხვა ძეგლთა გუმბათის კედლებზე და ფასადებზე.

თანადროული ხუროთმოძღვრული ფორმების გამოძახილს წარმოადგენს ცაიშის რელიეფურ კომპოზიციაში ეკლესიის გამოსახულება. იგი საკმაოდ ზუსტად, თუმცა პირობითი ხერხებით ასახავს X-XI სს. დარბაზულ ეკლესიას — სამსაფეხურიან ცოკოლზე აღმართული, სიმაღლეში აზიდული, კორპუსი, სახურავის საკმაოდ ციცაბო ქანობით, რაც კიდევ მეტად უსვამს ხაზს ნაგებობის ვერტიკალურ განვითარებას. ეკლესიის გამოსახულებაზე რელიეფურად გადმოცემული სარკმლის მორთულობაც — ფართო საპირე, რომელიც გარს უვლის სარკმელს, ზემოდან წარბით, ასევე ახასიათებს X ს.-ის II ნახევრის და XI ს.-ის არქიტექტურას. მაგ. ოშკის (X ს.), ნიკორწმინდის (1014 წ.), სავანის (XI ს.) სარკმელთა მორთულობა.

მაშასადამე, საერთო სტილისტური გადაწყვეტით ცაიშის რელიეფი X ს.-ის ტიპურ, თუმცა არა პროგრესიულ, ძეგლებს უკავშირდება, მაგრამ ფილაზე აღნიშნული არქიტექტურული დეტალები — თაღები შეწყვილებული, გრებილი ლაღვები და ეკლესიის გამოსახულების სარკმლის მორთულობის ფორმა ცაიშის რელიეფის თარიღს X ს.-ის II ნახევრისა და XI ს.-ის დასაწყისისაკენ წევს.

რელიეფი რომ თავის პირვანდელ ადგილზე არ მდებარეობს, ამას თვით სამრეკლოს აგების პერიოდი (XVII ს. ან მას შემდეგ) ლაპარაკობს. ეკლესიის გამოსახულება კი, რომელიც თითქმის ყოველთვის მოგვაგონებს იმ ტაძრის ტიპს, რომელსაც ეკუთვნის თვით რელიეფი, გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად იგი X-XI სს.-ის მიჯნის რომელიმე დარბაზულ ეკლესიას ამკობდა, შესაძლოა, იგი ცაიშის ლეთისმშობლის ტაძრის ადგილას მდგარი შეერიალბსიდიანი ეკლესიის ფასადზე იყო ადრე მოთავსებული, რომლის ნაშთებიც მთავარი ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილშია ამჟამად მოქცეული.<sup>8</sup>

1. პ. ზაქარაია, ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, 1956.

2. იქვე, გვ. 124—131.

3. იქვე, გვ. 106—107.

4. Гагие Алибегавшвили, Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи, Тбилиси, 1979, стр. 75.

5. პ. ზაქარაია, ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, გვ. 106.

6. ლ. რჩელიშვილი, თრიალეთის საერისთავოს X ს.-ის ერთი ძეგლი, ქართული ხელოვნება 6, სერია A თბილისი, 1963, გვ. 179.

7. Л. Шанидзе, Новые открытые рельефы из Цорбиси, IV Международный симпозиум по грузинскому искусству, Тбилиси, 1983.

8. პ. ზაქარაია, ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, გვ. 129.



არაბული წარწერები XVII საუკუნის ქართული კედლის  
მხატვრობის ძეგლებში

საქრისტიანოს ურთიერთობა სხვა სარწმუნოების ხალხებთან არაერთ-მნიშვნელოვანი, ვრცელი საკითხია. ამ საკითხს სხვადასხვა დროის მკვლევარნი განსხვავებული ასპექტით განიხილავდნენ. საქართველოს კავშირი მუსულმანურ სამყაროსთან ჩვენი ისტორიის განუყოფელი ნაწილია და საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი მასალაც საკმაოდ დიდია. ჩვენი წერილი ქართულ ეკლესიათა კედლის მხატვრობაში ამ კავშირის ერთ-ერთ გამოვლენას ეხება. განვიხილავთ გვიანი შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის სამ ძეგლს, სადაც სხვადასხვა სახით ჩნდება არაბული შრიფტი — დამწერლობა. სამივე ძეგლი XVII საუკუნისაა. ეს ის პერიოდია, როცა აღმოსავლეთ საქართველოს სპარსელები არბევდნენ, დასავლეთ საქართველო კი ოსმალური იმპერიის ქვეშევრდომია, მისი გავლენის სფეროშია მოქცეული<sup>1</sup>. ამგვარმა ისტორიულმა ვითარებამ განაპირობა ირანული კულტურის აშკარა გავლენები XVI-XVII სს. ქართულ ხელოვნებაზე. გავლენები შეეხო ჩვენს ხუროთმოძღვრებას<sup>2</sup>, მონეტენტურ ფერწერასა და ოქრომკედლობას, განსაკუთრებით კი საერო ხელნაწერთა დასურათებას<sup>3</sup>. ჩვენი ძეგლების განხილვა გვიჩვენებს, რომ საკითხი არც თუ ერთნიშნაა, რომ იგი სცილდება სპარს-ოსმალებთან საქართველოს კავშირ-ურთიერთობის ფარგლებს.

არაბული დამწერლობა პირველად ქართულ ტაძართა კედლის მხატვრობის XVII საუკუნის ნიმუშებზე გვხვდება. ამ მხრივ ერთ-ერთია სამთავისის მონატულობა, რომლის საკურთხეველშიც გამოსახულ მოციქულებსა და მღვდელმთავრებს თან ახლავს მათივე სახელის აღმნიშვნელი არაბული წარწერები<sup>4</sup>. საგულისხმოა, რომ წარწერები სამეწიფანია: ქართული (ასომთავრული), ბერძნული და არაბული. აღსანიშნავია ისიც, რომ წარწერები სპარსულ ან ოსმალურ ენაზე კი არ არის შესრულებული, არამედ სწორედ რომ არაბულად. ამ პერიოდის ქრონიკებში არაბულენოვანი ხალხების კავშირი საქართველოსთან არ ჩანს. ამდენად ამ კერძო შემთხვევის ახსნა ძნელია, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არაბული ენა მუსულმანური მრწამსის მიმდევარი ხალხებისათვის ისეთივე გავრცელებული და საყოველთაო იყო, როგორც ლათინური ან ბერძნული ქრისტიანული სამყაროსათვის. ამდენად არაბული დამწერლობის ჩვენს მონატულობაში გამოყენება შეეძლოთ როგორც სპარსელებს, ასევე ოსმალებს და მაჰმადიანური სამყაროს სხვა წარმომადგენლებსაც. წმინდანთა სახელის აღმნიშვნელი მსგავსი წარწერები გვხვდება აგრეთვე ხელოვნების მუზეუმის ფონდებში დაცულ გვიანი დროის ქართულ ხატებზეც, საინვენტარო ნომრით სხმ „ხ“ 457 — წმ. იაკობი და სხმ „ხ“ 458 — წმ. ბართლომე. გარკვეული სტილისტური ნიშნების საფუძველზე ისინი XVII საუკუნისად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

არაბულ წარწერებს სეკტიცხოვლის ტაძრის ინტერიერში მოთავსებული ცხოველმყოფელი სვეტის მონატულობაც შეიცავს, რომელიც, ანტონ კათალიკოსის დაკვეთით მოუხატავს XVII საუკუნის ბოლოს გრიგოლ გულჯაგარას-



შვილს. სვეტის ჩრდილო წახნაგზე სამების კომპოზიცია ჩნდება. აქ გაქმნილი სახელ მაცხოვარს ხელში გადაშლილი სახარება უჭირავს, რომელზეც ასომთავრული ტექსტის ქვემოთ ოთხი პწკარი არაბული გრაფემებია მოთავსებული. ასომთავრული ტექსტი აღებულია მათეს სახარებიდან (II, 28-30). ხოლო არაბულ წარწერაში მოცემულია ამ ტექსტის თავისუფალი კომბინაცია.

1. მღათ:ჩდა ყ
- 2 ნი: მაშორალ
3. ნი. და ტერ:მ
4. ძი:მენი:დ
5. ა-----
6. ისუენო:თქ
7. ნ: ალიღეთ
8. ოღელი ჩმა
9. თქნ ზა დ
10. ა ისწავლეთ
11. ჩიდგან. რ:
12. მშვიდ ვა
13. რ:და:მდა
14. ბალ. ვლით
15. ა:.
- 16.
- 17.
- 18.

„მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთმძიმენი, და მე განგისუნოთ თქვენ.

ალიღეთ უღელი ჩემი თქვენ ზედა და ისწავლეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა (და კბოთ განსვენებამ სულთა თქვენთა).<sup>6</sup>

არაბული ტექსტის თარგმანი:

15. მოღით, ო, მძიმე
16. ტვირთიანნი და დაგასვენებთ თქვენ,
17. იტვირთეთ ჩემი უღელი,
18. რადგან ჩემი უღელი მსუბუქია.

(როგორც ასომთავრული, ისე არაბული წარწერა გაშიფრულია ცისია კახიანის მიერ. წერილი ქვეყნდება აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიოლოგიის პერიოდულ ჟურნალში).

აქვე მოვიყვანთ მათეს სახარებიდან წინა სტროფს, საიდანაც ჩანს, რომ გამოსახულება წარწერის ტექსტის უშუალო ილუსტრაციას წარმოადგენს:

„ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ, და არავინ იცის ძე, გარნა მამამან: არცა მამაი ვინ იცის, გარნა ძემან, და რომლისა უნდეს ძესა გამოცხადების... (მათე II, 27).

სვეტის ჩრდილო წახნაგზე მოთავსებული სამების კომპოზიცია ტაძარში დასავლეთის კარიდან შემოსულ მლოცველს ერთ-ერთი პირველი მოხვდება თვალში. სწორედ ტექსტის შინაარსით, მისი მოწოდებითი ფორმით აიხსნება გამოსახულების ამ ადგილზე მოთავსება. არაბული ტექსტი, რომელიც კი არ





ბონი. „ღვთისმშობლის მიძინების“ კომპოზიცია.

Хони. Композиция «Успение Богоматери».

ხვეტიცხოველი. „სამების“ კომპოზიცია ცხოველმყოფელი სვეტის ჩრდ. წახნაგის მოხატულობიდან. დეტალი.

Светицховели, композиция «Троица», роспись северной грани Животворящего Столпа (Деталь).





ხონი. „ღვთისმშობლის მიძინების“ კომპოზიცია. დეტალი.

Хони. Композиция «Успение Богоматери». Деталь.

აგრძელებს, არამედ იმეორებს ქართული წარწერის შინაარსს, განკუთვნილია ბუნებრივი მნახველისათვის და, ასე ვთქვათ, ქრისტიანული მრწამსის ქადაგებას წარმოადგენს. სამების მსგავს კომპოზიციებში სახარებაზე სხვა ტექსტია ზოლმე აღბეჭდილი: „მამაო... აღიდე ძე შენი. რაითა ძემანცა შენმან გადიდოს შენ“. (იოანე 17,1)<sup>7</sup>. ტექსტის ამგვარი ცვლა სვეტიცხოველში სწორედ ფრესკის დანიშნულებიდან უნდა მომდინარეობდეს.

არაბული გრაფემების კიდევ ერთი ნიმუში გვხვდება ხონის წმინდა გიორგის ეკლესიის მოხატულობაში, რომელიც სატრიუმფო თაღზე მოთავსებული ბერძნული წარწერის მიხედვით 1676-1677 წლებით თარიღდება. (წარწერა ადგილზე ამოიკითხა თ. ყაუხჩიშვილმა). ინტერიერის ცენტრალურ ნაწილში, სამხრეთის კედლის დეკორატიულ თაღში, „ღვთისმშობლის მიძინების“ სცენაა გაშლილი. ყოველდწმინდის სარეცლის ორსავე მხარეს ორი მღვდელმთავრის ფიგურაა გამოსახული — იკონოგრაფიული ტიპის მიხედვით აეროთეუს ათო-



ნელი და დიონისე არეოპაგელი. ორივეს გადაშლილი სახარება უჭირავს, რომელთა ტექსტი არაბული შრიფტით არის შესრულებული. ტექსტის ავტორი ალდგენა შეუძლებელი აღმოჩნდა. (არაბული ტექსტი გაშიფრეს აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგებმა). იერთოფეს ათონელის წიგნზე ფრაგმენტულად იკითხება: „მომავლია მე ქადაგებად“ და „მართამონ“, რაც ღვთისმშობლის არაბული სინონიმი. ტექსტის წყაროს კონკრეტული მითითება ძნელდება მისი ფრაგმენტულობის გამო, თუმცა სავარაუდოდ მაინც შეიძლება ითქვას: რადგან მღვდელმთავრები მუდამ სახარებით წარმოგვიდგებიან. მაშინ აქ, სახარებისავე კანონიერი ან აპოკრიფული ვერსიის რომელიღაც მონაცვეთია, ალბათ, მოტიანილი და არა სხვა რამ ტექსტი.

როგორც ჩანს, სვეტიცხოვლისა და ხონის მონაბელობებში გამოყენებული უნდა იყოს სახარების სწორედ არაბული ტექსტი — ქრისტეს ცხოვრების ყველაზე პოპულარული ვერსია მაჰმადიანურ სამყაროში. არაბული ვერსია კი, სხვა ეროვნების მაჰმადიანსაც შეეძლო გამოეყენებინა — სპარსელს ეუ ოსმალს. ისტორიული ვითარების გათვალისწინებით საფიქრებელია, რომ არაბული წარწერის არსებობა ხონის ტაძრის კედლებზე ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოში მოჭარბებულ ოსმალთა გავლენის შედეგი უნდა იყოს. მაგრამ სპეციალისტების აზრით თურქები საქართველოს ამ მხარის სულიერ ცხოვრებაში იმდენად არ იყვნენ ჩარეული, რომ ასეთი კვალი დაეტოვებინათ ჩვენი ეკლესიების კედლებზე. ანტითურქული მოძრაობა ჩვენში იმდენად ძლიერი იყო, რომ თურქეთის მთავრობას ქართველთა ვესალური მორჩილების დამამტკიცებელ პირობად მოსახლეობის გამაჰმადიანება არ მოუთხოვია. რჭელის ძალდატანებითი შეცვლა მხოლოდ XVIII საუკუნიდან დაიწყო. XVII საუკუნის ბოლომდე კი აფხაზეთის, ანუ მთლიანად დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი საკმაოდ ძლიერი ფიგურა ჩანს. აქვე ალბათ ხონის წარწერის სვეტიცხოვლისეული ფუნქციაც უნდა გამოვრიცხოთ, რომელიც ქრისტიანული მრწამსის პოპულარიზაციას გულისხმობს, რადგან კომპოზიცია საკმაოდ მაღლა, კედლის დეკორატიულ თაღშია მოთავსებული. ქვემოდას იგი არც კი ჩანს. გავლენების მეორე შესაძლებელ წყაროდ შეგვიძლია დავასახელოთ იტალიური რენესანსი, სადაც არაბული გრაფემები გვხვდება ხელოვნების ნაწარმოებებში — მაზაჩოსთან, ჟენტოლე დი ფაბრიანოსთან და სხვა რამდენიმე იტალიელ ოსტატთან (XV ს.). არაბული ასოები აქ, ყველაზე ხშირად ღვთისმშობლის შარავანდზეა მოთავსებული. პირველად ეს დეტალი მაზაჩოს მიერ შესრულებულ ფლორენციის კარმინეს ეკლესიის ფრესკებში აღინიშნა. მარტინ ფორსტნერი<sup>1</sup> ამ ფაქტს დამკვეთის, ფელიქს ბრანკაჩის მამულუქების სულთანთან კავშირით ხსნის. ბრანკაჩიმ სწორედ ეგვიპტიდან დაბრუნებისას შეუტყვეთა ეს ფრესკა მაზაჩოს. აქ ღვთისმშობლის შარავანდზე აღნიშნული არაბული წარწერა იკითხება და მუსულმანური მრწამსის მთავარ ფორმულას გადმოსცემს: „არ არს ღმერთი გარდა ალაჰისა“, თუმცა მსგავსი ხასიათის წარწერა ღვთისმშობლის შარავანდზე უცნაურად ჩანს და ეგვიპტელი სულთნის მიმართ დამკვეთის გარკვეულ კომპრომისზე მიუთითებს. ჟენტოლე დი ფაბრიანოსთან არაბული გრაფემები კარგავს აზრს. ისინი უკვე აღარ იკითხება და მხოლოდ დეკორატიულ ელემენტებად რჩება. ამ გარემოებას ლავუა



არაბული ჰსოვილების გავლენით ხსნის<sup>10</sup>. ჯენტლე დი ფაბრიანოს ნაწარმოებებში ფსევდონისკრიფციები უკვე სხვადასხვა ადგილას გვხვდება, მაგ. „საქართველოში თაყვანისცემის“ სცენაში მარიაშისა და იოსების შარავანდზე, მოგვიანებით ჯენტლე და ჩელი იესოს სახევეზე. საქართველოში გავლენების ამ წყაროს სასარგებლოდ მეტყველებს ერთი ისტორიული ცნობა, რომლის მიხედვითაც XVII ს. მეორე ნახევრიდან გაბზირდა ვაჭრობა დასავლეთ ევროპასთან. განსაკუთრებული ინტერესი საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობისა სწორედ იტალიამ, კერძოდ ვენეციამ გამოიჩინა! ხონი კი ერთ-ერთი სავაჭრო პუნქტთაგანი იყო ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოში. შესაძლოა სწორედ ვეროპიდან ჩამოტანილი ხელნაწერი წიგნები, გრაფიურები ან მცირე ზომის ხატები გახდა სანიმუშო ქართველ ოსტატთათვის. აღსანიშნავია, რომ ხონის მოხატულობის ამ სცენის ორი წიგნიდან ერთზე, იეროთეუს ათონელის სახარებაზე, ტექსტი იკითხება, ხოლო მეორეზე, დიონისე არეოპაგელის წიგნზე, არაბული გრაფემები აზრს მოკლებულია და მხოლოდ დეკორატიულ ელემენტად აღიქმება. ცხადია, რომ ამ წიგნზე წარწერა მექანიკურად, აზრის გაუთვალისწინებლად გადაიტანეს. თანაფარდობა ამ ორ სახარებას შორის იგივეა, რაც მაზნისა და ჯენტლე დი ფაბრიანოს გამოსახულებებში.

ასეთი ფსევდონისკრიფციები თვით არაბულ მინიატურებზეც გვხვდება. აქ მათ, დეკორატიული დატვირთვის გარდა, სიმბოლური მნიშვნელობაც აქვთ<sup>12</sup>. მსგავსი არაბული ტრანსკრიფცია წმინდა დეკორატიული მნიშვნელობით გადმოვიდა რომანულ და გუთურ ხელოვნებაშიც, კერძოდ ორნამენტებში და ფართოდ იხმარება XI-XIV სს. საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის დასურათებულ სახარებებში, ან სხვა ლიტურგიული ხასიათის წიგნებში<sup>13</sup>. მსგავსი დეკორატიული მოტივი არაბესკების სახით საქართველოშიც ადრეული ხანიდანვე ჩნდება. ეს გრაფემები განსაკუთრებით ხშირად ლიტურგიული ხასიათის ხელნაწერი წიგნის ყდებზე გვხვდება. არაბული დამწერლობის დეკორატიული გამოყენება კედლის მხატვრობაშიც აღინიშნება, სახელდობრ, მაკხვარიშის ეკლესიის მოხატულობაში (XII ს.), ჩრდილოეთის კარის ტიმპანში, ამავე ედელზე წმ. ეკატერინეს დაგვირგვინების სცენაში ჰვედა მარჯვენა კუთხეში და დემეტრე მეფის სამოსზე ვხვდებით არაბულის განშტოების, კუფის დამწერლობის ასოებს, სტილიზებული ორნამენტული ზოლის სახით. მსგავსი ორნამენტი საქართველოში გვაქვს აგრეთვე დავით გარეჯის უდაბნოს სატრაპეზოს მოხატულობაში.

ხელოვნების მუზეუმის ფონდებში დაცულ მღვიმეის ვედრების ხატზე მაცხოვარს ხელში გადაშლილი სახარება უჭირავს. ვრცელი ბერძნული წარწერის ნაწილს, რამოდენიმე გრაფემას ა. შანიძე და გ. ბეი-მამიკონიანი ინდური დამწერლობის, ბრაჰმის ნიშნებს ამსგავსებენ<sup>14</sup>. ეს კიდევ ერთი მაგალითია უცხო, განსხვავებული მრწამსის ხალხების დამწერლობის შემოჭრისა ქრისტიანულ ძეგლში. (ამ ხატს გ. ჩუბინაშვილი თავის ვრცელ მონოგრაფიაში X—XI სს. ათარილებს).<sup>15</sup>

სხვადასხვა დროის საწინამძღვრო ჯერებსა თუ ხატებზე ხშირად გვხვდება ძვირფასი თვლებით მორთვა, რომლებზეც ასევე არაბული ტექსტია აღბეჭდილი. აქვს თუ არა ამ თვლებსა და მათ წარწერებს რაიმე კავშირი თვით ჯერებსა და მათ სიმბოლიკასთან ძნელი სათქმელია. ამ საკითხის გამორკვევა მხო-



ლოდ ტექსტებზე დაყრდნობით შეიძლება და ამდენად ორიენტალისტების კომპეტენციაში შედის.

სისრულისათვის უნდა მოვიყვანოთ დავით გარეჯის მონასტრის, უკიდოდ, უდაბნოს ეკლესიების კედლებზე არაბული და სპარსული გრაფიკების არსებობა. გრაფიკები სხვადასხვა ხანით თარიღდება და გარეჯის მონასტრებში მისიონერთა მოღვაწეობის შედეგი უნდა იყოს.

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული XVII საუკუნის მონუმენტური მხატვრობის სამი ძეგლიდან პირველ ორზე (სამთავისი, სვეტიცხოველი) არაბული წარწერების არსებობა შეიძლება აიხსნას, როგორც უშუალო შედეგი საქართველოში მუსულმანური ექსპანსიისა, რაც შეეხება ხონის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერებს, მათი წარმომავლობა საქართველოში დასავლურ გავლენებს შეიძლება დაუკავშირდეს. XVII საუკუნის ბოლოს დასავლურმა გავლენებმა ქართულ მონუმენტურ ფერწერაში და განსაკუთრებით მინიატურაში, იკონოგრაფიულ თუ სტილისტურ დეტალებშიც იჩინა თავი<sup>1</sup>.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, საქართველოს ქრისტიანულ ძეგლებში ნათლად აისახა განსხვავებული რწმენის ხალხებთან საკმაოდ მკიდრო ურთიერთობა. უცხო დამწერლობის გამოყენების ხერხს დიდი ხნის ისტორია აქვს და გეოგრაფიულადაც ვრცელი მასშტაბებით გამოიჩინევა. წინამდებარე წერილის მიზანს შეადგენს ჩვენთვის ცნობილი მასალის აღნუსხვა და აღნიშნულ საკითხზე სპეციალისტების ყურადღების მიქცევა.

1. ამ საკითხზე იხილეთ: საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. 4, რედ. მ. დუმბაძე, თბილისი 1973, გვ. 180.
2. Г. Н. Чубинашвили, Пути Грузинской архитектуры, Тб.  
· ვ. ბერიძე, XVI-XVIII სს. ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. 1, თბ., 1983, გვ. 10.
3. ი. ხუციკვაძე, ქართული საერო მინიატურა, თბ., 1976, გვ. 9.
4. ვ. სოხაშვილი, სამთავისი, თბ., 1973.
5. ვ. ბერიძე, მცხეთის კათედრალის „სვეტიცხოველი“ და ქართლის მოქცევის სიუჟეტების ფრესკებში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, XI თბ., 1948, გვ. 138.
6. იბ. მცხეთური ხელნაწერი, თბ., 1986, გვ. 134.
7. Васильев, Эрманин. Технология и иконография, София, 1976, стр. 140.
8. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, გვ. 183.
9. M. Forstner, Zur Madonna mit der Sahada, Zeitschrift der deutschen Morgenländischen Gesellschaft, Band 122, Wiesbaden 1972.
10. Lavoix, H. De l'ornementation arabe dans les oeuvres des maîtres italiens, gazette des Beaux Arts 1877, s 15, 29.
11. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, გვ. 185.
12. Don Aanavi, „Pseudoinscriptions“ in Islamic art, „Metropolitan Museum of Art Bulletin“, New York, May 1968, pp. 353, 358.
13. Dr. Kurt Endmann, Arabische Schriftschemen als Ornamente in der abendländischen Kunst des Mittelalters. Akademie der Wissenschaften und der Literatur, Abhandlungen der geistes und sozialwissenschaftlichen Klasse. Jahrgang 1953, № 9.
14. Шанидзе А. Новоткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки, Тб., 1938, стр. 57.
5. ბერი-შამიკონიანი, ქართული ანბანის წარმოშობის საკითხისათვის, მნათობი № 9, 1956, გვ. 169--175.
15. Г. Н. Чубинашвили. «Грузинское чеканное искусство», Тб., 1959, т. I, стр. 57.
16. Девдардани Ф. Художественные тенденции грузинской миниатюрной живописи XVII в. иллюстрации Анчисхатского гуляни. Диссертация на соискание ученой степени кандидата искусствоведения, Тб., 1985.

**ქველი ქართული ტიხრული მინანქრის ოქროს მღვანელების  
მიჩინების ტექნოლოგიის აღმანახების**

საქართველოს მუზეუმებში თავმოყრილია როგორც რაოდენობით, ისე მხატვრული ღირებულებით მსოფლიოში უდიდესი და უძვირფასესი ტიხრული მინანქრების კოლექცია.

პირველი ტიხრული მინანქრები (ერთეულები) დათარიღებულია II-III სს. შემდგომი ხანის ნამუშევრები VI-IX სს. უმეტესი უძვირფასესი და ფასდაუდებელი ძეგლები კი X-XII სს.<sup>1 2 3 4</sup>.

უამრავმა შემოსევებმა, დარბევებმა, ხელოსნების ამოწყვეტამ ან ტყვედ წაყვანამ, ეკონომიკური განვითარების დაეცემა, დიდი გავლენა იქონია საქართველოში საერთოდ ხელოვნების შემდგომ წინსვლაზე. აღნიშნულის გამო, XII-XV საუკუნეებში მცირე რაოდენობით გვხვდება ტიხრული მინანქრის ნიმუშები ზოგიერთის გარდა შედარებით დაბალი გემოვნებით და მარტივი ტექნიკით შესრულებული. მომდევნო პერიოდში კი მინანქრის ნაკეთობა მზადდება სხვა ტექნიკით — ფერწერული, ამოკვეთილი, თევების გამოყენებით და სხვა.

ტიხრული მინანქრების მეცნიერული კვლევა დაიწყო XIX საუკუნიდან და მიმდინარეობს დღესაც, ქართული ტიხრული მინანქრის შესწავლაში, დათარიღებაში და მეცნიერულ კვლევაში მრავალმა უცხოელმა მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა (მ. დილი, ო. დალტონი, ნ. კონდაკოვი, კ. ვესელი და სხვ.).

უდიდესი შრომა ამ მხრივ წარმართეს ქართველმა მეცნიერებმა (შ. ამირანაშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ლ. ხუსკიაძე, დ. გორდევი, გ. აბრამიშვილი და სხვ.).

აღნიშნულ შრომებში ძირითადად მოცემულია ტიხრული მინანქრის სტილისტიკური და იკონოგრაფიული დახასიათებები, რაც დამყარებულია შედარებით მხატვრულ ანალიზზე.

ტერმინი მინანქარი (მინანქრის ნაკეთობა) გამოხატავს არა მარტო მინანქარს, არამედ მის ლითონურ ფუძესაც. ტიხრული მინანქარი კი ლითონურ ფუძეს ტიხრებით. თუ მინანქარი იძლევა ფერთა გამას, ლითონურ ფუძეზე განლაგებული ტიხრები იძლევიან გრაფიკულ ნახატს. რომელიც მინანქრის ფერთან ერთად წარმოადგენს შეკრულ კომპოზიციას. რაც შეეხება ტიხრული მინანქრის ოქროს ფუძის და ტიხრების დამზადების ტექნოლოგიურ პროცესს, მის შესახებ ლიტერატურაში მცირე და ბუნდოვანი ცნობებია.

პირველი ტექნოლოგიური პროცესის აღწერა გვხვდება IX-X სს. ბერ თეოფილეს ნაშრომში — „ტრაქტატი სხვადასხვა ხელოსნობაზე“<sup>5</sup>, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ ოქროს თხელი ტიხრები ფუძეს ეწებება ფქვილის წებოთი და მერე იჩინდება ცეცხლში, სარჩილად იხმარებოდა ევრცხლის და ოქროს(22 კარატის ოქროს) შენადნობი. მეორე შემთხვევაში თეოფილე გვიჩვენებს ვიხმაროთ ბებერი ღორის ყურის ქონი, არეული სპილენძის ქანგსა და ზეჟანგში.



ბ. რიბაკოვი<sup>6</sup> ვარაუდობს ალუბლის წებოს ან ცვილის გამოყენებას. ნ. კონდაკოვი<sup>7</sup> თვლის, რომ ტიხრების ფიქსირება ზღებოდა ცომის<sup>8</sup> შემცვენი ფუძეზე დამაგრებელი ტიხრები იკვრებოდა რკინის მავთულით. ტიხრები ჩენილ ბუდეებში იყრებოდა ბურაკისა და ოქროს სარჩილის ნაქლიბი. ნამზადი ხურდებოდა სარჩილის გადნობამდე. გაციების შემდეგ ფუძეზე მირჩილულ ტიხრებიდან ხსნიდნენ მავთულს და ასუფთავებდნენ ნარჩენი ბურაკისა და ზედმეტი სარჩილისაგან. (5-10% გოგირდმჟავა, შაბირება, ვაქლიბება).

შემოთ აღწერილი მირჩილის ტექნოლოგია კარგია, როდესაც ტიხრის სისქე აღემატება 0,15-0,20 მმ. თუ ტიხრის სისქე 0,03 დან 0,15 მმ-დეა ტიხარი გახურებისას იღებს დეფორმაციას, წეება, და უმეტეს შემთხვევაში დნება.

შ. ამირანაშვილი<sup>9</sup> „ხახულის კარედში“ ტიხრული მინანქრის დამზადებისას, ყველაზე რთულ პროცესად ტიხრების მირჩილვას მიიჩნევს. ის აღნიშნავს, რომ საქართველოს საბელმწიფო მუზეუმში ი. ტარუაშვილის მიერ ცივი მირჩილვის წესით, რომელიც გამოიციხავს ცეცხლის (გახურების) გამოყენებას, ტიხრული მინანქრის ტექნიკით დამზადდა ვარდული. რაც შეეხება დამზადების პროცესს, ნაშრომში არ არის სრულყოფილად აღწერილი. გარდა ტიხრის და ფუძის მირჩილვისა, თითქმის ყველა ტიხრული მინანქრის ზედაპირი ერთ სიბრტყეშია ოქროს ფონთან.

ტიხრული მინანქრის კომპოზიციის ოქროს ფონში ჩასმის და მირჩილვის ტექნოლოგია (ბუდის ფონის ზედაპირთან) ლიტერატურაში საერთოდ არ არის ხსენებული.

ჩვენი მიზანი იყო შეგვემუშავებინა და დაგვედგინა ძალზე თხელი ოქროს ტიხრების ფუძეზე მირჩილვის ტექნოლოგია. აგრეთვე ტიხრული მინანქრის ნაკეთობის ოქროს ბუდის დაკავშირება ოქროს ფონთან, რომელიც ერთ სიბრტყეშია მოთავსებული.


ტიხრული მინანქრის დასამზადებლად, გარდა მინანქრისა, იხმარებოდა ბაჯალო ოქრო. ოქროს ახასიათებს მაღალი პლასტიკურობა, რაც იძლევა საშუალებას უთხელესი ფურცლის მიღებისა. იგი მდგრადია კოროზიისადმი, არ იკრავს ჭანგეულის აქეს, რის შედეგადაც მისი ზედაპირი პრაქტიკულად უცვლელ ფერსა და ბზინვარებას ინარჩუნებს. დნობის ტემპერატურა 1064°C. იხსნება მეფის არაყში, ცეანის ტუტის ხსნარებში, ბრომისა და ქლორის წყალში და სინდიყში.

ოქროს ფურცლიდან მზადდებოდა ოქროს ფუძე, რომელზეც ეწყობოდა და მაგრდებოდა (ერჩილებოდა) ოქროს თხელი ლენტის ტიხარი სისქით 0,03-დან 0,1 მმ-დე.


ცნობილი მოქროების ტექნოლოგიური პროცესებიდან, როგორცაა ცხელი ანუ ცეცხლის მეშვეობით, ცივი ე. ი. ოქროს ფურცლის დაფარვით-დაკვერვით და სველი-გალვანური წესით საქართველოში მოქროებას აწარმოებდნენ მხოლოდ ცხელი წესით, ოქროს ამაღვამის გამოყენებით<sup>10</sup>.

ოქროს ამაღვამიზაციას ჯერ კიდევ 2 ათასი წლის წინათ იყენებდნენ. ამაღვამიზაცია დამყარებულია ოქროს და სინდიყის შეერთებაზე ნორმალურ პირობებშიც კი.


სინდიყი (ვერცხლის წყალი) ლითონია, რომლის დნობის ტემპერატურაა -38,87°C, დუღილის ტემპერატურა 357°C. სინდიყი ადვილად ხსნის მრავალ ლითონს და ჭმნის შენადნობებს ანუ ამაღვამას. ასეთი ლითონებია ოქრო, ვერ-




ნახ. 1



ნახ. 2



ნახ. 3



ნახ. 4

ნახ. 1. ოქროს პინაკის ფუძისა და ტიბრების მირჩილვის ტექნოლოგია.  
 ნახ. 2. სინდიუსის განლაგება ოქროს ფუძესა და ტიხარს შორის.  
 ნახ. 3. ოქროს ამაღამის გამოყენება ტიბრების მისარჩილად.  
 ნახ. 4. ტიბრული მინაქრის ჩაბმა ოქროს ფონში ამაღამის გამოყენებით.

1. Технология пайки золотой основы и перегородок.  
 2. Расположение ртути между основой и перегородкой.  
 3. Применение золотой амальгамы для пайки перегородок.  
 4. Соединение перегородчатой эмали с фоном с применением амальгамы.



ცხლი, კალა, თუთია და სხვა. ყველაზე ადვილად ამალგამა მიიღება ოქროს/ ვინაიდან  $30^{\circ}\text{C}$  — ოქროს ზსნადობა სინდიუსში 15%-ს აღწევს, რაზედაც დამყარებულია თვითნაბადი ოქროს მოშორება მინარევეებისაგან.<sup>8</sup> 9.

დაწყებული შუაბრინჯაოს ხანიდან, ოქროს ამალგამა გამოიყენებოდა მოვარაყება-მოოქროებისათვის ე. ი. ვერცხლის, სპილენძის და სხვა ლითონის და-დარვისათვის ოქროს თხელი აფსკით<sup>9 10 11</sup>.

ამალგამის დასამზადებლად ლიტერატურაში მოცემულია ოქროსა და სინდიუსის სხვადასხვა პროცენტული რაოდენობა. ერთ ნაწილ ოქროზე ხმარობ-დნენ 6-9 ჯერად სინდიუსის რაოდენობას<sup>1 5 6 9 10</sup>.

ჩვენ მიერ ჩატარებული ცდების შედეგად დადგინდა, რომ ოქროს და სინდიუსის რაოდენობა ამალგამაში შეეფარდება 1:2-ს, ხოლო 6-9 ჯერადი სინდიუსის გამოყენება აჩქარებს ოქროს გახსნას და არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან ამალგამის მიღებისა და მისი გაწურვის შემდეგ ზედმეტი სინდიუსი გამოიყოფა თავისუფალი სახით.

ამალგამის დასამზადებლად ნახშირის ტიგელში ან ნახშირის ლუმელში (შეიძლება გრაფიტის ტიგელი) ათავსებდნენ ერთ ნაწილ წვირილად დაჭრილ თხელ ოქროს ფირფიტებს, ახურებდნენ გაწითლებამდე, ე. ი.  $700-800^{\circ}\text{C}$ -მდე. მას უმატებდნენ წინასწარ  $300^{\circ}\text{C}$ -მდე გახურებულ სინდიუსს და აყოვნებდნენ გახურებულ მდგომარეობაში ოქროს სრულ გახსნამდე. გაციების შემდეგ ზედმეტი სინდიუსის მოსაშორებლად შენადნობი ისმება ნატში (ზამში) ან სხვა რომელიმე ნაქერში და იწურება. ნატში დარჩენილი ფაფის მაგვარი მასა წარმოადგენს ამალგამას.

სინდიუსის მოშორება აგრეთვე შესაძლებელია, თუ გამდნარი შენადნობი დაყოვნდება ცეცხლზე (გახურებულ მდგომარეობაში სინდიუსის ასაქროლებლად) ფაფის მაგვარ მასის მიღებამდე, ორივე წესით მიღებული ამალგამა მზადაა მოოქროებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ სინდიუსის ორთქლი ადამიანისათვის მეტად მავნებელია, რის გამოც ამალგამის მიღება უნდა მიმდინარეობდეს ჰაერზე, ან ვენტილაციის გამოყენებით.

ჩვენ მიერ ჩატარებული ცდების დროს სარჩილად გამოვიყენეთ სინდიუსი სუფთა სახით, აგრეთვე ოქროს ამალგამა.

სინდიუსის გამოყენებით დავამზადეთ ტიხრული მინანქრის მედალიონის ასლი ზობიდან (Xს). დიამეტრი 17 მმ, სისქე 1,28 მმ (იხ. ნახ 1) მასალად გამოვიყენეთ ბაჯალლო ოქრო. ფუძე დამზადდა 0,12 მმ-ის სისქის. ტიხარი კი სისქით 0,06 მმ, სიმაღლით 1,5 მმ.

წინასწარ დამზადებულ ოქროს პინაკში (იხ. ნახ. 1) (1) ჩავასხით გარკვეული რაოდენობის სინდიუსი (2) და თითბერის ჯაგრისის (3) საშუალებით დავფარეთ მისი ზედაპირი (4). ერთიანი სარკისმაგვარი თანაბარფენიან სინდიუსის ზედაპირზე ეწყობოდა სათანადო კომპოზიციის მიხედვით გაღუნული და მოყვანილი ფორმის ტიხრები (5).

ცნობილია, რომ სინდიუსს ახასიათებს მალალი ზედაპირული დაჭიმულობა, რის შედეგადაც სათანადო ადგილზე დაყენებული ტიხარი არ იცვლის ადგილს და არ წვება.

ტიხრების დალაგების შემდეგ ფუძეს ვახურებთ  $500-600^{\circ}\text{C}$ -მდე—ნამზადის



გაწითლებამდე. ტემპერატურის აწევასთან ერთად სინდიური სწრაფად ორთქლდება და მიიღება ფუძეზე საკმაოდ მტკიცედ მირჩილული ტიხრები. გაციებისთანავე ოქროს ნამზადი მზადაა შემდგომი მუშაობისათვის ე. ო. ტიხრებს შერევის რის მინანქრის ჩაყრისათვის და გამოწვეისათვის.

ოქროს ფუძისა და ტიხრების მირჩილვა მიმდინარეობს შემდეგი პროცესით: ნამზადის ფუძეზე ნახ. 2 (1) თითბერის ჯაგრისით წასმული სინდიური (2) ნაწილობრივ ხსნის ოქროს. ტიხრების დაწყობისას (3) სინდიუთან შეხების ადგილას (კვანძი „ა“) იხსნება ოქროს ტიხრის ქვედა ნაწილიც. გახსნა მიმდინარეობს ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე ფუძისა, ვინაიდან ის წარმოადგენს ტიხრის თხელ წიბოს სისქით 0,06 მმ და სინდიუში ჩაფლულია სამი მხრიდან. ფუძეზე კი სინდიური მხოლოდ ზედაპირზეა (ნახ. 2). სინდიუის ზედაპირული დაკიმულობის ძალით ფუძე და ტიხარი უახლოვდება ერთმანეთს და რამდენადაც ნაკლებია სინდიუის ფენა, მით მეტია მათი მიწიდულობა. ფუძისა და ტიხრის საზღვარზე გროვდება სინდიუში გახსნილი ოქრო და დიფუზიით წარმოქმნის ამაღვამას. ხოლო სინდიუის აორთქლების შემდეგ, ოქროს ატომები ქმნიან მტკიცე კავშირს და ოქროს ნამზადის (ფუძე ტიხრებით) მთლიანობას.

აღნიშნული პროცესი მოითხოვს ნამზადის გახურებას 200-დან 250°C-ზე-მთ, რადგან ოთახის ტემპერატურაზე დაყოვნებამ 1, 7, 30 დღის განმავლობაში მირჩილვის შედეგი არ მოგვცა, ვინაიდან დიფუზიის და აორთქლების პროცესი მიმდინარეობს ძალიან ნელა. აქედან გამომდინარე, ოქროსთან დაკავშირება, ცივი მირჩილვით, გაუხურებლად თითქმის შეუძლებელია.

მირჩილვის ხარისხის დასადგენად ჩატარდა შემდეგი ექსპერიმენტი: ოქროს ფირფიტას, რომელსაც ფუძედ ვხმარობდით, სინდიუის მეშვეობით (ზემოთ აღწერილი ტექნოლოგიით) მივუკავშირეთ წიბოზე დამდგარი ტიხარი, პირველ შემთხვევაში სინდიური ავორთქლეთ 500°C-ზე, ტიხრის დადებისთანავე, შემდგომ კი დავაყოვნეთ 12, 24 და 48 საათის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე (20-25°) რის შემდეგ გავახურეთ 250-300°C-ზე, დადგინდა, რომ რაც მეტია სინდიუში დაყოვნება, მით მეტია მირჩილვის ხარისხი.

აღსანიშნავია, რომ სინდიუით რჩილვა გამოსადეგია არა მარტო ტიხრების დასაკავშირებლად, არამედ ცვარას და სხვა რთული კონფიგურაციის მქონე ოქროს ნაკეთობის მისარჩილავად.

ოქროს ამაღვამას პირველ რიგში იყენებდნენ ვერცხლის და სხვა ლითონების მოოქროებისათვის. წინასწარ გასუფთავებულ, ცხიმგაცილ ლითონის ზედაპირზე ჯაგრისით უხვამდნენ ამაღვამის თხელ ფენას შემდეგ ლითონს ახურებდნენ ნელ ცეცხლზე სინდიუის აორთქლებამდე, რომლის დროსაც, ოქრო სუფთავდებოდა და თავისი აქტიური ზედაპირებით (ატომებით) მკიდროდ უკავშირდებოდა ლითონის მოსაოქროებელ ზედაპირს.

სინდიუის გარდა ოქროს ფუძის და ტიხრის მისარჩილავად ოქროს ამაღვამა გამოვიყენეთ. ამ პროცესში მისარჩილი ადგილები ამოვავსეთ ოქროს ამაღვამით ნახ. 3 (1). ფუძეზე (2) დალაგებული ტიხრების (3) ფიქსაციისათვის ფუძე შევკარით რკინის მავთულით (4), შემდეგ გავახურეთ 500-600°C-მდე. ვერცხლის წყალი აორთქლდა და ამაღვამის ოქრომ შეავსო ცარიელი ადგილები, ამით შეიქმნა ნაკეთობის მირჩილული ნაწილების მთლიანობა.

აღსანიშნავია, რომ ამ პროცესით მირჩილვის დროს არ გამოიყენება მდნო-

ბი, რის გამოც ნამზადს არ სჭირდება შემდგომი წილის მოხსნა და გასუფთავება.

როგორც აღვნიშნეთ ტიხრული მინანქრების უმრავლესობა ჩვეულებრივად იქნება ფონში. ფონი განლაგებულია ერთ სიბრტყეში მინანქრის ზედაპირთან და ოქროს თხელ ფირფიტას წარმოადგენს.

ოქროს ფონის მირჩილვა ოქროს ტიხრიან ფუძესთან შეუძლებელია, რადგან მინანქრის ზედაპირის გაშლიფვა-პოლირება (მრავალჯერადი) მთლიანად მოხსნის თხელ ოქროს ფონის ფირფიტას. გარდა აღნიშნულისა, მინანქრების ზედაპირის უმეტესობა მომრგვალებულია (მომრგვალება კი წარმოიშვა იმისგან, რომ ფუძეს არა აქვს კონტრ-მინანქარი). რაც შეუძლებელს ხდის მინანქრის გაშლიფვა-პოლირებას. მაშასადამე სანამ ტიხრული მინანქრის ნაკეთობა ოქროს ფონში ჩაისმება, მინანქრის კომპოზიცია — დამზადების ტექნოლოგია ცალკე ციკლს წარმოადგენს: ფუძის და მინანქრის ჩაყრა, გამრობა, დადნობა-გამოწვა, მანამდე სანამ მინანქარი ტიხრების პირს არ შეაყვას, შემდეგ გაშლიფვა, თუ საჭიროა კიდევ მინანქრის დამატება, გადნობა, გაშლიფვა და პოლირება.

მზა ტიხრული მინანქრის კომპოზიცია იქნება ოქროს ფონში, რისთვისაც იღებენ სასურველი სიდიდის და სისქის ოქროს ფურცლებს, ადებენ მინანქარს პირით, მისი კონფიგურაციის მიხედვით ფურცელში შესაბამისი თარგი (სიციარიელე) ამოიჭრება. მიღებულ სიციარიელეში ჩაისმება მინანქრის კომპოზიცია (იხ. ნახ. 4), ისე რომ ფონის (1) და მინანქრის ზედა ზედაპირი (2) იყოს ერთ სიბრტყეში. მინანქრის დაყვშირება წარმოებს ოქროს ამაღვამით (3), რომელიც ისმება შიგნითა მხრიდან და ხერდება 500-600°C-ზე. ე. ი. მინანქრის გადნობის ტემპერატურაზე ქვევით, რათა გაშლიფული ზედაპირი არ დადნეს და პრილა მინისმაგვარი ზედაპირი არ მიიღოს.

ოქროს ამაღვამის გამოყენება განაპირობა იმან, რომ მინანქარს და ფონს შორის მიიღება ღრიჭო, რომელიც ივსება ნამატი ოქროთი. სინდიყის სუფთობა საბით გამოყენება მიზანშეუწონელია, რადგან ღრიჭო ამოუყვებელი რჩება. აქვე უნდა ითქვას რომ სუფთა სინდიყის (ვერცხლის წყლის) და ოქროს ამაღვამას ქართველი ოსტატები სარჩილავად და ვარაყად იყენებდნენ ჯერ კიდევ შუაბრინჯაოს ხანაში, რასაც ადასტურებს ცვარით დაფარული მრავალი არქეოლოგიური ნივთი და ნაკეთობანი მოპოვებული თრიალეთის, არმაზისხევის და სხვ. არქეოლოგიური გათხრებიდან. სხვადასხვა საეკლესიო თუ საყოფაცხოვრებო ნივთების ზედაპირის მოოქროება, მათ შორის ხახულის ღვთისმშობლის ხატის კარედის კარები (X-XII სს.) მოქედლია ოქროთი დაფარული ვერცხლით, დაფარვა ჩატარებულია ცეცხლის საშუალებით, რის გამოც ღრმა მოვარაყებაა! ამავე დროს მოოქროება გამოიყენებოდა ტექნიკური ხერხის გარდა ნაკეთობის კომპოზიციური ფერის მისაცემად, რისი შავალითიცაა წმინდა მამას ტონდო (XI ს.), შესრულებული ვერცხლში, სადაც ოქროთი შეფერილია წმინდანის საშოსი, თმა, გვირგვინი და ლომის ფაფარი.

ჩატარებული ექსპერიმენტებით დადგინდა:

1. ოქროს ფუძისა და ტიხრების დამაგრება-მირჩილვა შესაძლებელია სინდიყით (ვერცხლის წყლით), თუ ტიხრის წიბო პერპენდიკულარულია ფუძის სიბრტყისა.

2. თუ მისარჩილი ოქროს მდგენლებს შორის რჩება დიდი ღრიჭო, სანდი-

ყის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი, რადგან არ არის ნამატი ოქრო, რის გამოც არ მიმდინარეობს ლითონის დიფუზია. ლითონურ მდგენლებს შორის რჩება ღრიკოები.

3. ლითონური მდგენლების მისარჩილავად ღრიკოების შემთხვევაში გამოიყენება ოქროს ამაღამა (ვარაყი).

4. სინდიყის თუ ამაღამის მისარჩილავად გამოყენებისას საჭიროა ნაკეთობის გახურება 300°C-ის ზევით.

5. სინდიყი გამოსადეგია არა მარტო ოქროს ტიხრების მისარჩილავად, არამედ ცვარას და სხვა რთული კონფიგურაციის მქონე ოქროს, ვერცხლის და სხვა ლითონის მისარჩილავად.

6. მირჩილისას, რაც მეტია სინდიყში დაყოვნების დრო, მით მეტია მირჩილის ხარისხი.

1. გ. ამრამიშვილი, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საგანძერი, თბ., 1977.

2. შ. ამრამიშვილი, ხახელის კარგი, თბ., 1972.

3. ლ. ზესკეაძე, ქართული მინანქარი, თბ., 1981.

4. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959

5. Макарова, Перегородчатые эмали Древней Руси, М., 1975, с. 128—129. Приложение, Отрывки из трактата Теофила, пер. С. Белиева.

6. Б. Рыбаков, Ремесло Древней Руси, М., 1948

7. Н. Кондаков, История и памятники византийской эмали, С. Петербург, 1892

8. В. Марченков, Ювелирное дело, М., 1984

9. Э. Бреншоль, Теория и практика ювелирного дела, Л., 1982

10. А. Флерев, Технология художественной обработки материалов, М., 1968

11. რ. ყენია, ხახელის ლეთისმშობლის ხატის კარდის მოქედლობა, თბ., 1972.



„გიდრობიოლოგი“. სპეციალური გემი წყალქვეშა კვლევისათვის.

Специальное водолазное судно «Гидробиолог».

ბილა ბამხრაღიძე

### წყალქვეშა მოქცეული არქეოლოგიური ძეგლები

ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში, გეომორფოლოგების ვარაუდით, ზღვის დონე დღევანდელთან შედარებით 4—5 მეტრით დაბლა იყო. დაახლოებით ძვ. წ. I საუკუნიდან დაიწყო ზღვის დონის აწევა. ამის გამო სანაპიროზე განლაგებული ძველი დასახლებები წყლის ქვეშ მოექცა.

საქართველოს ზღვისპირეთში, წერილობითი წყაროების (სკილაქს კარიანდელი, ფლავიუს არიანე, პომპონიუს მელა, სტრაბონი, კლავდიოს პტოლემეოსი, პროკოპი კესარიელი, აგათია, ვახუშტი ბაგრატიონი და სხვ.) და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, მთელი რიგი დასახლებები არის აღნუსხული: გონიო (აფსაროსი), ციხისძირი (პეტრა), ქობულეთ-ფიჭვნარი, ურეკი, ფოთი-გრიგოლეთი (ფასისი), ანაკლია, ტამიში, ოჩამჩირე (გიენოსი), სოხუმი (დიოსკურია-სებასტოპოლისი), ბიჭვინტა (პატიუნტი) და ა. შ. საქართველოს ისტორის კვლევისათვის უაღრესად საყურადღებოა ხსენებული ნაწარმოებების ზღვაში მოქცეული ნაქსადგურების, თავდაცვითი თუ სხვა დანიშნულების ნაგებობების შესწავლა.

ზღვის შეტევა ხმელეთზე დღესაც გრძელდება. ბოლო 50 წლის განმავლობაში მარტო აჭარის ფარგლებში 300 ჰექტარამდე სანაპირო წაიღო ზღვამ. ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც სანაპირო 330 კილომეტრამდეა გადაჭიმული, დროდადრო არქეოლოგიისათვის საინტერესო მასალებს — ეერამიკას, სამკაულებს, ლითონის ნივთებს, მონეტებს — ზღვა გამოირიყავს ხოლმე. ამ რამდენიმე წლის წინათ ქობულეთ-ციხისძირის მონაკვეთზე ზღვაში მეთევზეების ბადეს დაუზიანებელი ამფორები ამოჰყვა. ისინი, ალბათ, რომელიმე ჩაბირული ხომალდის ტვირთს წარმოადგენდა. სოხუმის ყურეში მდ. ბესლეთის შესართავთან რელიეფური გამოსახულებით შემკული მარმარილოს ქვა აღმოჩ-

ნდა, ამავე ყურის ფსკერიდან ქალის სკულპტურული ბიუსტი და ამფორები  
ამოღებული.

სამწუხაროდ, ბოლო ხანებში მოყვარული მყვინთავეები მომრავლდნენ  
და დაიწყო წყალში სტიქიურად ანტიკვარულ ნივთებზე ნადირობა. წყალში  
ჩაძირული, ისევე, როგორც მიწის ქვეშ აღმოჩენილ, მატერიალური კულტურის  
ძეგლების შესწავლა-დაცვა კი აუცილებელი და სავალდებულოა. ამ საქმეს  
ემსაუბრება არქეოლოგიის ერთ-ერთი მიმართულება — ჰიდროარქეოლო-  
გია.


წყალქვეშა ანუ ჰიდროარქეოლოგია სხვადასხვა მიზეზით წყლის ქვეშ  
(ზღვა, ტბა, მდინარე) მოქცეულ მატერიალური კულტურის ძეგლებს, ნასახ-  
ლარებს, ხომალდებს და მათ ტვირთს შეისწავლის. იგი „ჩვეულებრივი“ არქე-  
ოლოგიისაგან მხოლოდ წყალქვეშ წარმოებული გათხრებისათვის დამახასია-  
თებელი მეთოდებით განსხვავდება.

პირველი „წყალქვეშა არქეოლოგები“ ხმელთაშუა ზღვაში ღრუბლის  
ჩაძიებლები იყვნენ. მათა მეშვეობით, ჯერ კიდევ, ჩვენი საუკუნის დასაწყის-  
ში შემთხვევით აღმოჩნდა არა ერთი და ორი ძველი ხომალდის, ქანდაკების,  
კერამიკის ნაშთი.

წყალქვეშეთის შესწავლის საქმეს მძლავრი ბიძგი მისცა ორმოციან  
წლებში ფრანგი მკვლევარ-მყვინთავის ეაკ ივ კუსტოს და მისი კოლეგების  
ნიერ მსუბუქი და მოხერხებული აკვლანგის შექმნამ. ამ გამოგონებას შემდეგ  
დაემატა შვეიცარიელი მეცნიერის გ. კელერის მიერ წყალქვეშ სუნთქვისათვის  
აირის სპეციალური შემადგენლობის დადგენა, რამაც კიდევ უფრო გაა-  
ხანგრძლივა აკვლანგით წყალში ყოფნის დრო. ამასთან დაკავშირებით წყალ-  
ქვეშა კვლევა და, კერძოდ, წყალქვეშა არქეოლოგიური კვლევა-ძიება გაად-  
ვილია და ხელმისაწვდომი გახდა. დროთა განმავლობაში წყალქვეშა რომან-  
ტიკით გატაცებული მოყვარული-ენტუზიასტების გარდა გამოჩნდნენ პრო-  
ფესიონალი ჰიდროარქეოლოგებიც (ა. პუადეზარი, ნ. ლამბოლი, ფ. ბენუა,  
ფ. დიუმა, ჯ. ბასი, პ. თროკმორტონი, ვ. ბლაგატსკი, ბ. პეტერსი, კ. შილიკი  
და სხვ.). 1955 წლიდან წყალქვეშა არქეოლოგიაში საერთაშორისო კონგრე-  
სები იმართება. გამოდის სპეციალური ჟურნალი — „Nautical Archaeology“.  
საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, იტალი-  
აში, ნორვეგიასა და საბერძნეთში წყალქვეშა არქეოლოგიური კვლევის სა-  
განგებო ჯგუფები არსებობს.

საქართველოს ისტორიის კვლევისას წყალქვეშა არქეოლოგია შეიძლება  
დაგვეხმაროს ზოგიერთი ისეთი პირველხარისხოვანი ისტორიული პრობლე-  
მის გადაჭრაში, როგორცაა — ძველი ხალხების საზღვაო მიგრაციის საკით-  
ხები; ანტიკური ცივილიზაციის გავრცელების გზები კოლხეთში; ძველი სა-  
ქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები შავი და ხმელთაშუა ზღვის  
იალხებთან და სხვ.

სწორედ ამ გარემოებებმა განაპირობეს 1985 წელს არქეოლოგიური  
კვლევის ცენტრში შავიზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიცი-  
ის ჩამოყალიბება. ექსპედიციას პირველ რიგში დაევალა საქართველოს  
ზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიური რუკის შედგენა. ამისათვის საჭირო  
შეიქნა ჰიდროარქეოლოგიის თვალთახედვით წერილობითი წყაროების, ზე-



ჰიდროსტატი ჰიდროარქეოლოგიური სა-  
მუშაოებისათვის.

Гидростат для гидроархеологиче-  
ских работ.

პირი გადმოცემებისა და გეომორფოლოგიური მონაცემების ხელახალი გა-  
დასინჯვა-შეჯერება.

პირველი წყალქვეშა არქეოლოგიური კვლევა-ძიება ექსპედიციამ ზღვაში,  
ფოთის ნავსადგურიდან სოფ. გრიგოლეთამდე შელფში და პალიასტომის  
ტბაში ჩაატარა. სამუშაოების დროს გამოვიყენეთ აკვალანგები („უქრაინა-2“  
და „პოდვოდნიკ-2“) და მიწის საწოვი დანადგარი.

ექსპედიციის მიერ დაზვერილ მონაკვეთში ზღვის ფსკერზე გეომორფო-  
ლოგიური მდგომარეობა ფრიად რთულია. მდინარე რიონის სამხრეთი შტოს  
შესართავთან ზღვა მღვრიეა და ზილვადობა ცუდია. მდინარეს დიდი რაოდე-  
ნობით შლამი გამოაქვს. ზღვის ღელვის დროს წყალქვეშ წარმოიქმნება ქვი-  
შის ბორცვები. აქ ჭერჭერობით ძველი კულტურის ნაკვალევს ვერ მივაგენით.

გაცილებით შედეგიანი და საყურადღებო აღმოჩნდა ექსპედიციის მუშა-  
ობა პალიასტომის ტბაში. პალიასტომში, ზღვის შესართავიდან (მალთაყვა)  
დაახლოებით კილომეტრზე, ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, წყალში  
მივაკვლიეთ III—VIII სს. ნამოსახლარს<sup>2</sup>. ამ ადგილზე ყურადღება მიგვაქ-



ჰიდროარქეოლოგები პალიასტომის  
ტბაზე.

Гидроархеологи на озере  
Палиастоми.

ცეცინა ფოთელმა შებადურებებმა. მათი გადმოცემით, აქ მოსმულ ბადეს ქოთ-  
ნების ნატეხები მოპყვებოდა.

ტბაში ძველი ნამოსახლარი დაახლოებით ათას ხუთას კვადრატულ მეტრ-  
ზე, ხოლო ნაპირზე დაახლოებით ცხრაას კვადრატულ მეტრზე ვრცელდება.  
ნაპირიდან ტბის შუაგულისაკენ, ორას მეტრამდე, სილა-ქვიშიანია, ხოლო  
შემდეგ ტორფიანი თიხის ფენები იწყება. ფსკერზე აკვალანგით ყვინთვისას  
მცირე მოძრაობისთანავე ლამი იმღვრევა და წყალი მუქი, მომწვანო-მოყა-  
ვისფრო ხდება. სამოსახლოზე, ტბიდან დიდძალი კერამიკა ამოვიღეთ.  
ნათ შორის არის სამშენებლო კერამიკა (კრამიტი, აგური); გვხვდება  
დამწვარი ბათქაშის ნატეხები, რაც აქ ნაგებობების არსებობაზე მიგვანიშნებს.

თიხის ჭურჭელში რაოდენობის მხრივ პირველი ადგილი ამფორებს უკ-  
რავს. ამფორების გარდა დადასტურდა ჭვევრების, ქოთნების, ჯამების, ლუ-  
თერიების, წითელლაკიანი თეფშების ნატეხები. ადგილობრივი წარმოების  
კერამიკასთან ერთად უცხოური (ძირითადად მცირეაზიური და ჩრდილო შა-  
ვიზელისპირეთის) ნაწარმიც გვხვდება, რაც სავაჭრო ურთიერთობებზე მიგვი-  
თითებს.

წყალქვეშ ვიპოვეთ სამარხი, რომელშიაც ადამიანის ნეშტი, ბრინჯაოს  
სამი მშვილდსაკინძი, ერთი ქინძისთავი, შინის სასმისები და ბიზანტიური ოც  
ნუშიანი მონეტა აღმოჩნდა.

როგორც ჩანს, საუკუნეების განმავლობაში ტბას სამოსახლოს გარკვეუ-  
ლი ნაწილი დაუფარავს. პალიასტომის ნამოსახლარზე მოპოვებული არქეო-



კერამიკა პალიასტომის ტბიდან.

Керамика из оз. Палиастоми.



ამფორა პალიასტომის ტბიდან.

Амфора из оз. Палиастоми.



ლოგიური მასალა ისეთივეა, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა თანადროულ ძეგლებზე, კერძოდ, პიტიუნტ-ბიჭვინტაში, არქეოპოლის-ნოქალაქეებში, სოხუმ-სეხასტოპოლისში, გუდაეაში.

სტრაბონი თავის „გეოგრაფიაში“ ფასისის შესახებ გადმოგვცემს: „მდ. ფასისზე არის მისი მოსაბელე ქალაქი“, „გარშემორტყმული მდინარით (რიონი), ტბითა (პალიასტომი) და ზღვით. ბიზანტიელი ავტორი ავითია მოგვითხრობს: „იქ ხომ ერთი ტბაა, რომელსაც პატარა ზღვას ეძახიან და რომელიც ეკჰსინის პონტოს უერთდება“; „დიდი სატყერთო ხომალდები ზღვის ნაპი-



რას და ფასის შესართავთან მიაღწერეს ჭალაქის მახლობლად. ვახუშტ ბეგარტიონი აღნიშნავს: „ზღვის კიდეზე არის ტბა პალასტომისა, დიდესი ტბიდან შესდის ზღუას მდინარე ამისივე. აქედამ შემოვლენან ნაენი ზღუას ბიან ტბასა შინა განსუენებისათვის, ამას იტყვიან ნაქალაქევს და შემდგომად მოცულსა წყლისაგან“.

პალიასტომის ტბაში კერამიკა აგრეთვე ე. წ. ახალ ბათუმის ხილთან, მდ. ფიჩორის, თხორინას და მალთაყვის სრუტის შესართავშიც აღმოჩნდა.

პალიასტომის სამხრეთ მხარეს, ადგილ „ნაეკლესიარზე“, წყალში, რიყის ქვებით ნაგები შუა საუკუნეების კედელს მივაკვლიეთ. ის სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ არის მიმართული.

1988 წელს შავიზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიცია სსრკ ოკეანოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებთან (ქ. გულენჯიკის განყოფილება) ერთად აგრძელებდა რესპუბლიკის ზღვის შელფის ჰიდროარქეოლოგიურ კვლევას. სამუშაოებისას (სამამულო წყალქვეშეთის შემსწავლელი ტექნიკის ფარგლებში) ხდებოდა ახალი, ჰიდროარქეოლოგიისათვის გამოსადეგი მეთოდის დამუშავება. საძიებო კვლევისათვის ექსპედიციის ძირითადი ბაზა ოკეანოლოგიის ინსტიტუტის სამხრეთის განყოფილების (ქ. გულენჯიკის) საგანგებოდ წყალქვეშა გამოკვლევებისათვის განკუთვნილი გემი „გიდრობიოლოგი“ იყო. ხომალდზე განლაგებულია: 100 მეტრზე საყვინთო კამერა „კოლოკოლი“, რომელსაც სათვალთვლო სარკმლები აქვს; ბაროკამერა მყვინთავისათვის სამედიცინო დანძარების გასაწევად; ტელემოწყობილობა ფსკერის დასათვალთვრებლად; ეხოლოტი, აგრეთვე ფსკერის შესასწავლად; შლამ-ჭეიშის საწოვი დანადგარი; ინდივიდუალური საყვინთო საშუალებები — „უკრაინა-2“, „პოდვოდნიკ-2“ და სპეციალური კოსტუმები.

ექსპედიციამ საძიებო-დაზვერვითი სამუშაოები ზღვის შელფში — ბიჭვინტასთან, სოხუმთან, ციხისძირი-ბობოყვათთან ჩაატარა.

ბიჭვინტაში შესასწავლია ინკიტის ტბა და ბიჭვინტის ყურე. ინკიტის ტბა წინათ ლაგუნას წარმოადგენდა, ამიტომ საფიჭრებელია, რომ გემებისათვის მყუდრო საყუდელი უნდა ყოფილიყო. ჭერ კიდეც 1957 წელს ინკიტის ტბის ჩრდილოეთით ბიჭვინტის ნაქალაქარის თანადროული თავდაცვითი ნაგებობის ნაშთებია მიკვლეული.

ბიჭვინტის ყურე ნაპირიდან ზღვისკენ 15 მ სიღრმემდე თანაბრად დაქანებული. შემდეგ კი მკვეთრი დაფერდება იწყება. აქ ჩაცვენილ ქვებს ზღვა უკან ნაპირისაკენ ვეღარ აბრუნებს. თუ რაიმე არქეოლოგიური მასალა იყო ნაპირიდან ზღვაში მოხვედრილი, ის აუცილებლად დაკურდებოდა და უფრო ზღვისკენაა საძებნელი. ხსენებული მკვეთრი დაქანების შემდეგ დაახლოებით 60—70 მეტრზე იწყება ტერასა, რომელიც დაფარულია შლამით. ტერასა შევისწავლეთ სათვალთვლო კამერის („კოლოკოლის“) საშუალებით. კარგ ამინდში ფსკერზე ხილვადობა დაახლოებით 10 მეტრია. ვფიქრობ მომავალში ტერასის შესწავლა გავაგრძელოთ.

სოხუმის ციხის გასწვრივ წყალში, ნაპირიდან 120 მ-ზე, ენახეთ კედლები. კედლები ნიჟარებით და ზღვის წყალმცენარეებითაა დაფარული. მათი სქელი ფენის ჩამოფხეკის შემდეგ ბრტყელი კვადრატული, ადრეული შუა-საუკუნეებისათვის დამახასიათებელი აგურებიანი კედელი გამოჩნდა. კედ-



ლის სისქე ორ მეტრამდეა. გამოყენებულია აგური და ქვა. კედლების ქვედა ნაწილები ღრმადაა ჩაფლული ქვიშა-ლორღში.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა სოხუმის ყურის ცენტრალური ნაწილი, სადაც ზოგიერთი მკვლევარი ადრეანტიკური ხანის დიოსკურიის ნაშთების არსებობას ვარაუდობს. ჩვენ ჩავეყვინეთ სათვალთვალ კამერით 98 მეტრზე. ფსკერი დაფარულია შლამის სქელი ფენით. ჭერჭერობით ვერაფერს მივაკვლიეთ.

ექსპედიციამ ჰიდროარქეოლოგიური დაზვერვები ჩაატარა ციხისძირი-ბობოყვათის მონაკვეთზეც. ადგილობრივი მცხოვრებლების თქმით, აქ ნაპირზე მონეტებს და კერამიკის ნატეხებს პოულობდნენ. ნაქალაქარის ჩრდილოეთით ზღვაში, ნაპირიდან დაახლოებით სამას მეტრზე, 30 მ სიღრმეზე ვიპოვეთ შუა საუკუნეების წელშენიჭილი ამფორის ფრაგმენტები. აქვე აღმოჩნდა მოჭიქული კერამიკის მომწვანო ნატეხი.

შავიზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიცია სსრკ ოკეანოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად კვლავაც გააგრძელებს რესპუბლიკის ზღვის შეღვის კვლევა-ძიებას. ვინ იცის, შეიძლება უძველესი ხომალდების ჩაძირულ ნაშთებსაც მივაკვლიოთ<sup>3</sup>.

ავტორი — არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტ. მეცნიერებათა კანდიდატი, ზელმძვანაძის შავიზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიურ ექსპედიციას.

რედაქცია შეეცდება შემდეგშიც მიაწოდოს მკითხველს ინფორმაცია ექსპედიციის ახალ ამოჩენებზე.

1. ა. კიკაძე, ინერტულობა და ინერტული მასალები?! გაზ. „კომუნისტი“, 1988, I, 17, გვ. 4.  
 2. დ.წ. ის. გ. გამყრელიძე, წყალქვეშა არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიება ქუთაისის მიდამოებში, „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1987, № 1, გვ. 97—117.

<sup>3</sup> Боровиков П. А. О методах поиска древних затонувших судов, Советская археология, 1985, № 4, стр. 256—259.



აწყვიტა და მისი ზემოგარანი

ვბეჭდავთ თბილისის ა. ს. პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტის I კურსის სტუდენტის, ქავახეთის სოფელ აწყვიტის მკვიდრის, ეჭურის სიძველეებს შაძიებლის, ნოღარ ივანიძის კორესპონდენციას. იგი შეიცავს ინფორმაციას, როშელიც შეიძლება გამოეწეხებულ იქნას ამ კუთხის სიძველეთა მესწიერული კვლევის დროს.

სამცხე-ჯავახეთის ტერიტორია, ისევე, როგორც მთელი საქართველო, უძველესი და ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლების მხარეა. ძეგლთა უმრავლესობა ძველადვე დანგრეულია, მიწით დაფარულია და მშენებელთა გმირული შეწართებაც თან ჩაუტანია. ნაწილმა, დანგრეული სახით მოაღწია. ჩვენდა საზღვნიეროდ, ისეთი ძეგლებიც შემოგვრჩა, რომელთაც თითქმის შეინახუნენს პირვანდელი სახე და თავისი სიდიადით დღესაც ხიბლავენ და აიკებენ მნახველს. მთებზე წამომდგარი ციხე-კოშკები თუ ეკლესია-მონასტრები, ქვაბქალაქები თუ სსახლე-დარბაზები ჩვენი წინაპრების სიბრძნისა და გმირობის უტყვი მოწმეა.

ჩვენი ვლია არ დაევიწყოთ, სიყვარული და ზრუნვა არ მოეკლოთ მათ, გავუფრთხილდეთ ყოველ ჩუქურთმიან ქვასა თუ მტრის ხელით შებღალულ ფრესკას.

სამცხე-ჯავახეთში თურქებმა წაბილწეს და შეურაცხვეს ძველი ქართული კულტურის დიდებული ძეგლები — ასპინძის, ახალქალაქის, ხერთვისის, თმოგვის ციხესიმაგრენი, ვარძიის ნაქალაქარი, წუნდის ისტორიული შემოგარენი. მომხდურთა თავაშვებულმა ძალადობამ დაადღუმა აწყურის, საფარის, ზარზმის, ჰულეს, ბიეთის ეკლესიათა სამრეკლოები. აიკრძალა ქრისტიანული დღესასწაულები, წირვა-ლოცვა. გაძლიერდა მოსახლეობის იძულებითი წესით გამაშაღიანება. გამძენივარებული მტერი არაფერს ერიდებოდა დასახული მიზნის მისაღწევად: წვადა სოფლებს, ჩეხავდა ხეხილის ბაღებს, კაფავდა ვენახებს, აოხრებულ-გაპარტახებული ეზოების ღობეებზე კიდებდა „ურჩ გიართა“ მოკვეთილ თავებს.

ესა წედებოდა აწიოკებული მოსახლეობის გოდების ზმა, უპატრონოდ მიტოვებული, დამშეული საქონლის ბღაეილი, მაგრამ გამკითხავი არავინ იყო. მიუხედავად ამისა, ისტორიამ მაინც შემოგვინახა სოფელ აწყვიტის ტერიტორიაზე განლაგებული ისტორიული ძეგლების წარუშლელი კვალი.

აწყვიტის ტერიტორიაზე არსებობს 12 ნასოფლარი, 8 ეკლესია, 5 გამოქვაბული, 5 დარანი, 3 სტელა და 1 ციხე-კოშკი. რა თქმა უნდა, პირვანდელი სახე დღეს მათ არ გააჩნიათ, მაგრამ რაც არის, ისიც მეტყველებს მათს უძველეს ისტორიაზე.

აწყვიტის ყოველი ნასოფლარი განსხვავდება ერთიმეორისაგან თავისი ისტორიულ-ბუროთმოდგრული ძეგლებით. უძველეს მესხურ სოფელ დადემში რამდენიმე ეკლესია, დარანი და კლდეში გამოჭედილი მღალარია.

დადემის (ამჟამად აქ ფერმეზია მხოლოდ) ისტორიის შესახებ საინტერესოა სხვადასხვა დროის მკვლევართა აზრი. ვახუშტი წერს: „კვალად მტკვარს



მოერთვის, კობტის ზევს შესართავს ზევით, დადგისხვევი. გამომდინარე ერუ-  
შეთის მთისა. დადგშს არს მონასტერი — აწ ცალიერი“. ასეთი ნაწარმოებები  
დასტურდება. თუმცა არაა გამორიცხული იქაური ადრეული დარბაზული საყ-  
დარი, შემდეგ მონასტრად შერჩენილი, რომელიც ქუნიცა-როკეთის ხევთან ერ-  
თად, VIII ს. არჩილ მეფეს ადარნასე ბაგრატიონისათვის მიუცია.

დიმიტრი ბაქრაძის სიტყვით, „დადგშის ეკლესია მდებარეობს აწინდელ  
ახალციხის მახრამში, მტკვრის შენაკადის დადგშისწყლის მარჯვენა ნაპირზე“.

ამჟამად ეს სახელი დადგშად წარმოითქმის (ელ. ტაბატაძე). 1852 წ. ერთ  
საბუთში ნათქვამია: საქმე ყირიქესალოვის მიერ უკანონოდ დაუფლების შე-  
სახებ სოფელ დადგშის მეორე ნაწილისა.

ნიკო დიასამიძე დადგშზე წერდა: „ყოფილ დადგში სოფელს ორი ძველი  
ნასოფლარი აქვს, ერთი მის ზემოთ და მეორე მის ქვემოთ, მტკვრიდან ერთი  
კილომეტრის მანძილზე: ზემო დადგშს ძველ დადგშს (თურქულად — ვერანა  
დადგში) ეძახიან, ქვემოს კი უწოდებენ ნიკოლოზის გვერდს“.

ისევე, როგორც მთელ საქართველოში, სამცხე-ჯავახეთში შეინიშნება ზა-  
ნური ენის ნაკვალევი. ფიქრობენ, რომ სოფლების სახელებში, როგორცაა  
ქობარეთი, ტოლოში, ორხოფია, მირაშხანი, კორუშეთი, კვარშა, ბურნაშეთი,  
საკოშეთი, არეშტი, ბარაღეთი, ჯანჭლა, ორჯა, ჩურჩხა, ოლდანი, ოლოდა, უშ-  
ტიო და მასთან ერთად დადგშში არის შემონახული უძველესი ზანური სახელ-  
წოდებანი.

ნასოფლარ დადგშის შუაში აგებულია მთავარმოწამის სახელით წოდებუ-  
ლი მონასტერი. შესასვლელი კარის თაღზე გამოსახულია ორი ჯვარი, მოქარ-  
გული ორნამენტიანი ჩუქურთმებით. აქვე არის ქვის აკვნები და ვერძები. 32-  
35 მ-ის შემდეგ იწყება დარნები, რომლებიც მეზობელ სოფლებს აკავშირებ-  
და ერთმანეთთან და რომელთა სიგრძე 3 კმ-ს აღწევს. მონასტერმა ჩვენამდის  
დანგრეული სახით მოაღწია. განადგურებულია მონასტრის სამრეკლო, დანგ-  
რეულია მისი ეგუმბათი. მოსპობილია ციციმარელით მოქარგული ყოველი სუ-  
რათი (ციციმარელა წარმოადგენს კრისტალებს, იხსნება ცხელ წყალში, ხმა-  
რობდნენ მონასტრის თუ ეკლესიის შესათეთრებლად).

- მაჰმადმა გამოილაშქრა, თავის ურჯულო ჯარითა.  
დადგში მიწას ასწორა, ტაძარი მოსრა ცეცხლითა.  
მოსპო ყოველი სურათი, ნაქარგი ციციმარელითა,  
ღღესაც შეხვდებით ნანგრევებს, თმოგვი, ვარძიის ციხითა.

თურქების შემოსევების დროს დადგში მთლიანად დაუნგრევიათ და მი-  
წასთან გაუსწორებიათ, ხალხს კი თავი ტყეებსა თუ სხვა სოფლებში შეუფა-  
რებია. ხოლო დაბრუნების დროს სოფელ დადგშის მოსახლეობა ადგილ და-  
დგშში აღარ დასახლებულა და შედგომია ახალი სოფლის გაშენებას დადგშის  
აღმოსავლეთით, 400—500 მ-ის დაშორებით, რომელსაც პატარა გორა უფს.  
ეს უნდა მომხდარიყო XVII ს. დასასრულსა და XVIII ს. დასაწყისში. ხოლო  
1890 წელს, სოფლის განაპირზე, ვინმე ზედგინიძეს აუგია ეკლესია, რომელიც  
ღვთისშობლის სახელს ატარებს. აგრეთვე, დადგშის აღმოსავლეთ ნაწილში,  
ნიკოლოზის გორაზე აღმართულია სტელა, რომლის სიმაღლე 160 სმ-ია, სი-



დადეშის გამოქვაბულები.

Пещеры Дадеши.

განე კი — 40 სმ-ი. თავზე მას კქონია ჯვარი, რომელიც დღეს-დღეობით აღარ შემორჩენილა.

დადეშის დასავლეთ ნაწილში აღმართულია ხარის რქებისებური ფორმის გორა, რომელსაც „ამალღების გორას“ ეძახიან. იქვე, პატარა ნანგრევზე, გამოხატულია ჯვარი. ამის სამხრეთით არის კვერცხისებრი კლდე გამოქვაბულებით, რომლებიც ადრე თავშესაფარ სიმაგრედ გამოიყენებოდა. შედგება 4 სართულისაგან. ეს გამოქვაბულები XII—XIII საუკუნეების ძეგლად შეიძლება ჩაითვალოს.

დადეშის მალაროების სახელით ცნობილი პირველი გამოქვაბულის ქვაბთა კომპლექსი 110 მ-ის სიგრძეზე ვრცელდება. გამოქვაბულამდე მისასვლელი საცალდებო ბილიკი (50—60 მ) ბოლოვდება ქვის კარით. გამოქვაბულთა ნაწილი ჩამონგრეულია, მაგრამ მნახველებს მაინც ხიბლავს გამოქვაბულთა კომპლექსი და დიდი ოსტატობით შესრულებული ქვის კარი, რომელიც მერცხლის ბუდესავით მოჩანს კლდეში.

ლალად მოჩანს კლდეში ბუდე  
ქვის კარებით შებმული,  
მამა-პაპის ნაჯაფარი,  
სისხლის წვეთით მორთული.

შესასვლელის სიმაღლე 160 სმ-ია, ქვის ალაყაფის კარისა კი — 135 სმ. სიგანე — 85 სმ და სისქე 17—18 სმ. კარზე ამოკრილია ჯვარი სიგრძით 20—25 სმ. კარის შუაგულში (7—8 სმ) გამოკრილია სათვალთვალო. კარს აქვს



აგრეთვე ორი ცალი ყულაფი ანუ საბრუნე ღერძი: ზემო და ქვემო, რომელთა საშუალებითაც იგი იღებოდა და იკეტებოდა. საბრუნის სიმაღლე 120 სმ-ს შეადგენს და მრგვალი ფორმისაა, ხოლო საერთო სიმაღლე 124 სმ-ს შეესასვლელთან ახლოს არის სადარაჯო, რომლის სიგრძეა 170 სმ, სიგანე 70 სმ და სიმაღლე — 130 სმ. ოთახი: აქვს ორი გასასვლელი. პირველი გასასვლელი პირველი ოთახისკენ მიდის, რომლის სიგრძე სიგანე 4—5 მ შეადგენს, სიმაღლე კი — 2,5 მ-ია. ოთახიდან გასვლისას გვხვდება გამყოფი (1,5—1,5 — 1,5 მ). იქვე არის პატარა ოთახი, იმავე ფორმისა. ამ ოთახიდან მიემართება გასასვლელი გზა პირველი და მეორე სართულისაკენ. პირველი სართული წარმოადგენს ერთ დიდ ოთახს. მას აქვს სამი ფანჯარა, 4 დასაჯდომი 2—3 ადგილით, დასაჯდომის სიმაღლე 30—50 სმ-ს აღწევს. ოთახის ზომებია 3,5—5 მ. გასასვლელში არის ქრთი პატარა ოთახი, რომლის მთლიანი სიგრძე შეადგენს 9 მ-ს.

მეორე სართულის მიმართულებით გვხვდება გვირაბი, რომლის გასასვლელი იწყება კიბით. გვირაბის სიგრძე 3,5 მ-ია. ასასვლელთან არის პატარა ორმო (სიგრძე-სიგანე 1—1 მ, სიღრმე 1,3 მ). აქვეა წყლის სადენი ფანჯარა 30—30 სმ, რომელსაც აქვს დაქანება 60 სმ, სიგანე — 60 სმ, სიმაღლე 90 სმ. აქედანვე, ხელმარჯვნივ, არის 4 მ სიგრძის გვირაბი და ოთახი.

მესამე სართული ერთი-ორი ოთახია, შუაგულში აქვს ნახევრეტი 1 მ სისქისა, სიგრძე-სიგანით 60—70 სმ. ოთახში არის ორი 3—4 ადგილიანი დასაჯდომი. ოთახი მრგვალია, დიამეტრი 4 მ, სიმაღლე 2,5 მ. აქვს ორი ფანჯარა (135—65 სმ). ამ ოთახებიდან გამოყოფილია 3—4 ოთახი, ოთახების სიგრძე-სიგანეა 3,5—4 მ, სიმაღლე 2,2—2,4 მ. სულ გამოკვებულთა კომპლექსი 14 ოთახისაგან შედგება.

სოფელ ქუნციის ისტორიის წარმოშობა წარმოგვიდგება ძველი წელთაღრიცხვის IV—III საუკუნეების მონაცემებით, რომელსაც ამტკიცებს ქუნციის დასავლეთ მხარეზე აღმოჩენილი კურკელი, როგორცაა ქვევრები, სამომხმარებლო საშუალებანი, აგრეთვე სამარხოვანი თიხის კურკელი. დამარხვის წესი ქვევრში დამარხვის საშუალებანი ყოფილა. აქედან გამომდინარე, ქუნცა ძველი დასახლების ადგილი ყოფილა. სხვადასხვა შემოსევების დროს მისი მოსახლეობა განადგურებულა ან გაქცეულა. ამიტომაც შეურქმევიათ ქუნცა, რაც ნაწილობრივ ქართველი მოსახლეობის უკან დაბრუნებისა და თურქების ჩასახლების შემდეგ უნდა მომხდარიყო. დღეს ეს ფაქტი სინამდვილეს შეიცავს და ამიტომაც არის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემორჩენილი გვარი ქუნცელიძე.

ქუნციის ეკლესია აგებულია ძველი ეკლესიის საფუძველზე, რაზედაც ძველი ეკლესიის ნაშთები და სამარხები მეტყველებენ. ახალი ეკლესია აგებულია XIX საუკუნის ბოლოს, იგი წმინდა მარიამის სახელობისაა. ეკლესიის ეზოში არის ვერძების გამოსახულებიანი ქვა. შესავლელში ორფრაზიანი წარწერაა. ეკლესიის ქვევით, 20—25 მეტრზე, არის დარანი. ეკლესიის შესასვლელთან, ფუძეში ჩასმულია თლილი ქვა, აქვე, აღმოსავლეთით, გამოკვეთილია ჭვარი. ამ ჭვართან მორწმუნენი ანთებენ სანთელს და კლავენ შესაწირავს.

სოფელ ქუნცაში აღმოჩენილია აგრეთვე საოჯახო სალოცავი ქვა, რომლის სიმაღლე 1 მ-ია. ზედა ნაწილი განიერია და ბრტყელი, სიგრძე-სიგანე 45—50

სმ-ია, ხოლო ქვედა ნაწილი რომლითაც იგი ჩასმულია მიწაში, ვიწროვდება 30 სმ-მდე, ზემოდან კი ეწყობა სალოცავად მომზადებული ჭვარი და ხატის ქვე იყო დერეფნის ბოლოს, სადაც უცხო თვალი ძნელად თუ დაინახავდა დემლოებას.

აწყვიტის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს ნასოფლარი როკეთი. იგი ძველი ქართული სოფელია, რომელ საუკუნეშია დაარსებული, თქმა ჰქონდა. თუ როკეთის ტერიტორიაზე არსებული უძველესი ეკლესიის შესახებ ვიმსჯელებთ, იგი დაახლოებით X—XI საუკუნეებისაა. ეკლესია წმინდა მარიაშის სახელობისაა. დღესდღეობით დანგრეულია და შემორჩენილია სტელისებრი ბრტყელი სალოცავი ქვა, რომელზეც გამოსახულია 60—65 სმ სიგრძის ჭვარი.

როკეთის ტერიტორიაზე არის მეორე ეკლესია, ახალი აგებული (1903 წ.) იგი ღვთისშობლის სახელს ატარებს. ეკლესიის ძირში არის დარბეზი, რომლებითაც იგი მეორე სოფელს უკავშირდებოდა. წინ ჩამოხმული აქვს 175 სმ სიმაღლის ალაყაფის კარი, მისი სისქეა 17—18 სმ, სიგანე — 90 სმ. ამოკრილი აქვს ჭვარი 20—25 სმ.

ეკლესიის დასავლეთით, ერთი კილომეტრის მანძილზე, მდებარეობს სამსართულიანი გამოქვაბულები. აქ 11 ოთახია. პირველი ოთახის სიგრძე, სიგანე და სიმაღლე 5—6—2,3 მ-ია. აქვს დასაჯდომი და ერთი ფანჯარა (120—110 სმ). გასასვლელის სიმაღლე 1,9 მ-ია. მეორე სართულს უკავშირდება 3 კიბით. გვირაბის სიგრძე 1,5 მ-ია. შესასვლელთან არის ოთახი 2 ფანჯრით და 2 დასაჯდომით. დასაჯდომის სიმაღლე 55 სმ-ია, ფანჯრისა კი — 135—90 სმ. ოთახის სიგრძე-სიგანე 4—4,5 მ-ია, სიმაღლე — 2 მ., რომლის ხელმარჯვნივ გადდივართ 3,5 მ სიგრძე-სიგანის სხვა ოთახში. აქვეა პატარა ორმო (60X60X60 სმ).

იმევე ფორმის ოთახები გვხვდება მესამე სართულზე. ერთ ოთახში, რომლის სიგრძე 4—4,5 მ-ია, სიმაღლე — 2,3 მ, იატაკიდან 1,6 მ-ის სიმაღლეზე, კედელში, გამოკრილია თარო (35—40 სმ). მის გვერდით კი სასაწოლეები.

აწყვიტის ძველ ნასოფლარზე აღმართულია ეკლესია (სიგრძე 10 მ, სიგანე 6 მ), რომელიც დღეს დანგრეულია. ეკლესიის გვერდით კარგად ჩანს საეკლესიო ჭვარი, ორნამენტური ქვები და სტელის ძირი. ეკლესიის ორნამენტური, ჩუქურთმიანი ქვების მცირედი ნაწილია დღესდღეობით შემორჩენილი. ეკლესიიდან 30—40 მ-ის დაშორებით არის დარბეზი, რომლებიც ათასგვარი გვირაბებითაა დახლართული. მასში არის ქვის ორი კარი თავის ჭვრით და ორნამენტით. 600—700 მეტრის დაშორებით გვხვდება გამოქვაბულები, რომლებსაც თეთრი კლდის მალარობებს ეძახიან, შედგება 3 სართულისაგან, შეიცავს 9 ოთახს. ოთახის სიგრძე-სიგანე 4—4,5 მ-ია, სიმაღლე 2,6 მ. გასასვლელის სიმაღლე 1,7 მ-ია, სიგანე — 1,1 მ. იქვეა დასაჯდომი, რომელზეც თავისუფლად მოთავსდება 2—3 კაცი. დასაჯდომის სიმაღლეა 50—60 სმ. მეორე ოთახში არის პატარა გვირაბი და ორი კიბე, აგრეთვე ორმო (60X60X60 სმ). ორმოსთან ფანჯარაა (30X40 სმ). ოთახს მოსდევს 2 მ სიგრძის გვირაბი; რომლის სიმაღლე-სიგანე 1—1 მ-ია. შესასვლელთან არის ოთახი დასაჯდომებით.

მესამე სართულზე, რომელიც ჩამონგრეულია, არის პატარა ოთახი და წყლის შესანახი ორმო.





აწყვიტის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს ნასოფლარი ტაშლი-ყიშლა, ქვაბი-ხევი. ამ ხეობაში, ადრეფეოდალური ხანის ნასოფლარებში მარტყანასა და ტერესო მატერიალური კულტურის ძეგლებია შემორჩენილი. ხევის ხალხებს ხიან ჭალებში გადის გზა ბუზმარეთის საძოვრებისაკენ. იქ, სადაც გზა მეზობელ ქუნცის ხეობაში გადაუხვევს, მრავალრიცხოვან გამოქვაბულებს შორის დგას ადრეული ხანის ციხე, ზედა ტერასაზე ზურგიანი კოშკით. ქვედა ციხის გალავანი დაახლოებით 5 მ სიმაღლისაა. ნაგებია იგი კლდის საშუალო ზომის გათლილი ქვებით კირხსნარზე. მეტ-ნაკლები თარაზული წყობით კოშკის სწორი კედელი მიუვალ მხარეს იყურება და დაახლოებით 12 მ. სიმაღლისაა. აქედანვე შესასვლელი კოშკი ჩრდილოეთიდან ქედ-ქედ უფრო ადვილი მისადგომია და მომრგვალებული ზურგიც სწორედ აქეთაა, ფილაკაენისაგან დასაცავად. ორსართულიანი კოშკის შიდა ფართობია დაახლოებით 5—6 მ. იგი თანაბარი, საშუალო ზომის ლოდებით არის ნაშენი ჰორიზონტალური წყობით. კოშკის ქვევით, ხევის მხარეს, მცირე ზომის მრგვალებურჭებიანი კედელი შერჩენილა. ეს უნდა ყოფილიყო ამ და მეზობელი ხევების ცენტრი, რეზიდენცია ტოლოშელ აზნაურს ეკუთვნოდა, რომლის შთამომავალი XI ს. იხსენიება (ისაჯ ტოლოშელის ძე).

ქვაბისხევი მდიდარია გამოქვაბულებით, რომელიც საცხოვრებლად გამოიყენებოდა. ზოგიერთი გამოქვაბულის სიგრძე 35 მ-ია, სიგანე 15 მ, სიმაღლე — 2,2 მ. აქ ზამთრის პერიოდში ცხვარს შერეკავდნენ ხოლმე. ყოველი 15—20—30 მ-ის დაშორებით გვხვდება გამოქვაბულები. ამის გამო ხეობას ქვაბთა ხევის უწოდებენ.

ტაშლი-ყიშლაში ყოფილა ეკლესიებიც, მაგრამ დანგრეულა, მხოლოდ ეკლესიის ჩუქურთმიანი ქვებილა შემორჩენილი. ერთ-ერთ ქვაზე 5 ჟვარია ამოქარგული, ხოლო ასეთივე ზომის ქვაზე, რომელიც 100 მ-ის დაშორებით მდებარეობს, 19 ჟვარია ამოქარგული. ტაშლი-ყიშლადან ერთ კილომეტრზე არის ნასოფლარი არისკა, სადაც აგებულია ეკლესია (8—6 მ). მასზე გამოყვანილია ორნამენტოვანი ჟვარი, (60X65 სმ.), ხოლო ეკლესიის კედლებზე პატარა ჟვრებია ამოჭრილი. ეკლესიას დღესდღეობით შველა ჭირდება.

ტაშლი-ყიშლის თავზე ამართულია მალალი გორა, რომელსაც ზიარეთის მთას ეძახიან. იქვე არის დანგრეული ეკლესია.

დღეისათვის აწყვიტის შემოგარენი თითქმის ყველა გაუკაცრიელდა, (გარდა აწყვიტისა და ქუნცისა). ორივე სოფელში დღეისათვის ითვლება დაახლოებით 160 ოჯახი, 18 გვარი: ივანიძე, დიასამიძე, ბერიძე, მელიქიძე, ბირჩაძე, ფერაძე, ხიზაძე, არის თითო-ოროლა გადმოსახლებული გვარიც — ტატურაშვილი, ტორლოვი, ველიჯანაშვილი, სეფიშვილი, ხატიძე, ასპანიძე, დათაშვილი, მურადაშვილი, ბალიაშვილი, აბელიანი, არაფხანიანი.

კარგი იქნება, თუ მეცნიერები ყურადღებას გამოიჩენენ ამ სოფლებისა და ნასოფლარების მიმართ. აქ ბევრი რამ საინტერესო და შესასწავლია ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ლექსიკურ-ტოპონიმიკური თვალსაზრისით.

### კვლავ ვაჩხაძისაჲს „სველწმინდას“ გუმბათოვანი ტაძრის თავდაპირველი ფორმების შესახებ — პასუხი რამენაწინს

კრებულ „ძველის მკვებრის“ სამოცდამეცხუ-  
თე ნომერში გამოქვეყნდა ჩემი და კ. გორგო-  
ზიანის წერილი — ვაჩხაძის „სველწმინდას“  
გუმბათოვანი ტაძრის რესტავრაციის შესახებ.  
ამ წერილის პასუხად, მისი პუბლიკაციიდან და-  
ახლოებით ორი წლის შემდეგ, ამჟამე კრებულ-  
ში (№ 2, თბ., 1986), დაიბეჭდა ნ. აღმაშენი-  
ლის საქმოდ ურცელი რეცენზია, რომელშიაც  
ავტორი, ჩვენი წერილის თითქმის თითოეული  
სტრაქონის განხრეკისას, კატეგორიულად უარ-  
უფხს ჩვენ მიერ ტაძრის ზოგიერთი ნაწილის  
თავდაპირველ ფორმებთან დაკავშირებით გა-  
მოთქმულ მოსაზრებებს, და შენობის ამ ნაწი-  
ლებს განსხვავებული კომპოზიციით წარმოგ-  
ვიდგენს.

სანამ რეცენზიის პასუხს შევუდგებოდეთ, სა-  
ჭიროდ მივანჩნა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი წე-  
რილის საგანს წარმოადგენდა არა ტაძრის რეს-  
ტავრაციისთან დაკავშირებული უკვე არსებუ-  
ლი ზოგიერთი მოსაზრების საფუძვლიანობის  
გარკვევა და მათი კრიტიკული შეფასება (თუმცა,  
არაგორც ამას ქვემოთ დავინახეთ, ამის  
რეალური საფუძვლებიც ვაგვაჩნდა), არამედ  
ტაძრის ძირითადი, დაკარგული ნაწილების თავ-  
დაპირველ ფორმათა გარდამოხდა აღდგენის  
ცდა — გრაფიკული რეკონსტრუქცია.

იმის გამო, რომ ჩვენ მიერ მიკვლეულმა მა-  
სალამ ტაძრის ძირითადი კვანძების თავდაპირ-  
ველი რაობის შესახებ სრულიად განსხვავებუ-  
ლი აზრი შეგვაქმნა, ამიტომ ქვეშაობტების  
დასაფხვანად, რომელიც, ბუნებრივად, უპირვე-  
ლეს უკვლხა, ძეგლის სასაკეთოდ იყო გამოი-  
წინა, მიზანშეწონილად ვცანთ, რომ შემო-  
აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენი  
მოსაზრებებიც გამოვყვითვა.

თავისი დებულებებისა და პოზიციების განა-  
მარტებლად რეცენზენტს შეხავალ ნაწილშივე  
მოჰყავს მისივე პროექტის შესახებ გამოთქმუ-  
ლი, ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს  
მიერ შექმნილი საგანგებო კომისიისა და კომ-  
პეტენტური პითა დასკვნები. გავიარებებს იწ-  
ვევს იმის განცხადება, თითქოს ისინი სავხე-  
ბით იზიარებენ ავტორის პოზიციას.

„ჩვენ მიერ შესრულებული რესტავრაციის  
ესკიზური პროექტი, პროფ. ლ. რჩელიშვილის  
დადგენიტი რამენაწინს (ხაზი ჩვენია, თ. დ.)  
შეხმდებ...“ (გვ. 23, აბზ. 4).

„საბჭომ (მხედველობაშია ძეგლთა დაცვის

მთავარი სამმართველოს სამეცნიერო შეთოდ-  
რი საბჭო თ. დ.), დამაჯამებლად სცნო (ხა-  
ზი ჩვენია, თ. დ.) ჩვენი პროექტის დასა-  
ბუთობა“ (გვ. 24, დასაწყისი).

...1983 წელს ქართული ხელოვნებისადმი მიძ-  
ღვნილ IV საერთაშორისო სამოლოშიშვე წახა-  
ციობად წარადგინეთ მოხხენება — Вопросы  
реставрации купольного храма Квела-  
Цинида Вацхадзianского монастыря.  
პასუხისმგებელი რედაქტორი გახლდათ აკად.  
ვ. ბერიძე. მოხხენება წაქიხულ იქნა IV სექ-  
ციოში... რომელსაც უძღვებოდა პროფ. ი. ცი-  
ციშვილი — ძეგლთა დაცვის მთავარი სამმარ-  
თველოს უფროსი. მისი შეფასებაც დადგინ-  
თი (ხაზი ჩვენია, თ. დ.) იყო (გვ. 24, აბზ. 1).  
ამჟამე გვიჩნა მოუფხვანოთ მოკლე ამონაწერი  
გაზეთ ლიტერატურულ საქართველოში (№ 28,  
8.07.88, გვ. 5) დასტამბული ი. ციციშვილის  
სტატიიდან „უზიარებელი კრიტიკის გამო“.

...რაც შეეხება დაწვებულ და დაუშთავრებულ  
ძეგლებს, ასეთები მართლაც ვვაქვს და ეს სწო-  
რედ არქიტექტორ-რესტავრატორების ბრალია...  
ასევე არ გავრძელდა საფუხო პროექტის დაუშ-  
თავრებლობის გამო შესანიშნავ ძეგლებზე ვაჩ-  
ხაძისაჲს (მხედველობაშია ვაჩხაძისაჲს უველა-  
წმინდა თ. დ.) და...“

„ჩვენი გამოკვლევის შედეგები და, შესახა-  
მისად, რესტავრაციის პროექტის დასაბუთობა,  
კომისიამ დადგინებლად სცნო“ (ხაზი ჩვე-  
ნია, თ. დ.) (გვ. 24, აბზ. 3).

ზემოთ ციტირებულ სტრაქონებს, და კომისი-  
ის დასკვნებს, ქვემოთ შევუხებოთ. რაც შეეხება  
კომისიას, რომლის შემადგენლობაში შედიოდ-  
ნენ ხელოვნებათმცოდნე-რესტავრატორები: რ.  
გვერდწითელი, პროფ. ლ. რჩელიშვილი და  
მ. დვალა, ჩვენ მიერ გამოქვეყნებული წერი-  
ლის შემდეგ შეიქმნა და დაუვალა — გაცნობო-  
და ორივე მოსაზრებას და გარკვეულიყო მათს  
საფუძვლიანობაში.

ახლა მივყვით რეცენზენტის ნაზრევს და  
ვნახოთ, რამდენად ურყევაა მისი პოზიციო და  
რას გვთავაზობს იგი ჩვენი მოსაზრების სანაც-  
ვლოდ? წინასწარ გვინდა აღვნიშნოთ: იმის ვა-  
მო, რომ რეცენზენტსა და ჩვენს შორის აზრ-  
თა სხვადასხვაობა არსებობდა სპით ძირითადი  
კვანძის გადაწვევტის მიმართ წამოიჭრა, ამიტომ  
რეცენზიაში დასმულ საკითხთა სიმრავლის მიუ-  
ხედვად, მხოლოდ არსებობის, ამ ნაწილებს



თავდაპირველ არქიტექტურულ რაობასთან, და შესაბამისად, მათს რესტავრაციასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებას შეეცდებით.

ეკლესიის ტრიკონების (საკურთხეველის გვერდის სადგომების) განხილვისას ჩვენ შევნიშნავდით, რომ „ტრიკონების“ ცენტრალური ნაწილები დადაბლებული პროპორციების, არაწესიერი ფორმის გუმბათოვანი კამარებითაა იყო დაკავრავებული“ (ძეგლის მეგობარი, № 65, თბ., 1984, გვ. 49). უნდა ითქვას, რომ ამ გადახურვებს სახეებით წესიერი ნახევარსფეროს ფორმა არა აქვთ და მცირეოდენი განსხვავებით, პატრონიკეს გვერდის (დაბალი) ნაწილების გადახურვის ფორმას იმეორებენ (იხ. ნახაზი № 1).

ზემოაღნიშნულის საწინააღმდეგოდ რეცენზენტი აღნიშნავს: „რაც შეეხება ავტორების დისკუსას, რომ ამ (გუმბათოვან, ნ. ა.) გადახურვას სახეებით წესიერი ნახევარსფეროს ფორმა არა აქვს — ნაჩარევია, რადგან გუმბათის ფორმის დადგენა მხოლოდ სრული ვახსნიის (ე. ი. ბრტყელი გადახურვის მოხსნის, თ. დ.) შემდეგ იქნება შესაძლებელი. მოსაზრების სახით კი შეიძლება წინასწარ ითქვას, რომ ეს ტიპური იმდენად წესიერია უკველმზრივ, რომ შეუძლებელია, მით უმეტეს ასტროლოგიულ მუხებში, არაწესიერი ფორმის რაიმე ელემენტის არსებობა“ (გვ. 26, აბზ. 1).

რეცენზენტს გვიანდა შევახსენით, რომ პასტოფორიუმის ბრტყელი გადახურვების ზემოთ მოქცეული „მეორე“ გადახურვის ფორმის დადგენა, თვით ძეგლზე შემორჩენილი ფაქტობრივი მონაცემებით მოზრახდა, და არა მსჯელობისა და ვარაუდების საშუალებით. კერძოდ, ამ მოსაზრების გამოთქმის საფუძველი შეგვიქმნა ჩრდ. პასტოფორიუმის ბრტყელი გადახურვებს ზემოთ მოქცეული სივრცის შესწავლამ, რომლის დოკუმენტაცია, ტროპიკიდან წარდ. პატრონიკეს გვერდის ნაწილის კამარამდე აუვანილი, თავდაპირველი „უფლის“ გამოწვრეული ნაწილიდან ხერხდება. ჩრდილოეთის პასტოფორიუმის აღწერისას გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს: „Поверх полученного воле „мигранника (მზედველობაში კუთხის ოთხი ტროპიკის საშუალებით მიღებული რვაკუთხედი თ. დ.) выпущен вокруг кирпичный пояс, поверх которого до свода виден кусок барабана (იხ. კვლევა ფორმა № 1 თ. დ.). Барабан этот обнаруживается на хорах как с внешней стороны, так и изнутри из-за проломов стен. Само перекрытие в трикомах не представляется полусферой, а плоским, при этом не кирпичной кладки, а из бутовой заливки (сейчас слегка

искривлено). Оно имеет еще второе перекрытие повыше, находящееся в верхней части хора, которые во все до основания форма его та же как у свода всей части хора, т. е. форма ползучего свода.“

ახლა მოვუსმინოთ რეცენზენტს: „ძეგლის, კერძოდ, პასტოფორიუმების, კომპოზიციის — გეგმარებისა და ტექტონიკის ანალიზმა, აკად. გ. ჩუბინაშვილის ძალზე სანდოტრესო მოსაზრების კრიტიკულმა შეფასებამ, საზრგოტ პატრონიკეს თავზე (მე-2 სართულზე) შემორჩენილმა ძაბაღმა (ხაზი ჩვენია, თ. დ.), დღეობის პრტიკული გადახურვების მდებარეობამ და სხვა და სხვა — გვაუარაუდებინა, რომ თავდაპირველად პასტოფორიუმები გუმბათებით იყო გადახურული, რაც დადასტურდა კოდვ (ამვედ აზრის იყო არქ. გ. ლუვადაკი)“ (გვ. 26, დასასრული).

ტექსტის ზემოთ ციტირებულ ნაწილში, მკითხველის უფრადდება „საზრგოტ პატრონიკეს (გაუფებარია, აღბოთ უნდა იყოს პასტოფორიუმის თ. დ.) თავზე (მე-2 სართულზე) შემორჩენილ კვალზე გვიანდა მივაქციოთ, რადგან იგი რეცენზენტის დებულებაში, რომ „პასტოფორიუმები თავდაპირველად („უფელი“ თ. დ.), გუმბათებით იყო გადახურული „ერთ-ერთი (ჩვენ: აზრით უმოთვრეს) არტუმენტია, მკითხველს განსარკვევად, თუ რა „კვალა“ აქ მზედველობაში, ჩვენ მის მიერ ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ IV სურთაშორისო სამპოროზე წარდგენილ მოხსენებას მოვიხველით. «Над ним (მზედველობაშია ხადაკესენს ბრტყელი გადახურვა თ. დ.) из пола второго этажа выходят два ряда кирпичной кладки, которые повторяют кривизну купола» (გვ. 3).

მართალია ის, რომ პასტოფორიუმის თავზე, პატრონიკეს იატაკიდან ამოზრდილია ავტოტ ნაწყობი, რადც მრუდნაზოვანი ზედაპირის ნაწილი, მაგრამ იგი პასტოფორიუმის დამაკვირვინებელი გუმბათოვანი კამარის არსებობის დამადასტურებელ კვალს კ არ წარმოადგენს, როგორც ამას რეცენზენტი მიიჩნევს, არამედ საზრგოტ-დასაყვლეთის ტროპიკის ზურგს, რომელიც პასტოფორიუმის ბრტყელ გადახურვასთანაა შერწყმული. უკველივე ზემოთქმულის გარკვევა ადვილად მოზრახდა, როგორც შენობის ამ სადგომის ანაზომებიდან, ასევე თვით ამ „კვალის“ ზონდაკითაც.

ძეგლზე შემორჩენილი, მისი ისტორიული ცხოვრების ამსახველი ამ ფენის გათვალისწინებით ჩვენ მიიჩნით, რომ „საკირობა ბრტყელი გადახურვების შენარჩუნება, როგორც ძეგლის გარკვეული პერიოდის სამშენებლო ფენისა, რადგან მათ, გარდა ისტორიულად, კონს-



ტრუქციული ღირებულებაც გააჩნიათ" (გვ. 49, აბზ. 2).

წინააღმდეგ ჩვენი მოსაზრებასა, რეცენზენტის პრაქტიკით, ამ ბრტყელი გადახურების მოხსნა ვადალისწინებელი — არტეფიქტი შემდგა — „ეს კლავონები მხოლოდ ამხინჩებენ ტარას ამ მნიშვნელოვან, კომპოზიტორად საინტერესო სათავსებს“ (გვ. 26, აბზ. 3).

ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა გაცნობილით კომისიის აზრს ამ საკითხთან დაკავშირებით: „ასტოფორიუმების ადგილზე შემოქმედამ გვიჩვენა, რომ დღევანდელ ვითარებაში არ ჩანს ნიშნები მათი დამავიჯარვენივლი კონსტრუქციის პირველადი ფორმის აღსადგენად. მაგრამ ჩრდილოეთის ასტოფორიუმში ტრამპეტზე დათბეულ ბრტყელ გადახურვასა და საზღვრების ქანობს შორის შემორჩენილია რაიმე ნიშნები აგურის წყობით გამოყვანილი ცილინდრული სადგურ, რომელიც შეესაბამებოდა ყოფილიყო ასტოფორიუმის სივრცის დამავიჯარვენივლი ხეობის გუმბათის უფლი. ამავე დროს დღევანდელი მდგომარეობის უფროდ საინტერესო და მნიშვნელოვან დღევანდელ ამგვარს ინტერინსა და სასურველია მისი შენახვა. ანტიკურ ვითარებაში, რომ საზღვრებისა და ჩრდილოეთის სასტრუქტურის მხარის ზადახურვა დაპროტოტი დღევანდელ მდგომარეობაში“ (ხაზი ჩვენი, თ. დ.).

ასტოფორიუმების სამხრეთისა და ჩრდილოეთის აბსიდებთან დაკავშირებით, რეცენზენტი შემდეგნაირად აყალიბებს მათი ამოშენების მიზნებს — „როგორც ჩანს, მშენებელი-შემკეთებელი იშთავიფე გრძობდა დღეობის ბრტყელი გადახურების მდებარეობით, ხიმში-შითა და წარმოქმნილი განმარტენი ძალების ზემოქმედებით მოსალოდნელ შედეგს — გუმბათის უფლის გახსნას და იქვე, ამის თავიდან ასაცილებლად, ავსებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის აბსიდებს. სხვა მოსაზრებით ამის გაკეთება წარმოუდგენელია“ (გვ. 26, აბზ. 4). სამშენებლო კონსტრუქციებთან შეტანალება გაცნობილი ადამიანისთვისაც უახსებთ იოლია იმის წარმოდგენა, რომ განმარტენი ძალები ძირითადად კამაროვანი და თაღოვანი კონსტრუქციების გამოყენების შემთხვევისას წარმოიქმნებიან (ეს ძალები საყრდენების მორიგეობის რეაქტიული წონისწარმოება) და არა ბრტყელი გადახურების დროს. ერთი წუთით დავუშვათ, რომ თავისი ხიმშიშითა და მდებარეობის გამო, ჩრდილოეთ ასტოფორიუმის „უფლი“ შედგმულ დუღობის ბრტყელ გადახურვას განმარტენი ძალები მართლაც წარმოქმნა. მაშინ ზუნებრავია, რომ ამ ძალების ზემოქმედებით

უპირველეს ყოვლისა ზემოაღნიშნული „უფლი“ გაიხსნებოდა, რომელიც ურველგვარი გამოვარების გარეშე, დღეობს სრულიად უჩინებელი და შემორჩენილი (იხ. ნახაზ. № 1). ამას გარდა, ძველი წარმოსადგენია, ძველი დასაქრებელიც კი არის, რომ „მშენებელ-შემკეთებელს“, როგორც არ უნდა ყოფილიყო მისი პროფესიული დონე, „უფლის“ თხელი კედლის (სიხვე დახლოებით 32-35 სმ-ია) გახსნის მოსალოდნელი საშუარობის თავიდან აცილებას მიზნით ამოშენებია ორივე ასტოფორიუმის ჩრდილოეთ და სამხრეთ აბსიდები, რომელთაგანაც ყოფილი მინიმუმ 25-30 ტონა საშენი მასალითაა შევსებული, ხოლო თვით ბრტყელი გადახურვის წონა, ჩვენი გამოთვლით, ორ ტონას ვერც კი აღწევს (იხ. ნახ. № 1, რომელზედაც მოკლებულია სხვაობის ვიზუალური წარმოდგენისათვის ბრტყელი გადახურვა და შესაბამისად შევსებული აბსიდებიც დატრიალებულია).

ჩვენი აზრით, ასტოფორიუმების აბსიდების ამოშენება სულ სხვა კონსტრუქციული მოსაზრებით იყო შეპირობებული, ეტომდ იმით, რომ დროთა ვითარებაში შენობის საფუძვლის არათანაბრება დაქდობამ, რომელიც აგურდობიდან ჩამოშლილად გრუნტის წყლებისა და ატმოსფერული ნალექების ჩაქონვას შედეგად, ნიადაგის ინტენსიურმა დატენიანებამ განსაზღვრა, სხვა ფაქტორებთან (სეისმური რეჟები და შექრული მოვლენები) ერთად, შენობის დასავლეთის ნაწილის დეფორმაცია და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი წვრტევი გამოიწვია. შედეგობში, აღმოსავლეთ ნაწილში მოსალოდნელი დაზარალებების თავიდან აცილების მიზნით, ძეგლის პირველივე საფუძვლიანი რემონტის დროს, ოსტატი-შემკეთებელი ავსებს ასტოფორიუმების სამხრეთისა და ჩრდილოეთის აბსიდებს. იმ გარემოებაში, რომ შენობის დეფორმირებული ზონის ფარგლებში, საფუძვლის დატენიანება მომდევნო ხანებშიაც გრძელდებოდა სხვა დაზარალებითან ერთად დასავლეთის კედლის გადახრაც გამოიწვია, სწორედ ამ გადახრის შესაჩერებლად, უკვე მეორე რემონტის დროს, ძეგლის დასავლეთის ორივე კუთხე, აგურის მძლავრი კონტრფორსებით განავარტეს.

ჩრდილოეთ პატრონიკეს ცენტრალური ნაწილის თავდაპირველი ფორმების მიმართ გამოთქმულ მოსაზრებაში ჩვენ მის გარეგან (ჩრდილოეთის) კედელში სარკმლის არსებობის შესაძლებლობა გამოვრიცხეთ. გამოვარტესით არა იმიტომ, რომ ზემოაღნიშნული კედლის გარდევლუ ნაწილში, სამხრეთ პატრონიკეს ტრალი სარკმელი ვერ მოვათავსეთ (როგორც ამას




ფოტო 1. ჩრდილოეთის პატრონიკეს ჩრდილოეთის კედლის დანგრეული ნაწილი და მის ქვემოთ პირველი სართულის სარკმელი. ზემოთა ისრით ნაჩვენებია გარეგანი საპირე წყობის ის ქვა, რომლის მდებარეობა და ფორმა კედლის განგრეულ ნაწილში ადრე სარკმლის არსებობის შესაძლებლობას გამოიხატავს. ქვემოთა ისრით ნაჩვენებია პირველი სართულის გარეგანი ღიობის დასავლეთის წიბო.

Проллом северной стены центральной части северных хор и часть окна первого этажа.

რეცენზენტი მიიჩნევს — „უმართებულად“ რომ სცადო კედლის ამ გარღვეულ ნაწილში სამხრეთის პატრონიკეს მსგავსი სარკმლის შექმნა, რად მოთავსება. სამხრეთის სარკმლის ტიპისა და მსგავსს, აქ, ჩრდილოეთიდან ვერ წარმოადგენს“. გვ. 29, აბზ. 21. არამედ იბიტომ, რომ კედლის გარღვეული ნაწილის სათანადო აღმოჩენებისა და შემორჩენილი ფაქტობრივი მასალის დეტალური შესწავლას შედეგად დაერწმუნდით, რომ მასში ადრე სარკმლის არსებობა გამოიხატული იყო.

ჩვენი მოსაზრებისგან განსხვავებით, რეცენზენტის რესტავრაციის პროექტით, ჩრდილოეთ პატრონიკეს გარეგანი კედლის გარღვეულ ნაწილში გათვალისწინებულია სარკმლის აღდგენა, რომლის ღერძი, მის ქვემოთ არსებული, პირველი სართულის სარკმლის ღერძს ემთხვევა და ფასადზე ამ უკანასკნელის ანალოგიური კრილით გამოდის. საკითხის გასარკვევად, მეგლზე შემოჩენილი ფაქტობრივი მასალა უნდა მოვიშველიოთ. შეითხველას ყურადღება გვიქცეოდნენ მიუხედავად შემდეგს: ჩრდილოეთის ნაწილს პირველი სართულის შუა კომპარტიმენტის სარკმლის გარეგანი ღიობიდან, რომელიც მთლიანად შირიმის გათლილი ქვებით იყო გამოყვანილი, თავდაპირველი სახით მხოლოდ დასავლეთის გვერდილია შემორჩენილი. ამ სარკმლის ზემოთ, პატრონიკეს ცენტრალური ნაწილის ფარგლებში, შემორჩენილია მოზრდილი ზომის (სინაღლე დაახლოებით 2მ სმ-ია) რივის საპირე ქვა, რომელსაც ზუსტი გეომეტრიული ფორმა არა აქვს. ამ ქვის მარცხენა (აღმოსავლეთის) კიდე, პირველი სართულის სარკმლის გარეგანი ღიობის (თავდაპირველი) მარჯვენა (დასავლეთის) გვერდიდან ერთად, ერთ ვერტიკალურ, ხოლო ძირი, პირველი სართულის სარკმლის გადაშლარავი, ადრე არსებული ქვის საფუძვლიდან 106 სმ-ზე მდებარეობს (იხ. ფოტო № 1). პატრონიკეს კედლის საფასადო წყობაში ეს ერთადერთი ქვაა, რომელიც თავისი მდებარეობის გამო, შეცდომით, შეიძლება სარკმლის გარეგანი ღიობის შემადგენელ ქვადაც ჩავთვალოთ, მაგრამ თუ მჭიდვლობაში მივადებთ შემოადრეული ქვის საპირე, და კედლის გარღვეულ ნაწილში მოქცეული გვერდის (დასავლეთის) ურთიერთ მიმართებას (ეს ორი გვერდი ერთმანეთთან შეხვედრისას სწორ კუთხეს ქმნის) და ქვის დასავლეთის გვერდს სარკმლის წირთხლად შემადგენელ ნაწილად ჩავთვალოთ (რაც უოკლად დაუშვებელია მისი შედაპირის თავსებური დამუშავების გამო), აღმოჩნდება, რომ პატრონიკეს ჩრდილოეთის კედელში, რეცენზენტის მიერ შემოთავაზებული სარკმლისგან განსხვავებით (რომელიც შიგნიდან გარეთ




ფოტო 2. გვიანი ნაღებობის კვალი დაბ. გარშემოსავლელის კედლებზე.

Следы поздней штукатурки на стенах западного обхода.

ფოტო 3. გვიანი ფენა ტაძრის დასავლეთ გარშემოსავლელის ჩრდილო-დასავლეთ კედელში.


Поздний слой в северо-восточной стене западного обхода.





ნახ. 1. ტაძრის განივი განაკვეთი, პასტოფორიუმებზე — ზედი აღმოსავლეთით.

Поперечный разрез на восток через настофории.



ნახ. 2. № 1 დას. გარშემოსავლელის ცენტრალური ნაწილის გეგმა ტრომების დონეზე (კედლის გასწორებამდე). № 2. დასავლეთ გარშემოსავლელის ცენტრალური ნაწილის გეგმა ნულოვან ნიშნულზე (კედლის გასწორებამდე). № 3. დასავლეთ გარშემოსავლელის ცენტრალური ნაწილის გეგმა ტრომების დონეზე) კედლის გასწორების შემდეგ.

План центральной части западного обхода. 1. На уровне тропи до выпрямления западной стены. 2. на отметке уровня до выпрямления западной стены. 3. На уровне тропи после выпрямления западной стены.


შვეთრად ვიწროვდება), ჩვენ ძალზე ვიწრო, პარალელურ წითხლებიან სარკმელს. შივლებო. მაგრამ, თუ უოველივე ზემოთქმულს დავუმატებთ იმასაც, რომ ეკლესიის უველა სარკმლის ღიობი (მხედველობაშია მხოლოდ თავდაპირველი სარკმლები) გარედან შირიბის გათლილი ქვიშაა შემოვლებული და სარკმლის არსებობის შესაძლებლობას უკვე ამ ასპექტითაც

განეხილავთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ პატრონიკეს კედლის გარღვეული ნაწილში სარკმლის მოთავსების შესაძლებლობა პრაქტიკულად გამოირიცხება.

საინტერესოა, რა აზრისაა კომისია, ამ საკითხთან დაკავშირებით:


„პატრონიკეს ჩრდილო ნაწილის შესახებ (ნ. აღმაშენებლის, თ. დ.) პროექტით გათვალისწინ-

ნახ. 3. დასავლეთ პატრონიკეს ცენტრალური ნაწილის გეგმა. გრაფიკული რეკონსტრუქცია.




План центральной части западных хор. Графическая реконструкция.

ნახ. 4. აქსონომეტრიული კვეთი დასავლეთ გარშემოსავლელს მეორე სართულის დონეზე.




АксонOMETРИЧЕСКИЙ РАЗРЕЗ ВТОРОГО ЭТАЖА ЗАПАДНОГО ХОРА.

ნახ. 5. დასავლეთ პატრონიკეს ცენტრალური ნაწილის გეგმა. გრაფიკული რეკონსტრუქცია.



План центральной части западных хор. Графическая реконструкция.





ნახ. 6. ტაძრის გრძივი განაკვეთი, ხედავს სამხრეთით. ნ. ალხაზაშვილის ნახაზი.

Продольный разрез на юг. Чертеж Н. Алхазашвили.


ნებულა კვედა სართულის სარკმლის ღერძის გასწვრივ სახინათლო ხერხელს აღდგენა II სართულშიც, რომლის სახინათლო ხერხელსათვის (გარედან თ. დ.) 20 სმ-ის სიგანეა ნაგარაუდევი. დღეს ამ ადგილას მხოლოდ კედლის ბზარია შემორჩენილი და შემოწმებისას, სარკმლის წირობლების არავითარი კვალი არ ჩანს. საკიროა ამისთვის კედლის ამ ნაწილში არსებული ბზარის დეტალური შესწავლა და აზომვა, რათა დადგინდეს სარკმლის მოწეობის შესაძლებლობა".

განსაკუთრებულ ყურადღებას იმურობს ტაძრის დასავლეთ გარშემოსავლელის ცენტრალური ნაწილის — კარიბჭის, თავდაპირველი სტრუქტურის გარკვევა. შენობის ამ ნაწილში დროთა ვითარებაში მიღებული არსებითი დაზიანებებითა და გადაკეთებებით მოაღწია, რამაც მნიშვნელოვნად შეუცვალა მას თავდაპირველი სახე. ძველზე ხანგრძლივი მუშაობის შედეგად გამოკლებილია მასალა საფუძველი შეგვიქმნა გამოკვეთვა ჩვენი აზრი ტაძრის ამ ნაწილის მხატვრულ-არქიტექტურული კომპოზიციის თავდაპირველი რაობის შესახებ.

დასავლეთ გარშემოსავლელის ცენტრალური ნაწილის — კარიბჭის — გრაფიკული რეკონსტრუქციისას ჩვენ ჩავთვალეთ, რომ კარიბჭე და-

დაბლებული პროპორციების, უფელო გუმბათოვანი კამარით იყო გადახურული" (გვ. 50). ამ მოსაზრების საფუძველი შეგვექმნა კარიბჭის ჩრდილო აღმოსავლეთი ტრომპის თავზე, პატრონიკეს შუა ღიობის ერთ-ერთი (ჩრდილოეთის) გვერდის ქვემოთ, ნახტივი ქვითა და აგური ნაწეობი გვიანი ფენის (მაქსიმალური სისქე 9-10 სმ) მოხსნის შემდეგ კედლის თავდაპირველ ფენაში ქვების თავისებურება განლაგებამ გვავარაუდებინა, რომ ამ ადგილზე ადრე კამაროვანი გადახურვის ქუსლი უნდა უფიცილო დაბენილი.

ზემოაღნიშნულის საწინააღმდეგოდ, მხოლოდ ჩვენ მიერ კრებული 44-ე გვერდზე წარმოდგენილ ფოტოზე დაკრძნობით, რომელიც სახსებით ვასაგებად არის ანოტირებული — "ტრომპების კვალი შუა ნაწის დასავლეთ კედელზე" და არა გუმბათოვანი გადახურვის ქუსლის კვალი შუა ნაწის დას. კედელზე: — რეცენზენტი უსაფუძვლოდ გვედავება და ზემოაღნიშნულ ფოტოს კარიბჭის გადამხურავი გუმბათოვანი კამარის ქუსლის კვალის დასადასტურებლად წარმოდგენილ საბუთად მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, იგი აღნიშნავს, რომ „კედელი ჩრდილო-აღმოსავლეთის ტრომპის თავზე კი არ არის გახსნილი, არამედ — ტრომპის დო-



ნახ. 7. ზემოთ დასავლეთ გარშემოსავლელის მეორე სართულის გეგმა. რესტავრაციის პროექტი. ნ. აღმაშაშვილის ნახაზი. ქვემოთ დასავლეთის ფასადი. რესტავრაციის პროექტი. ნ. აღმაშაშვილის ნახაზი. ჩვენს მიერ დამატებული პუნქტირით ნაჩვენებია ფასადის საბოლოო სახე მისი სწორად აგების შემთხვევაში.

В верхней части: План II этажа западного обхода. Проект реставрации. Чертеж Н. Алхазашвили. В нижней части: Западный фасад. Проект реставрации. Чертеж Н. Алхазашвили. Добавленный нами пунктир показывает окончательный вид фасада при его правильной постройке.


ნუზე (გვ. 30, აბზ. 1). ე. ი. გამოდის, რომ ჩვენ, კარიბჭის ვადამბურავი, ტროშეების თავზე მოქცეული, გუმბათოვანი კამარის არსებობის ვარაუდს კედლის გვიანი ფენის მოხსნის შემდეგ, ტროშეების გამოჩენილი კვლით ვადასტურებთ.

შეიხველს გვიანდა მოვახსენოთ, რომ ზემოაღნიშნულ ფოტოზე, რომლის ანალიზზე დაუბრუნდებით, რეცენზენტს მისთვის სასარგებლო დასკვნები გამოაქვს, კედელი ჩვენთვის საინტერესო ნაწილის მოხსნამდე დაფიქსირებული და არა მისი მოხსნის შემდეგ. ამის ვარკვევა თვით ფოტოდანაც სავსებით იოლად ხერხდება, უოველგვარი ანოტაციის გარეშეც, რადგან

ნრდილო-აღმოსავლეთის ტროშეის ზემოთ, იქ, სადაც გუმბათოვანი კამარის ქუსლი (რეცენზენტის შეიძლება აღმოჩენილიყო. კედლის ქვემოთაგან ფენა ჯერ კიდევ ხელუხებელია. საინტერესოა რომ ამას თვითონაც აღნიშნავს: „გუმბათოვანი კამარის ქუსლის კვლიც მის ზემოთ (ე. ი. ტროშეის, თ. დ.) უნდა აღმოჩენილიყო ე. ი. იქ, სადაც კედელი არაა გახსნილი“. უოველგვ შემოაღნიშნულიდან ვარკვევებით, რომ რეცენზენტს თავისი დასკვნები ჩვენი წერილის 44-ე გვერდზე მოთავსებულ ფოტოზე დაურღწობით გამოაქვს, რატომ? აღბანი იმითომ, რომ ჩვენი წერილის პუბლიკაციამდე, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენ ძეგლის რესტავრაციაში მონაწილეობას ვიღებდით, პატრონიც შეაღობის ნრდილოეთ გვერდის ქვემოთ, კედლის გვიანი, ჩვენთვის საინტერესო, ფენა მოხსნილი იყო. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ვფიქრობთ, რეცენზენტი თავისი შეხედულებების საილუსტრაციოდ კედლის ამ, ჯერ კიდევ გაუხსნიელი ნაწილის ფოტოსურათის აუცილებლად წარმოადგენდა.

